# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

18 ივლისი ოთხშაბათი 2012 №168 (13 774) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვაიჩვენ

## ნეფთჩი იახში, ფერო სახლში!



## მატარებელი კარგად რომ გაჩერდება, მერე ჩამოდით... 0:3

2



## ნეკი ნეკისა დინამოში

## ფიფიამ გრიშიკაშვილს დაუყვავა

### კონფლიქტი ამოწურულია



3

## დღეს ზლატანს პარიზში ელიან

### წუხელ ლეონარდომ იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერი დაადასტურა



მორჩა, გადაწყდა და ოფიციალურადაც დადასტურდა: **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** კარიერას პსჟ-ში გააგრძელებს. ეს ინფორმაცია გუშინ ფრანგული კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ლეონარდომ** და შვედი გოლეადორის აგენტმა **მინო რაიოლამ** დაადასტურეს. 30 წლის იბრა პარიზში დღეს ჩავა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და პსჟ-სთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ფრანგული პრესის ცნობით, მისი ხელფასი წელიწადში 14 მილიონი ევრო იქნება, „მილანი" კი 23 მილიონ ევროს მიიღებს. პსჟ-ს მომდევნო სამიზნე მადრიდის „რეალის" ბრაზილიელი ნახევარმცველი კაკაა.

გოტფრიდ ლენცი

## ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 9 დღე

ჩემპიონთა ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

# ПРИВЕТ ИЗ БАКУ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნეფთჩი იახში, ფერო სახლში



**გიორგი ჭიაბრიშვილი:**

ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მატჩი ვითამაშეთ, რაზეც მეტ წილ პასუხისმგებლობას მე ვიღებ. დღეს თქვენ ნამდვილი "ზესტაფონი" არ გინახავთ. წინ კიდევ 90 წუთია, ყველაფერი საქართველოში გადაწყდება. დღეს "ნეფთჩი" ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა, პირველი ორი გოლი კი ფატალურ შეცდომებს მოჰყვა.



ზესტაფონის დაცვამ როინ კვასხვაძე ჯულიუს ვობაის და სხვა ბაქოელებს არაერთხელ შეატოვა



**თარლან ახმედოვი:**

*ამ მოგებას ბიუქალა გაჯიევს (ჯანმრთელობის გაუარესების გამო "ნეფთჩის" მთავარი მწვრთნელი თამაშს ვერ დაესწრო – რედ.) ვუძღვნით. ვიცოდით, რომ მეტოქისთვის გახსნილი თამაშის უფლება არ უნდა მიგვეცა. გვქონდა ხარვეზები, თუმცა "ზესტაფონის" ორი შეცდომა გამოვიყენეთ და მიყოლებით გავიტანეთ ორი გოლი. ეს მხოლოდ "ნეფთჩის" კი არა, აზერბაიჯანული ფეხბურთის გამარჯვებაა.*

აზერბაიჯანელთა ქედმაღლური განცხადებები თითქოს ფონად გაჰყვა გუშინდელ მატჩს – "ზესტაფონი" პირველი გოლის გაშვების შემდეგ მოირღვა და ვეღარ გაიმართა.

საცოდაობა იყო ფეროელთა დაცვა. გიორგი ჭიაბრიშვილს არავისგან ესწავლება, რომ გუნდის შენება სწორედ მეკარიდან და დაცვიდან იწყება. "ზესტაფონის" დაცვის ცენტრი კი ისეთი გამოდგა, მოყვარულთა გუნდებს რომ ჰყავთ. ასეთი ბითური დაცვის ხაზი ევროსარბიელზე თავმოყვარე გუნდს არ ეკადრება.

თამაშს მხოლოდ ერთი რგოლი არ აგებს. პირველ გაშვებულ გოლამდე "ზესტაფონი" თითქოს ტოლს არ უდებდა მეტოქეს, საკუთარ თამაშს თამაშობდა, ოღონდაც ჩემპიონთა ლიგის შესარჩევში იმაზე მეტია საჭირო, რასაც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში აკეთებ – "ზესტაფონისგან" გუშინ ასეთი ვერაფერი ვნახეთ.

ფეხბურთში გამართლებაც ბევრს ნიშნავს. **თორნიკე აფციაურის** კუთხურის შემდეგ **ჯაბა დვალსა** და **ოვონიკოკოს** ჰქონდათ საგოლე შანსი, მაგრამ ბურთი "ნეფთჩის" კარში არ შევიდა. ამის შემდეგ თვითონ აფციაურს შეეძლო გოლის გამოდნობა – დარტყმა აზერბაიჯანელთა ერთ-ერთ მცველს მოხვდა.

მეზობელი ქვეყნის ჩემპიონმა ორი გოლი მიჯრით შეაგდო, ნაცარტუტად აქცია "ზესტაფონის" დაცვა.

შანსი კიდევ იყო, **ზურაბ მენთეშაშვილის** დაქუხებული "ნეფთჩის" კარის ხარიხამ აისხლიტა.

დვალი კაცურად იბრძოდა, კლასიც ეტყობოდა და თავდადებაც, თუმცა მისი გარჯა ფუჭი აღმოჩნდა, რადგან "ზესტაფონი", როგორც გუნდი, თანდათან მოიშალა.

ისც გამოჩნდა, რომ "ნეფთჩი" უნაკლო გუნდი არ იყო. ფეროელებს ერთი გოლი მაინც რომ გაეტანათ სტუმრად, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი არარეალური აღარ იქნებოდა. "ზესტაფონს" შინ თამაში კი ემარჯვება, მაგრამ მოწინააღმდეგეს ისეთი ფორა შეუქმნა, რომ საოცრების მოხდენა მოუწევს, ოღონდაც რა რესურსით?

საქართველოს ჩემპიონმა მეორე ტაიმშიც გაიბრძოლა, ორჯერ აქტიურად ჩაერთო შეტევაში **თემურ ლონლაძე**, მაგრამ არა – გუშინ "ზესტაფონის" დღე არ იყო.

ურიგოდ როდი შემოვიდა შეცვლაზე **ლუკა გუგუჩია**, თუმცა ევროსარბიელზე თამაშის შემობრუნებას სულ სხვა გამოცდილება სჭირდება. გამოცდილმა **დავით მუჯირმა** მნიშვნელოვნად ვერ გააძლიერა "ზესტაფონის" შეტევა – ერთი საჯარიმო კარს ოდნავ ააცილა, მეორე ჯერზე ფლანგიდან მწვავედ ჩააწოდა – უფრო მეტი იყო საჭირო, სტუმრად გატანილი გოლი, თუნდაც 0:3-ზე, იმ ნაპერწკალს წარმოქმნიდა, აალება რომ შეუძლია.

შეხვედრის მიწურულს **ლევან შარიქაძემ** დარტყმა "ნეფთჩის" მეკარეს შეაწყვიტა.

ასე იყო საქმე გუშინ ბაქოში. საქართველოს ჩემპიონი უსუსური აღმოჩნდა. წინ საპასუხო მატჩია და თუ ზესტაფონში სტადიონი გაივსება, იქნებ სასწაულიც მოხდეს – გუშინდელმა შეხვედრამ სხვა მოლოდინი მგონი ვერ გააჩინა.

**დავით თავართქილაძე**

17.07. ბაქო. დალღა-არენა.
4 500 მაყურებელი

**ნეფთჩი 3**

**ზესტაფონი 0**

1:0 იმამვერდიევი (22), 2:0 ვობაი (24), 3:0 კანალესი (63)

| ნეფთჩი | ზესტაფონი |
|---|---|
| მეხდიევი | კვასხვაძე |
| მელიკოვი | ლონლაძე |
| მიტრესკი | კობახიძე |
| იუნიზადე | საჯაია |
| ბერტუჩი | ელიავა |
| სადიგოვი | გორგიაშვილი |
| რამოსი | მენთეშაშვილი |
| იმამვერდიევი | აფციაური |
| ფლავინიო | შარიქაძე |
| ვობაი | ოვონიკოკო |
| კანალესი | დვალი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| თ. ახმედოვი | გ. ჭიაბრიშვილი |

**ნეფთჩი**

62. ფლავინიო – **აბდულაევი**
70. იუნიზადე – **იუნისოღლუ**
77. იმამვერდიევი – **სეიდოვი**

*სათადარიგოები: სტამენკოვიჩი, გულიევი, აბდულაევი, მეხდიევი*

**ზესტაფონი**

59. ოვონიკოკო – **მუჯირი**
66. აფციაური - **გუგუჩია**
77. ელიავა – **თორნიკე გრიგალაშვილი**

*სათადარიგოები: მამალაძე, თედო გრიგალაშვილი, ბაბუნაშვილი, სარდალიშვილი*

გაფრთხილება: მიტრესკი (31), აფციაური (40), იუნიზადე (53), გორგიაშვილი (64), ვობაი (90)

არბიტრი: მ. ავრამი (რუმინეთი)



ერთ-ერთი მწვავე ეპიზოდი ზესტაფონის კართან



ზესტაფონმა ბურთი კარიდან სამჯერ გამოიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# გრიშიკაშვილი ფიფიას შეხვდა

## დინამოს პრეზიდენტმა ცეცხლს წყალი გადაასხა

საქმეს ისეთი პირი უჩანს, **სოსო გრიშიკაშვილისა** და "დინამო თბილისის" დავა ყოველგვარი განხილვისა და არბიტრაჟის გარეშე მოგვარდება.

გუშინდელ "ლელოში" ვწერდით, გრიშიკაშვილი უცხოეთიდან დაბრუნებულ "დინამოს" პრესიდენტ **რომან ფიფას** უნდა შეხვდეს-თქო და მართლაც, გუშინ ეს შეხვედრა გაიმართა.

"მე და "დინამოს" პრეზიდენტმა გულღიად ვისაუბრეთ. ყოველივე იმის ფონზე, რაც მოხდა და რა ოფიციალური განცხადებაც გააკეთა "დინამომ", ასეთ კარგ და თბილ შეხვედრას არ ველოდი. ბატონმა რომანმა მითხრა, საქმის კურსში არ ვიყავი, არ მქონდა ინფორმაცია შენს ოპერაციებზე და არც იმაზე, ხელფასი რომ დაგიკავესო. "დინამოს" პრეზიდენტი შემპირდა, რომ ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც წესი და რიგია. ისეთი საუბარი გვქონდა, რომ მართლა არანაირი საფუძველი არ მაქვს, რომან ფიფიას დაპირებაში ეჭვი შევიტანო", – გვითხრა გრიშიკაშვილმა.

ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ კლუბის პრეზიდენტი არ იყო საქმის კურსში – გრიშიკაშვილს ხომ ორი ოპერაცია დასჭირდა. ძნელი დასაჯერებელია ისიც, რომ კლუბმა გრიშიკაშვილის საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება პრეზიდენტის გარეშე გააკეთა.

როგორც უნდა იყოს, კონფლიქტი მოგვარებისკენ მიდის. ვფიქრობ, "დინამოს" აქტივში უნდა ჩაეწეროს ის, რომ უთანხმოების გამწვავებაზე აღარ წავიდა.

**დავით თავართქილაძე**



სოსო გრიშიკაშვილი

დილა

# დილამ განაცხადი წარადგინა

ხვალ გორის "დილა" დანიაში "ორჰუსს" ესტუმრება და „ენერჯი არენაზე" ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრას გამართავს.

"დილას" მთავარმა მწვრთნელმა **თემურ შალამბერიძემ** განაცხადში შემდეგი ფეხბურთელები შეიყვანა:

მეკარეები: **1 - მარიან სკენდერი, 32 - ბექა შეყრილაძე**

მცველები: **3 - ლაშა სალუქვაძე, 4 - გიორგი ონიანი, 6 - გიორგი შაშიაშვილი, 16 - დავით კვირველია, 23 - ნიკოლოზ ჯიშკარიანი, 33 - გულვერდ თომაშვილი, 37 - შოთა კაშია**

ნახევარმცველები: **5 - ზურაბ არზიანი, 7 - კახაბერ ალადაშვილი, 8 - რომან ახალკაცი, 12 - გოგიტა გოგუა, 13 - შოთა გრიგალაშვილი, 27 - გიგა ბეჭვაია, 57 - ვალერიან კაციტაძე, 77 - ლაშა გვალია, 87 - გიორგი კახელიშვილი**

თავდამსხმელები: **11 - მათე ვაწაძე, 15 - ირაკლი მოდებაძე, 17 - ალექსანდრე გურული.**

როგორც ხედავთ განაცხადში არ არიან ნახევარმცველები - **გიორგი მამუჩიშვილი** და **გიორგი აბურჯანია,** აგრეთვე, თავდამსხმელები - **რევაზ ბარაბაძე, მიხეილ გორელიშვილი.**

გორის „დილა" კი გერმანიაში ემზადებოდა, გუშინ გუნდი ჰამბურგიდან დანიაში გაემგზავრა და ორჰუსში ივარჯიშა. შეგახსენებთ, რომ ჰამბურგში გორელები ამხანაგურად "ერფურტს" შეხვდნენ, მაგრამ ეს ისეთი ამხანაგური შეხვედრა იყო, როგორც საქართველოა ჩინეთი – 79-ე წუთზე შეხვედრა ჩაიშალა, ორივე მხარე ერთმანეთს აბრალებს უხეშ თამაშს, მაგრამ დღემდე უცნობია, კონფლიქტი რატომ და ვისი მიზეზით დაიწყო.

მოკლედ, გერმანელებთან ჩხუბში გამოწვრთნილი ბიჭები დანიელებთან დაპირისპირებისთვის ემზადებიან და იმედია, დღეს ჩვენ ყველას გაგვახარებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

თვალსაზრისი

# საშემოდგომო პრელუდიები

*მწუხარე იყო, ვით შემოდგომა - გალაკტიონის სტრიქონი აკვიატებას მაშინ იწყებს, როცა ქართული გუნდები ევროსარბიელზე შემოდგომამდე ვერ აღწევენ და როცა შემოდგომაზე მორიგ შესარჩევ ციკლს იწყებს საქართველოს ეროვნული ნაკრები.*

*შემოდგომამდე დიდი დრო აღარ დარჩა და უკვე გაჩნდა იმის პრელუდიები, რაც წელიწადის ამ ბარაქიან დროში უნდა მოხდეს.*

რამდენიმე დღის წინ ჩვენი უპირველესი გუნდი მთავარი მწვრთნელის, თემურ ქეცბაიას ინტერვიუ გამოქვეყნდა ბელარუსულ მედიაში და ვფიქრობ, ქეცბაიამ გულრწფელად თქვა ის, რასაც ფიქრობს.

როცა იმას ლაპარაკობ, რასაც ფიქრობ, ეს უკვე დასაფასებელია, ოღონდაც მწვრთნელი მხოლოდ ამით არ ფასობს. ქეცბაიამ ბელარუსებს უთხრა: გვაქვს თუ არა ჩვენ და ბელარუსს ესპანეთთან და საფრანგეთთან კონკურენციის შანსი? თუ საქმეს რეალურად შევხედავთ, ალბათ - არა. პირველ ორ ადგილს, ალბათ, გრანდები გაითამაშებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ ვიბრძოლებთ. საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ.

საქართველოს ნაკრები არაერთხელ მოხვედრილა გრანდების ჯგუფში. საფრანგეთი 98-ის შესარჩევი რომ იწყებოდა, ჯგუფში იტალია და ინგლისი გვყავდა, კიდევ პოლონეთი. მაშინ საქართველოს ნაკრებს ალექსანდრე ჩივაძე თავკაცობდა და განაცხადა, მეორე ადგილზე გასასვლელად უნდა ვიბრძოლოთო. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ნაკრებს იტალია ან ინგლისი უკან უნდა მოეტოვებინა. ჩივაძე ინგლისთან შინ 0:2-ის წაგების მერე გადადგა და მოგვიანებით თქვა, მეორე ადგილი იმიტომ ვახსენე, რომ ასე იყო საჭირო, ფეხბურთელმა ეს მწვრთნელისგან თუ არ გაიგო, როგორ უნდა გავიდეს მოედანზეო.

ჩივაძემ დიდი ფეხბურთი პირველ რიგში საფეხბურთო ინტელექტის ხარჯზე ითამაშა. ეს ფაქტორი მას აუცილებლად ეხმარებოდა და კიდევ დაეხმარება მწვრთნელობაში. უმნიშვნელო ნიუანსი არ არსებობს, მათ შორის - ფეხბურთშიც.

ქეცბაიამ კი - შანსი არ გვაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვიბრძოლებთო.



ალექსანდრე ჩივაძე და თემურ ქეცბაია

კი მაგრამ, შანსი თუ არ არის, რისთვის უნდა ვიბრძოლოთ? იმისთვის, რომ დიდი ანგარიშით არ წავაგოთ, იმისთვის, რომ ტრიბუნებიდან რაღაც საგნები არ გვესროლონ, იმისთვის, რომ როგორმე გავიხანგრძლივოთ ნაკრებში ყოფნა - თუ ასე არ არის, მაშინ რას ნიშნავს, რომ ესპანეთთან და საფრანგეთთან შანსი არ გვაქვს?

რეალობა ისეთია, რომ თანამედროვე ფეხბურთში დონე გათანაბრდა და ესტონეთის ნაკრები შესარჩევის პლეიოფში გავიდა. რა თქმა უნდა, ეს რეალობა ქეცბაიას და მის დამნიშვნელებს არ მოსწონთ, მათ სულ სხვა რეალობა აძლევს ხელს - შანსი არ გვაქვს, მაგრამ ვიბრძოლებთ.

ისიც უნდა ითქვას, თუ შანსი არ გვქვს, რისთვის გვინდა ძვირად ღირებული მწვრთნელი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში? პასუხად შეიძლება მივილოთ ის, რომ საქართველოს ნაკრები ახალგაზრდული და მზარდი გუნდია, რომ დამდეგი შესარჩევი ციკლი, ისვე როგორც წინა შესარჩევი ეტაპი, სამომავლოდ, გუნდის უკეთ ჩამოსაყალიბებლად უნდა გამოვიყენოთ და ასე შემდეგ. პასუხის გაცემა ყველაფერზე შეიძლება, ოღონდაც ასეთი და მსგავსი პასუხების უკვე აღარ სჯერათ თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნაკრებს შედეგი არ აქვს.

ესპანეთი და საფრანგეთი ჩვენგან მართლაც ძალიან შორია, მათ გარდა კი ჯგუფში გვერგო ბელარუსი და ფინეთი. საინტერესოა, რას გვეტყვის ქეცბაია ბელარუსთან და ფინეთთან შანსებზე? გავალთ და ვიბრძოლებთ, ვნახოთ რა იქნება, ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა, შანსი ყველას აქვს, იქ საფეხბურთო მეურნეობა მოწესრიგებული აქვთ...

ქეცბაიასგან მკაფიოდ ჯერ არ მოგვისმენია, თუ სად, რა მარაქაშია ჩვენი ადგილი. ანდორა, ლუქსემბურგი, სან-მარინო, ფარერები - საქართველოს ნაკრების წვრთნელი გაბედავს და იტყვის, რომ მათ გარდა სხვების დაჯაბნაც შეგვიძლია?

ყველაფერი გროვდება და ერთმანეთს ემატება. ქეცბაიამ ბელარუსულ „პრესბოლს" ისიც განუცხადა, რომ ჩვენ 2016 წლის ჩემპიონატზე მოხვედრის პერსპექტივით ვმუშაობთ და ახალგაზრდული გუნდის ჩამოყალიბებას ვცდილობთ. ეს მძიმე გზაა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა.

როგორ თანამშრომლობს ქეცბაია საქრთველოს ახლგაზრდულ და სხვა ასაკობრივ ნაკრებებთან? ქვედა ნაკრებების მწვრთნელთაგან ჯერ არ გაგვიგია ამ თანამშრომლობის შესახებ. რაც ყველაზე მთავარია, ჯერ არ ჩანს, თუ როგორ თანამშრომლობენ ერთმანეთში ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელი ალექსანდრე ჩივაძე და ქეცბაია. ჩივაძე ამბობს, შემოქმედებით ფეხბურთელებს ვანიჭებ უპირატესობას, ასეთი ფეხბურთელი ბურთისართმევასაც ისწავლის, არაშემოქმედებითი ფეხბურთელი კი შემოქმედი ვერანაირად ვერ გახდებაო. ჩივაძის განწრთნილ ახალგაზრდულ ნაკრებს შინ ჯერ არ უთამაშია. თუმცა რაც ითამაშა, ვერსად ვერ ამოვიკითხე, გუნდი დაცვაში ჩაჯდა და მისი თამაში ანტიფეხბურთს ჰგავდაო.

რა გითხრათ, შესაძლოა, ქეცბაია ჩივაძეზე უკეთესი მწვრთნელი იყოს, მაგრამ ისინი რომ ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან, წყალი არ გაუვა. თუ მართლა დიდია განსხავავება კონცეფციებს შორის, როგორ უნდა მოხდეს ფეხბურთელის დაწინაურება ახალგაზრდულიდან ეროვნულ ნაკრებში? ორი სხვადასხვა მოდელის გუნდი ერთ საქმეს როგორ გააკეთებს?

ნაკრების მწვრთნელის ხელფასი კი ისევ ტაბუდადებული თემაა, არადა საინტერესო იქნებოდა ოფიციალური ინფორმაცია ამის შესახებ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ხომ სანაკრებო დოტაციას სახელმწიფოსგან იღებს, სახელმწიფო კი ფულს მოქალაქეების გადასახადებიდან ინაგრებს.

ჩივაძემ როცა თქვა, გრანდებიან ჯგუფში მეორე ადგილი უნდა დავიკავოთო, მაშინ ფეხბურთის ფედერაციისგან ჯამაგირი 1000 ლარი ჰქონდა...

**დავით თავართქილაძე**



მარცხნიდან: გულვერდ თომაშვილი, გოგიტა გოგუა, შოთა კაშია

# გულვერდ თომაშვილი: მოგებისთვის ვიბრძოლებთ

**ხვალ გორის "დილა" ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლას შეეცდება. გუნდი ზამთარში საკმაოდ გაძლიერდა, მაგრამ ზაფხულში კიდევ უფრო სოლიდური მოთამაშეები დაიმატა – გოგიტა გოგუა, შოთა გრიგალაშვილი, გიორგი შაშიაშვილი, დავით კვირკველია, გიორგი ონიანი, ნიკოლოზ ჯიშკარიანი, გულვერდ თომაშვილი, ვაკო კაციტაძე და ლაშა გვალია, რომლებიც ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდნენ.**

**სიმართლე ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი გულვერდ თომაშვილის ტრანსფერი იყო: თბილისის "დინამოს" გაზრდილი ახალგაზრდა მცველის გორში გადასვლა დიდი სიურპრიზი იყო.**

**გულვერდ თომაშვილს ინტერვიუ დანიაში თამაშამდე ჩამოვართვით.**

**- ახალგაზრდა დინამოელები გუნდიდან თუ მიდიან, უმთავრესად, უცხოეთში - რა გახდა შენი "დილაში" გადასვლის მიზეზი?**

- კონტრაქტი დამიმთავრდა და გაგრძელებას ვაპირებდი, მაგრამ რაღაცაზე ვერ შევთანხმდით, ამასობაში კი "დილამ" კარგი კონტრაქტი შემომთავაზა. დასამალი რა არის, "დინამოს" ფეხბურთელებს სხვა ქართულ კლუბში გადასვლა უძნელდებათ. გამონაკლისი მეც არ ვარ, კარიერა "დინამოში" დავიწყე და სხვაგან არც მითამაშია. მაგრამ გავიდა დრო და ვითარება შეიცვალა.

**- ერთი წლის წარმოიდგენდი, "დილაში რომ" მოხვდებოდი? ალბათ, არა.**

- საერთოდ, პირობებს გააჩნია. მაშინ "დილა" უმაღლეს ლიგაში გადმოსული სიმპათიური გუნდი იყო, ახლა კი გამორჩეული პირობები აქვს და არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ლიგაში საუკეთესი შემადგენლობა გვყავს.

ცხადია, ერთი წლის წინანდელ გუნდთან უდიდესი განსხვავებაა და აქ თამაში ყველასთვის სასურველია.

**- კონტრაქტი როდემდე გააფორმე?**

- კონტრაქტი ერთწლიანია.

**- წლეულს რა მიზნები გაქვთ?**

- ამბიციებიდან, პირობებიდან და შემადგენლობიდან გამომდინარე, ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლოთ და მჯერა, შედეგსაც მივაღწევთ. გადახედეთ, რა ბიჭები არიან, უმრავლესობას ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში უთამაშია, ძალიან მაღალი კლასის მოთამაშეები არიან – ამ გუნდს ჩემპიონობისთვის ბრძოლის რეალური შანსიც ექნება.

**- თუმცა, ჯერ შეთამაშება გაკლიათ.**

- ეს ბუნებრივიც არის, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ერთმანეთს საერთოდ ვერ ვუგებთ. პირიქით, მოსამზადებელ ეტაპზე გუნდმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ზაფხულის შეკრება ძალიან წაგვადგა. როდესაც შევთამაშდებით, საქართველოს ჩემპიონატში სერიოზული ძალად გადავიქცევით.

**- "ორჰუსთან" მატჩსა და შანსებზე რას იტყოდი?**

- დანიელებს კარგი დონის ჩემპიონატი აქვთ და კლუბებიც საშუალო ევროპულ დონეს ინარჩუნებენ. ცხადია, ძალიან მძიმე მატჩები გველის. მაგრამ ვიმეორებ, ჩვენი შემადგენლობით "ორჰუსთან" მოგება შეგვიძლია.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი

# კლიმიაშვილი საქართველოშია, მაგრამ ქართული შემოთავაზება ჯერ არ აქვს

## ალბათ, ისევ რუსეთი...

**24 წლის ირაკლი კლიმიაშვილი ტაშკენტის "ფახთაკორიდან" წამოვიდა, სადაც მახაჭყალის "ანჟიდან" იყო განათხოვრებული.
კლიმიაშვილი თბილისის "ვიტ ჯორჯიას" აღზრდილია, სადაც არაერთი კარგი სეზონი აქვს გატარებული. ირაკლი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი იყო, ეროვნულ ნაკრებშიც არაერთხელ იყო მიწვეული და მისი აყვანა რამდენიმე წამყვან ქართულ კლუბს სურდა, თუმცა თქმა რად უნდა, რომ რუსული პრემიერლიგის გუნდი აქაურ შემოთავაზებებს გადასწონიდა.
სად ითამაშებს კლიმიაშვილი? მასთან საუბარი ამ კითხვით დავიწყეთ.**



ირაკლი კლიმიაშვილი

- რაღაც ვარიანტები უკვე არის, რუსული პრემიერლიგის ერთ-ერი კლუბიდან არის დაინტერესება და ვნახოთ.

**- "ფახთაკორიდან" წამოსვლის მიზეზი რა არის?**

- იჯარის ვადა ამოიწურა, ერთხელ უკვე გავაგრძელე იჯარა და ამ ეტაპზე უბრალოდ, აღარ მინდა იქ თამაში. ერთი წელიწადი "ფახთაკორში" – ვფიქრობ, საკმარისი დრო ვიყავი იქ.

**- როგორც ფეხბურთელს, რა მოგცა "ფახთაკორში" გატარებულმა ერთმა წელმა?**

- ზოგს ჰგონია, რომ უზბეკეთში თამაში ცუდია, მაგრამ ეს ასე არ არის. "ანჟიში" რომ გადავედი, სათამაშო პრაქტიკა მჭირდებოდა და რადგან იქ ამის საშუალება არ იყო, ამიტომ წავედი "ფახთაკორში". ჩემთვის და ალბათ ყველა ფეხბურთელისთვის მთავარი სწორედ სათამაშო პრაქტიკაა. ისიცაა, რომ "ფახთაკორში" კახა მახარაძე დამხვდა, მას ბავშვობიდან ვიცნობ და რა თქმა უნდა, უზბეკურ გუნდში ადაპტაცია ამანაც გამიადვილა.

**- ქართული კლუბებიდან არ გაქვს შემოთავაზება?**

- ჯერ არა, სულ რაღაც ორი დღეა, რაც თბილისში ჩამოვედი. სხვათა შორის, ქართული კლუბებიდან შემოთავაზება მაშინაც მქონდა, როცა "ანჟიში" გადავედი.

**- შემოთავაზება რომ იყოს, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნდებოდი?**

- ამ კითხვაზე პასუხი რომ გაგცეთ, ჯერ შემოთავაზება უნდა მქონდეს. მე თავისუფალი აგენტი არ ვარ, "ანჟის" ვეკუთვნი და ქართულ კლუბებს ალბათ ხელს არ აძლევს ასეთი ფეხბურთელი აყვანა.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონი

# ვერც ლეგიონერებმა იყოჩაღეს

ისევე, როგორც საქართველოს ჩემპიონი, არც ქართველი ლეგიონერები ყოფილან წარმატებულნი ჩემპიონთა ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო რაუნდში. ერევნის „ულისმა" ტირასპოლის „შერიფს" უმასპინძლა და 0:1 წააგო. მასპინძელთა რიგებში 90-90 წუთი ითამაშეს **თენგიზ უგრეხელიძემ** და **შოთა ჯიქიამ.** **ზაქარია ბეგლარიშვილის** „ფლორამ" შინ 0:2 წააგო შვეიცარიულ „ბაზელთან". ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა. სტუმართა ორი გოლი კი შვეიცარიის ნაკრების ფორვარდმა **ალექსანდერ ფრაიმ** გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# ფრაიბურგი ქართველებს ისევ იწვევს

## ჭანტურია და ჯიქია გერმანიაში დამკვიდრებას ცდილობენ

**სააგენტო Fa Players მალხაზ მუსერიძემ, გუგა კაჭახიძემ და ბესო აბაშიძემ ჩამოაყალიბეს და მიზნად მოთამაშეების ევროპაში გაყვანა დაისახეს, უკრაინა-რუსეთში კი პრინციპულად არ სურთ ქართველი ტალანტების გაყვანა და თვლიან, რომ ევროპაში უკეთ გაიზრდებიან და უფრო სპორტული აზროვნება ექნებათ.**

მათი მუშაობა ამართლებს კიდეც: დანიაში ორი წლის წინ ჩაყვანილი **დავით სხირტლაძე** უკვე "ორჰუსის" ძირითად შემადგენლობაში იმკვიდრებს ადგილს. ამავე გუნდში იყო **ლაშა შინდაგორიძეც**, რომელმაც "ორჰუსის" რეზერვისტებში ერთი წელი გაატარა და დანია თებერვალში დატოვა. მერე თბილისში, საფეხბურთო კლუბ "სასკოში" ვარჯიშობდა. ახლახან კი ლაშა ჩეხეთის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი კლუბის, პრაღის "დუკლას" ახალგაზრდულ გუნდში სწორედ საააგენტო Fa Players-ის დახმარებით მოხვდა.

ახლა უფრო ხმაურიანი გარიგების ინიციატორები გახდნენ: ჩვენთვის ლამის მშობლიურ გერმანულ "ფრაიბურგში" საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ორი ფეხბურთელი ჩაიყვანეს – ვასილ მაისურაძის გუნდის ცენტრალური მცველი და კაპიტანი **ნიკა ჭანტურია** და თავდამსხმელი **დავით ჯიქია.** ორივე მათგანი ნაკრების საკვანძო მოთამაშე იყო და ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლაში უდიდესი როლი ითამაშეს. მათ "ფრაიბურგის" 19-წლამდელთა გუნდში უკვე ივარჯიშეს და კიდევ დარჩებიან.

ორივე ეს მოთამაშე პირველი ლიგის თბილისის "ლოკომოტივში" თამაშობდა და გერმანელები მოლაპარაკებას მის პრეზიდენტ **ლექსო თოფურიასთან** აწარმოებენ.

ვფიქრობთ, ეს ის მაგალითია, როდესაც პირველ ლიგაში გავარდნილი გუნდი უმაღლესი ლიგის ბევრი წარმომადგენლისთვის მაგალითად გამოდგება: ნაკრებისთვის ბევრი ვერ ზრდის ისეთ მოთამაშეებს, როგორც ვითომ გალარიბებულმა და გავარდნილმა "ლოკომოტივმა" მოახერხა. ესაა სწორი მუშაობა, თორემ ბევრი გუნდია უმაღლესში, რომლებსაც ასაკობრივი ნაკრებისთვისაც ერთი მოთამაშეც არ მიუწოდებიათ.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი

# ტორპედო ახალგაზრდა ზუგდიდელებს უმიზნებს

რამდენიმე დღის წინ ვწერდით, რომ ევროპის ლიგაზე „აქტობესთან" წაგების შემდეგ ქუთაისის "ტორპედოში" მნიშვნელოვან საკადრო ცვლილებებზე დაფიქრდნენ.

„ტორპედოს" უდავოდ სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს და „ახალი სისხლი" ესაჭიროება. ქუთაისელებმა ყაზანის „რუბინთან" მოლაპარაკება დუბლშემადგენლობის ქართველი ლეგიონერის, 20 წლის **ავთანდილ ბრაჭულის** იჯარით დამატების თაობაზე დაიწყეს; ქუთაისში მოსალაპარაკებლად იყვნენ ზუგდიდის „ბაიას" ცენტრალური მცველი **ნიკა აფაქიძე** და ამავე გუნდის ცენტრალური ნახევარმცველი **ზვიად სიხარულია**.

შევიტყვეთ, რომ ქუთაისელებს "ბაიადან" კიდევ ერთი მოთამაშის, **აკაკი ფარჯიკიას** დამატება სურთ: 18 წლის ფეხბურთელი ფლანგის ნახევარმცველია. მცირე ასაკის მიუხედავად, გასულ სეზონში ფარჯიკიამ 10 შეხვედრა ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა – თავი გორის "დილასთან" გამოიჩინა

ამავე დროს, გამორიცხული არ არის, ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდიდან რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე გაუშვან.

**მერაბ მამულაშვილი**

ასაკობრივი ლიგები

# წიწილებს ზაფხულშიც ითვლიან

**საქართველოში ასაკობრივი ტურნირები დასრულდა, ჩემპიონები ცნობილია და "წიწილებიც" დაითვალა. ჩვენ გთავაზობთ ყველაზე საინტერესო ტურნირების შედეგებს.
აქვე ვიტყვით, ანგარიშებსა და ცხრილებს ყველაზე მოწესრიგებულად თბილისის ფეხბურთის ფედერაცია გვთავაზობს, სხვა ტურნირებზე კი მწირი ინფორმაცია მოიპოვება.**

■ ■ ■

ელიტლიგაში გამარჯვებული ასაკობრივი გუნდები თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" სტადიონ "ბენდელაზე" (სამედიცინო უნივერსიტეტი) დააჯილდოვა.

**1995**

I ადგილი - თ.ს აკადემია 95 - თენგიზ სულაქველიძე
II ადგილი - ოლიმპიკი - ვლადიმერ ახობაძე
III ადგილი - მერანი - ვაჟა ხუბეჯიშვილი

**1997**

I ადგილი - საბურთალო 1 - გიორგი ჭელიძე
II ადგილი - საბურთალო 2 - ნოდარ ჭელიძე
III ადგილი - ლოკომოტივი - ლაშა გაფრინდაშვილი

**1998**

I ადგილი - საბურთალო 1 - ვლადიმერ მუსერიძე
II ადგილი - მერანი თბ - თამაზ იაშვილი
III ადგილი - დინამოს აკადემია - ლევან გვანცელაძე

**1999**

I ადგილი - ტორპედო ქ - ანზორ ზუკაკიშვილი
II ადგილი - თ.ს აკადემია - ავთო ნებიერიძე
III ადგილი - მერანი 1 - გიორგი ხუბეჯიშვილი

**2000**

I ადგილი - საბურთალო თბ - თემურ ფოცხვერია
II ადგილი - დინამოს აკადემია - ლადო კაკაშვილი
III ადგილი - თ.ს აკადემია - ვახტანგ კოპალეიშვილი

**2001**

I ადგილი - საბურთალო - ლევან ჩხაიძე
II ადგილი - საბურთალო 1 - მიშა მოსიაშვილი
III ადგილი - ივერია ხაშური - ლევან ლომიძე

**2002**

I ადგილი - ნ დინამო - გოჩა ხიტირი
II ადგილი - ბაქსვუდი თბ - მიშა მესხი
III ადგილი - ტორპედო ქ - რეზო გვარაკიძე

**2003 წ**

I ადგილი - მორკინალი - მამუკა ელოშვილი
II ადგილი - ოლიმპი - მამუკა ფანცულაია
III ადგილი - ავაზა 1 - მამუკა ჩუბინიძე

როგორც ხედავთ, საფეხბურთო სკოლა "საბურთალომ" 8 ასაკიდან 4-ში გაიმარჯვა. სკოლის დირექტორი **კახა ამირიძე** ამბობს, რომ ეს სწორად მიმართულების შედეგია: *"ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ დრო გავიდა და ყველა დარწმუნდა, რომ ჩვენ მხოლოდ "იბერიაბიზნესჯგუფის" ფინანსები კი არ გვიმაგრებს ზურგს, არამედ, "საბურთალო" სწორი მიმართულებითა და სწორი დაგეგმვით გამოირჩევა. შედეგები ყველაფერზე მეტყველებს. თუმცა, სიმართლე გითხრათ, აქცენტი გვაქვს გადატანილი არა იმდენად შედეგებზე, რამდენადაც ხარისხზე.*

*რომ იცოდეთ. ჩვენთან "ც" კატეგორიის მწვრთნელები მხოლოდ სტაჟიორად მუშაობენ, მწვრთნელთა 70 პროცენტს "ბ" კატეგორიის სერტიფიკატი აქვს, 4-ს კი – "ა" კატეგორიის. არალიცენზირებულის მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მეგობრები და ახლობლები ყველას გვყავს, მაგრამ საქმეს სათანადო განათლება და გამოცდილება სჭირდება - თუ საქმე არ იცის, ასეთს ვერ ავიყვანთ. სწორი მუშაობა თავისთავად შედეგსაც განაპირობებს, ეს კი ძალიან დიდი სტიმულია, რომ გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი, ინფრასტრუქტურა. შეუძლებელია, შრომა არ დაფასდეს. ".*

■ ■ ■

ყველაზე უფროსი ასაკის ტურნირში, U-18-ში (1994 წელს დაბადებულთა შორის) ჭაბუკთა ლიგაში ჩემპიონი **გიორგი ხიზანიშვილის** გაწვრთნილი (ასისტენტები - **გიორგი დეკანოსიძე, თემურ ჩარკვიანი**) "დინამო" გახდა.

ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე უფროს ასაკში, პრესტიჟული U-17-ის გათამაშება (1995-წლიანები) "ნორჩი დინამოს" გამარჯვებით დასრულდა, რომლის მთავარი მწვრთნელი **რევაზ ბარამიძე** გახლავთ (ასისტენტები **დემნა აბაიშვილი, მერაბ მდივნიშვილი, ვაჟა ჩიტაური, დავით ინაშვილი**).

ამ სკოლის წარმატება იმიტომ არის დასაფასებელი, რომ ბოლო დროს ფინანსურად გაძლიერებული რამდენიმე სკოლისგან განსხვავებით, "ნორჩ დინამოს" დიდად არ ულხინს, მაგრამ სკოლის დირექტორი, ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **ირაკლი შენგელია** ცდილობს, "ნორჩი დინამოს" ძველი ტრადიციები და დონე შეინარჩუნოს.

**რევაზ ბარამიძე**, "ნორჩი დინამოს" მთავარი მწვრთნელი: *"ბუნებრივია, გამარჯვება სასიხარულოა, მაგრამ საფეხბურთო სკოლის უმთავრესი დანიშნულება ნიჭიერი ბავშვების გაზრდაა. ამ კუთხითაც შეგვიძლია თავაწეულები ვიყოთ. U-17-ში გამარჯვებული გუნდიდან უმრავლესობა უკვე უმაღლესი ლიგის კლუბებმა წაიყვანეს: რვა მოთამაშის გასინჯვა "ვიტ ჯორჯიამ" გადაწყვიტა, ორი ბავშვი თბილისის "დინამოში" მიიწვიეს, ერთიც – რუსთავის "მეტალურგში". სკოლის ერთი გუნდიდან 11 ფეხბურთელით უმაღლესი ლიგის კლუბები რომ დაინტერესდებიან, მგონი, ეს სკოლის კარგ მუშაობაზე მეტყველებს".*

**დემნა აბაიშვილი**, "ნორჩი დინამოს" მწვრთნელი: *"ტურნირი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული, უმაღლესი კატეგორიის მსაჯებს გვინიშნავდნენ და კარგ სტადიონებზე ვთამაშობდით. ეს ყველაფერი სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. თავის დროზე მე საბჭოთა ე.წ. "პრიმასტერებში" მითამაშია და კარგად ვიცი, მომავალი თაობების დასტატებისთვის ამ ასაკის ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარება რამდენად მნიშვნელოვანია. თამაშებს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, ასაკობრივი ნაკრებებისა და უმაღლესი ლიგის კლუბების მწვრთნელები ესწრებოდნენ – 19-წლამდელების (კახა კაჭარავა), 17-წლამდელების (ვასილ მაისურაძე), "ვიტ ჯორჯიადან" ზურაბ ბერაძე, თბილისის "დინამოდან" გია ხიზანიშვილი, გიორგი დეკანოიძე... როდესაც ასეთი დაინტერესებაა, ბავშვები ჩვეულებრივზე მეტი სტიმულით ვარჯიშობენ და თამაშობენ. გავა დრო და იმედია, ბავშვები, რომელთა გაზრდასაც წლები და დიდი შრომა შევალიეთ, დიდი სარბიელზეც გვასახელებენ".*

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ. ლუკას პოდოლსკი

# 14 წლის შემდეგ...

**"არსენალის" ახალწვეულმა ლუკას პოდოლსკიმ ESPN-ს ინტერვიუ მისცა, სადაც გერმანელმა ინგლისში გადაბარგებასა და კიდევ ბევრ საინტერესო რამეზე ილაპარაკა. მასალას მონოლოგის სტილში შემოგთავაზებთ.**

- შარშანდელი სეზონის გამო არსენ ვენგერის კრიტიკას არ ვეთანხმები. ის ყოველ წელს ახერხებს გუნდის გაყვანას ჩემპიონთა ლიგაში. გერმანიაში მას ძალიან კარგი რეპუტაცია აქვს, ისევე როგორც მთელ ევროპაში. ძალიან მომწონს მისი შემტევი სტილი. ვენგერის გუნდები სხვებისგან ყოველთვის გამოირჩევიან. ის პრინციპული ადამიანია და მათ ხარჯზე არასოდეს თანხმდება კომპრომისზე. შესაძლოა, ვილაცები მისით უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ დიდი მწვრთნელია. ბოლო წლებში "არსენალი" ბევრმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. არსენი ადგილზე რჩება, რაც იმის დასტურია, რომ "ემირიტსზე" უმთავრესი ფიგურა სწორედ ის არის. რასაკვირველია, მას შეეძლო სხვაგან წასვლა, მაგრამ დარჩა და ახალი გუნდის მშენებლობას შეუდგა. ის ცოცხლობს თავისი იდეებით. ეს გუნდი მისთვის შვილივითაა. მასზე ამბობენ, რომ ფეხბურთელებს პროგრესში დიდად უწყობს ხელს, თუკი მეც დამეხმარება ერთი-ორი რჩევით, მხოლოდ მოხარული ვიქნები. გერმანიაში მის მიღწევებს სათანადოდ აფასებენ და რჩევებს ითვალისწინებენ.

შევეცდებით, შვიდწლიანი უტიტულო ციკლი დავასრულოთ და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილიც დავიკავოთ. ამისთვის "არსენალს" საკმარისად ჰყავს მაღალი კლასის ფეხბურთელები. არ შეიძლება წინასწარ ისეთი განწყობით თამაში, რომ საბოლოოდ ვილაცა მაინც გვაჯობებს. ლიგაში თამაშის განალდება მხოლოდ პროგრამა მინიმუმი უნდა იყოს. ჩემი აზრით, ჩვენ წარმატების ისეთივე შანსი გვაქვს, როგორც სხვა გუნდებს. სეზონის სადებიუტო ნაწილს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. კარგია, რომ "სიტისა" და "იუნაიტედისგან" განსხვავებით "არსენალი" ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ არ ითამაშებს.

მე ერთადერთი ფეხბურთელი არ ვარ, რომელსაც გრანდში ადაპტაცია გაუჭირდა. "ბაიერნში" გადასვლისას ალბათ ძალიან პატარა ვიყავი. დარწმუნებული ვარ, რომ ახლა ყველაფერი სხვაგვარად წარიმართება, რადგან უფრო გამოცდილი, ჭკუადამჯდარი ადამიანი ვარ. ფეხბურთზე უფრო მეტი რამ ვიცი. სხვა თუ არაფერი, გერმანიის ნაკრებში 100 თამაშზე მეტი მაქვს ჩატარებული. ვიცი, რომ ჩემგან ახლა უფრო მეტს მოითხოვენ, ვიდრე "კიოლნში" ელოდნენ. როცა შენი გუნდი მხოლოდ დარჩენისთვის ახერხებს ბრძოლას, ასეთ პირობებში თავის გამოჩენა ძალიან ძნელია, რადგან ყოველი შეცდომა განსაკუთრებულ ფასს იძენს. ეს კი გუნდზე სასარგებლოდ არასოდეს მოქმედებს. "კიოლნი" ჩემი გუნდია. სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან მე იქ 14 წელიწადი გავატარე. იქაურობა ყოველთვის განსაკუთრებული იქნება ჩემთვის. შესაბამისად, მისი მიტოვება წარმოუდგენლად რთული იყო. იმედი მაქვს, ოდესმე ისევ დავბრუნდები. კარიერაში გიხდება ხოლმე ასეთი გადაწყვეტილებების მიღება. ჩემთვისაც დადგა დრო, როცა რაღაც ახალი უნდა მეცადა. "კიოლნმა" მე არ მომცა ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსი. ამიტომაც გადავედი ევროპის ტოპ-კლუბში, გუნდში, რომელიც მე ყველანაირად მაკმაყოფილებს.



ლუკას პოდოლსკი

პრემიერლიგაში ბევრად უფრო დიდი კონკურენციაა, ვიდრე ბუნდესლიგაში. აქ ალბათ 8-9 კლუბია ისეთი, რომელსაც შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება და ოთხეულში ადგილის დაკავება. ეს ნიშნავს, რომ ყველა ტური განსაკუთრებული გამოცდა იქნება.

ადაპტაციაში ხელს შემიწყობს ის, რომ შემიძლია თამაში შეტევის დამაგვირგვინებლად, უკანდახეულ თავდამსხმელად და შემიძლია სიღრმეში მოქმედებაც. ჩემი თამაშის სტილი საკმაოდ ავანტიურულია, იოლად ვიხსნები და გუნდის დასახმარებლად ყველაფერს ვაკეთებ - საკუთარი თამაშით კმაყოფილიც მხოლოდ ამ შემთხვევაში ვრჩები. მსიამოვნებს მოსმენა, როცა ხალხი აღნიშნავს, რომ დაცვაში თამაში გავაუმჯობესე. მე კიდევ ვაგრძელებ ამ საფეხბურთო კომპონენტზე მუშაობას.

ამტკიცებენ, რომ მალე გერმანიის ნაკრების ძირითადში ადგილს დავკარგავ... ნამდვილად არ ვაპირებ ასე იოლად დანებებას. დაე, ასეც მოხდეს, ეს არ იქნება იმის ნიშანი, რომ სამყაროს აღსასრული დადგა. ნებისმიერ შემთხვევაში გუნდის წევრად დავრჩები და მის წარმატებებში ჩემს წვლილს შევიტან. ბედზე წუწუნს არ ვაპირებ, ეს ჩემი სტილი არ არის. გერმანიაში უნიჭიერესი ახალგაზრდა თაობა მოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკურენცია ამ ფრონტზეც გამძაფრდება. მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ.

ვარსკვლავი

# როგორც ბითლზი



რიო ფერდინანდი

**"მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა რიო ფერდინანდმა "დეილი მეილის" ჟურნალისტთან "ეშმაკებში" პირველ მოსამზადებელ შეკრებაზე მიღებულ შთაბეჭდილებებსა და გუნდის ახლანდელ ახალწვეულებზე ილაპარაკა.**

- მახსოვს, "იუნაიტედთან" კონტრაქტს ხელი მოვაწერე თუ არა, მალე შეკრებაზე გავემგზავრეთ. მიკვირდა, რომ ამხელა კლუბი აღმოჩნდა, მეგონა, სხვა პლანეტაზე აღმოვჩნდი-მეთქი. მახსოვს, რომ რჩევებს ნიკი ბატს ვეკითხებოდი. ერთხელაც, ქუჩაში რომ გამოვედი, თავი "ბითლზის" მუსიკოსი მეგონა. აზიაში "იუნაიტედზე" ჭკუას კარგავენ. ვერსად გაისეირნებთ, რადგან უმალ ფანების ალყაში მოექცევით. მსგავსი შეკრებები თანაგუნდელებთან დაახლოებაში გეხმარება, რაც ახალგაზრდა ფეხბურთელებისა და ახალწვეულებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამჟამად მე, როგორც გუნდის ერთ-ერთ ვეტერანს, მევალება, რომ სხვა ფეხბურთელებს ჩვენთან ადაპტაცია გავუადვილო. მაგალითი უნდა ვიყო, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მოედანზე თუ მის მიღმა. ახალწვეულებზე დაკვირვება უკვე მოვასწარი და შევამჩნიე, რომ კაგავას საოცარი სტილი აქვს. მისი თამაში ბუნდესლიგაშიც ნანახი მქონდა, მაგრამ ახლა ბევრად უფრო კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მან ინგლისური საკმაოდ კარგად იცის, ალბათ ბევრად უკეთ, ვიდრე ანდერსონმა. ნიკ პაუელზე კი იმის თქმა შემიძლია, რომ პატარა და ძალიან ნიჭიერი ბიჭია. კაგავასა და პაუელისთვის საკონტროლო მატჩებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. გამოხვიდე მოედანზე ისე, რომ შენთვის სულერთი იყოს, ასე არ გამოვა, რადგან ეს "მანჩესტერ იუნაიტედია". აქ ყველა ფეხბურთელმა ყოველ ჯერზე თავიდან უნდა დაუმტკიცოს მწვრთნელს თავისი საჭიროება. გულშემატკივრები ხშირად გვეკითხებიან ხოლმე "იუნაიტედის" შესაძლო შენაძენებზე. ვფიქრობ, სერ ალექსმა უკვე საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავისი პრიორიტეტები. ახალ ფეხბურთელებზე კი ჩვენ იმდენივე ვიცით, რამდენიც გულშემატკივრებმა. იმედია, რამდენიმე ფეხბურთელს კიდევ ვიხილავთ.

საინტერესო იქნებოდა დაგვეთვალა, თუ რამდენჯერ მივიღე ტრავმა ბოლო წლებში. ამ მხრივ უკანასკნელ სეზონს კიდევ არა უშავდა. ჩავატარე დაახლოებით 35 მატჩი ("იუნაიტედის" საიტის მიხედვით, რიომ 38 მატჩი გამართა. რედ). გამიხარდა, რომ ზურგის ტრავმის რეციდივს გადავურჩი. ამის გამო კლუბის ფიზიოთერაპევტებს დიდ მადლობას მოვახსენებ. იმედია, ამდენ თამაშს წელსაც გავმართავ. სიმართლე გითხრათ, ინგლისის ნაკრებში დაბრუნებაზე უკვე აღარ ვფიქრობ. მთელი ძალების კონცენტრაციას "იუნაიტედისთვის" ვგეგმავ.

მანჩესტერ იუნაიტედი

# მზადება აფრიკაში

"მანჩესტერ იუნაიტედის" დღეს სამხრეთ აფრიკაში მოსამზადებელ ეტაპზე პირველ მატჩს გამართავს (ჩვენი დროით 22:00) ადგილობრივ "ამაზულუსთან". მთავარმა მწვრთნელმა **ალექს ფერგიუსონმა** დურბანში ჩასვლისა და დაბინავების შემდეგ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა. შოტლანდიელმა თავის გუნდზე ვრცლად ისაუბრა: *"ძირითადში რასაკვირველია, უფრო გამოცდილ ფეხბურთელებს დავაყენებ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც აუცილებლად მივცემთ შანსს, რაც მათი განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შეტევაში ჩიჩარიტოსა და კაგავას დაყენებას ვაპირებ, აუცილებლად ითამაშებენ კერიკი, ფერდინანდი, სქოულზი, ლინდეგორი, ბრედი და ვალენსია".*

ამ დღეებში გაირკვა, რომ "იუნაიტედს" ჩემპიონატის პირველ ტურებში ცენტრალური მცველი **ჯონი ევანსი** დააკლდება. შეგახსენებთ, რომ 2011/12-ის სეზონის დასრულების შემდეგ ის სასწრაფოდ საოპერაციო გახდა (კოჭი აწუხებდა), რამაც ჩრდილოირლანდიელის ოცნებას, ლონდონის ოლიმპიადაზე ბრიტანეთის ნაკრების შემადგენლობაში ეთამაშა, წერტილი დაუსვა. სამაგიეროდ, გეგმის მიხედვით მიმდინარეობს **კრის სმოლინგისა** და **ნემანია ვიდიჩის** აღდგენითი პროცესი. ისინი პრემიერლიგის პირველი ტურისთვის უკვე ფორმაში იქნებიან.



ჯონი ევანსი

ამბები


რობერტო დი მატეო

## ყველაფერი იდეალურად

"იუნაიტედისგან" განსხვავებით "ჩელსი" მოსამზადებელ ეტაპზე შაბათს გაემგზავრა. პირველ მატჩს "ლურჯებიც" დღეს გამართავენ სიეტლში ადგილობრივი "საუნდერსის" წინააღმდეგ. პრესისთვის კომენტარი **რობერტო დი მატეოს** თანაშემწე **სტივ ჰოლანდმა** გააკეთა: *"ამ ეტაპზე უმთავრესია, რომ ტრავმებს თავი ავარიდოთ. ამის შანსი კი დიდია. ვცდილობთ, ბალანსი დავიცვათ და ვარჯიშები ეტაპობრივად გავართულოთ. ეს საკმაოდ რთულია, მაგრამ ამ ეტაპისთვის ბიჭები კარგ ფორმაში არიან და ნელ-ნელა უმატებენ. ბაზაზე მასპინძლებმა შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ პერსონალი თავს გვევლება. აქ ყოფნით ძალიან ბედნიერები ვართ. ულამაზეს გარემოში ვცხოვრობთ, ვაშინგტონის ტბასა და ტყეს შორის".*

## ლივერპული ალენს მიუახლოვდა

"დეილი ტელეგრაფის" ცნობით, "ლივერპული" სულ უფრო ახლოსაა "სუონსის" 22 წლის უელსელი შემტევი ნახევარმცველის **ჯო ალენის** გადაბირებასთან. ჟურნალისტების მტკიცებით, მერსისაიდელებს მისი შეძენა 11 მილიონი ფუნტი დაუჯდებათ. შეგახსენებთ, რომ "წითლებმა" უკვე გააფორმეს "რომადან" **ბრენდან როჯერსის** კიდევ ერთი ყოფილი შეგირდის **ფაბიო ბორინის** ტრანსფერი. როჯერსს პარალელურად ფულჰემელი **კლინტ დემპსის** შეძენა და **ენდი კეროლის** იჯარით გაშვებაც აქვს დაგეგმილი. ამ უკანასკნელ საქმეზე ყველაზე მეტად "ნიუკასლი" აქტიურობს, თუმცა "კაჭკაჭებმა" უარი მიიღეს პირველ ეტაპზე ერთწლიან იჯარასა და შემდგომ 10 მილიონ ფუნტად ფეხბურთელის გამოსყიდვაზე. "ლივერპული" 1,5 წლის 35 მილიონად ნაყიდ ფეხბურთელში 20 მილიონს ითხოვს.

## რიჩარდსი სირთულეებს ელის

"მანჩესტერ სიტის" 24 წლის მარჯვენა მცველი **მიკა რიჩარდსი** მომდევნო სეზონისგან სერიოზულ სირთულეებს ელის. მისი თქმით ჩემპიონობის შენარჩუნება უფრო ძნელი იქნება, ვიდრე მისი მოპოვება იყო. ის არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ "ეტიჰად სტედიუმის" მკვიდრთ შეუძლიათ პრემიერლიგაში ისეთივე დომინანტებად გადაიქცნენ, როგორც ამას "იუნაიტედი" წლების განმავლობაში ახერხებდა. *"ჩვენს ჩემპიონატში ბევრი ისეთი კლუბია, რომელსაც სერიოზული პოტენციალი აქვს და შეუძლია პრობლემები შეგვიქმნას. ასეთებს მივაკუთვნებ "ტოტენჰემს", ვისაც ახალი, ამბიციური მწვრთნელი ჰყავს, რა თქმა უნდა, "მანჩესტერ იუნაიტედს" და "ჩელსის", ვინც სერიოზულად გაძლიერდა, ასევე "არსენალსა" და "ლივერპულს,"* – განუცხადა ფეხბურთელმა SKY Sports-ს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

პასი ამერიკიდან. ბრაზილია. სერია A. IX ტური

# სერია A-ში ვარსკვლავები მრავლდებიან

## მშვიდობიანი კლასიკოების ტური

ბიბლიოთეკა




რობინიოც სამშობლოში ბრუნდება?

**კორინთიანსი–ნაუტიკო 2:1**

**გოლები:** 0:1 ელიკარლოსი (22), 1:1 დანილო (23), 2:1 დანილო (50)

**ფიგეირენსე–ატლ. მინეირო 3:4**

**გოლები:** 0:1 რონალდინიო (18-პენ), 1:1 ანდერსონ კონსეისაო (38), 2:1 ჟულიო სეზარი (45), 3:1 რონი (60), 3:2 ლეონარდო სილვა (65), 3:3 ბერნარდი (71), 3:4 გილერმე (76)

**პონტე პრეტა–კორიტიბა 4:1**

**გოლები:** 1:0 როჟერი (36), 1:1 პერეირა (40), 2:1 რიკარდინიო (49), 3:1 როჟერი (53), 4:1 როჟერი (90)

**გაძევება:** ჟილი (89. კორიტიბა)

*შენიშვნა: ანდერსონ აკინოს (კორიტიბა) არ უთამაშია*

**ბოტაფოგო–ფლუმინენსე 1:1**

**გოლები:** 0:1 ფრედი (53), 1:1 ანდრეზინიო (67)

**ინტერნასიონალი–სანტოსი 0:0**

**გაძევება:** ჟუანი (48. სანტოსი)

**კრუზეირო–გრემიო 1:3**

**გოლები:** 0:1 მ. მორენო (26), 0:2 კლებერი (29), 0:3 მორენო (65), 1:3 ველინგტონ პაულისტა (90-პენ)

**გაძევება:** ვერლეი (43. გრემიო)

**ბაია–ფლამენგო 1:2**

**გოლები:** 0:1 ერნანე (32), 1:1 კლებერსონი (38), 1:2 რენატო აბრეუ (72-პენ)

**გაძევება:** ლუიზ ანტონიო (44. ფლამენგო)

**ვასკუ და გამა–ატლ. გოიან. 1:0**

**გოლი:** 1:0 ალექსანდრო (14)

**პალმეირასი–სან პაულუ 1:1**

**გოლები:** 0:1 ლუიშ ფაბიანო (13), 1:1 მაზინიო (54)

**გაძევება:** ენრიკე (54. პალმეირასი)

**სპორტი–პორტუგეზა 2:1**

**გოლები:** 1:0 ენრიკე (16), 2:0 ჟილბერტო (69), 2:1 მოიზესი (72)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლ. მინეირო | 9 | 7 | 1 | 1 | 16-6 | 22 |
| 2. ვასკუ და გამა | 9 | 6 | 2 | 1 | 16-11 | 20 |
| 3. ფლუმინენსე | 9 | 5 | 4 | 0 | 16-6 | 19 |
| 4. ბოტაფოგო | 9 | 5 | 1 | 3 | 21-15 | 16 |
| 5. სან პაულუ | 9 | 5 | 1 | 3 | 12-10 | 16 |
| 6. ინტერნასიონ. | 9 | 4 | 4 | 1 | 12-7 | 16 |
| 7. გრემიო | 9 | 5 | 0 | 4 | 12-9 | 15 |
| 8. პონტე პრეტა | 9 | 4 | 3 | 2 | 13-9 | 15 |
| 9. ფლამენგო | 9 | 4 | 3 | 2 | 15-13 | 15 |
| 10. კრუზეირო | 9 | 4 | 2 | 3 | 12-11 | 14 |
| 11. სპორტი | 9 | 3 | 3 | 3 | 10-11 | 12 |
| 12. ნაუტიკო | 9 | 3 | 1 | 5 | 10-17 | 10 |
| 13. სანტოსი | 9 | 1 | 6 | 2 | 7-7 | 9 |
| 14. კორინთიანსი | 9 | 2 | 2 | 5 | 7-12 | 8 |
| 15. პორტუგეზა | 9 | 2 | 2 | 5 | 6-12 | 8 |
| 16. ფიგეირენსე | 9 | 1 | 5 | 3 | 11-14 | 8 |
| 17. კორიტიბა | 9 | 2 | 1 | 6 | 14-20 | 7 |
| 18. ბაია | 9 | 1 | 4 | 4 | 7-12 | 7 |
| 19. პალმეირასი | 9 | 1 | 3 | 5 | 8-11 | 6 |
| 20. ატლ. გოიან. | 9 | 0 | 2 | 7 | 4-16 | 2 |

ბომბარდირები: 6 - ალექსანდრო (ვასკუ და გამა), როჟერი (პონტე პრეტა); 5 - ლუიშ ფაბიანო (სან პაულუ), არაუჟო (ნაუტიკო), ველინგტონ პაულისტა (კრუზეირო); 4 - გ. ერერა (ბოტაფოგო), რენატო აბრეუ (ფლამენგო), ვაგნერ ლავი (ფლამენგო).

**მომდევნო ტური**

18 ივლისი: სანტოსი-ბოტაფოგო, გრემიო-სპორტი, პორტუგეზა-კრუზეირო, ნაუტიკო-პონტე პრეტა, ფლამენგო-კორინთიანსი, სან პაულუ-ვასკუ და გამა, ატლ. მინეირო-ინტერნასიონალი.

19 ივლისი: ფლუმინენსე-ბაია, კორიტიბა-პალმეირასი, ატლ. გოიანიენსე-ფიგეირენსე.

**ბრაზილიურ სერია A-ში მე-9 ტურის მატჩები გაიმართა, რომელთა შემდეგ, როგორც იქნა, გავარდნის ზონას მოწყდა ლიბერტადორესის თასის მფლობელი „კორინთიანსი". ჩემპიონატს კი მოულოდნელი ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს - რონალდინიოს ახალი კლუბი „ატლეტიკო მინეირო".**

### ტრაგედია და ფეხბურთი

მოკლედ, გაგაცნობთ, რაც ამ ტურამდე მოხდა: ბრაზილიის თასის ფინალს ტრაგედია მოჰყვა. მართალია, ის პირდაპირ ფეხბურთთან დაკავშირებული არაა, მაგრამ... „პალმეირასის" გამარჯვების შემდეგ სან პაულუს გარეუბან ოსასკოში 8 ადამიანის გვამი იპოვეს. პოლიცია ამტკიცებს, რომ ამას ქალაქში მოწყობილ საფეხბურთო ზეიმთან კავშირი არ აქვს.

პორტუგალიელმა ნახევარმცველმა **დეკუმ** კი „ფლუმინენსესთან" ხელშეკრულება გააგრძელა. „ბარსელონასა" და „ჩელსის" ექსფეხბურთელმა, რომელიც 34 წლისაა, კიდევ 1 წლით გაახანგრძლივა ხელშეკრულება, რომელსაც ვადა აგვისტოში გასდიოდა.

### შინაომებისთვისაც მოიცალეს

„კორინთიანსმა", როგორც იქნა, მოიცალა შინაური პირველობისთვის და მეორედ გამოიყვანა ძირითადი შემადგენლობა. „ტიმაომ" ამჯერად „ნაუტიკოს" მოუგო. არადა, თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ - **ელიკარლოსმა** ბურთი ცენტრში მიიღო და თითქმის „კორინთიანსის" საჯარიმომდე მიაღწია, იქ კი მან არაზუსტი პასი გააკეთა, მისდა ბედად მცველმა ბურთი ისევ ელიკარლოსის მიმართულებით მოიგერია, რომელმაც საჩუქარი შეიშნო და **კასიოს** კარი დალაშქრა. „ნაუტიკო" წინ დიდხანს არ ყოფილა - **რომარინიომ** (**რომარიოს** ვაჟი) ბურთი აართვა მეტოქეს, საჯარიმოში კი **ფაბიო სანტოსმა** ჩააწოდა, **დანილომ** ერთი შეხებით დაიმორჩილა ბურთი, მეორე მოძრაობით კი ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმის დასაწყისში დანილომ მეტოქის საჯარიმოში არეულობით ისარგებლა, ამის შემდეგ „კორინთიანსი" თავს კარგად იცავდა - 2:1.

### თრილერი ლიდერის გამარჯვებით

ფლორიანოპოლისში ორმა გუნდმა 7-გოლიანი თრილერი შემოგვთავაზა, „ფიგეირენსეს" „ატლეტიკო მინეირო" მოულოდნელი ლიდერის სახით ეწვია. **რონალდინიომ** სტუმრები პენალტით დააწინაურა, თუმცა ამის შემდეგ ინიციატივა მასპინძლებმა იგდეს ხელთ. ჯერ კონსეისაომ თავურით გაათანაბრა, **ჟულიო სეზარმა** კი წინ გაიყვანა „ფიგეირენსე". მეორე ტაიმი დაიწყო და მასპინძლებმა მესამე გაიტანეს - ჟულიო სეზარმა **რონის** გაატანინა - 3:1. აი, ამის მერე ლიდერმა სამი გოლი გაიტანა და შინ 3 ქულა წაიღო! სამი გოლი „ატლეტიკო მინეირომ" 11 წუთში გაიტანა. ჯერ რონალდინიოს ჩაწოდებულით **ლეონარდო სილვამ** ისარგებლა, შემდეგ **ბერნარდმა** თავურით გაათანაბრა და ბოლოს შეცვლაზე შესულმა **გილერმემ** სტუმრებს მოაგებინა - 4:3.

ბრაზილიის თასის ფინალისტი „კორიტიბა" კი საშინლად განადგურდა „პონტე პრედასთან" - 1:4. ამ მატჩში **როჟერმა** ჰეთ თრიკი შეასრულა.

### მშვიდობიანი და საინტერესო კლასიკო

ბრაზილიის უძველესი „კლასიკო" „ბოტაფოგოსა" და „ფლუმინენსეს" შორის მშვიდობიანი ანგარიშით დასრულდა, რისი წყალობითაც ორივე კლუბმა შეინარჩუნა ადგილი პირველ ოთხეულში. მეორე ტაიმში „ფლუ" **ფრედმა** თავურით გაიყვანა წინ, მაგრამ მალევე **მარსიო აზევედუმ ანდრეზინიოს** გაატანინა - 1:1. **ფელიპე გაბრიელს** რომ ეყოჩაღა, მასპინძლები წინაც გავიდოდნენ, მაგრამ მან მეკარესთან პირისპირ გასულმა მოახერხა და ბურთი მაინცდამაინც მას გაარტყა.

„ინტერნასიონალისა" და „სანტოსის" მატჩისგან კი აშკარად მეტს ველოდით. „ინტერიდან" საუკეთესო **დაგობერტო** იყო. „გრემიომ" ტაიმი 10 კაცით ითამაშა და ამის მიუხედავად სტუმრად 3:1 დაამარცხა „კრუზეირო". დუბლი **კლებერის** ანგარიშზეა.

### კიდევ მეტი ვარსკვლავი

ტურის დასრულების შემდეგ გამოცხადდა, რომ „ინტერნასიონალმა" **ჟუანი** შეიძინა. 33 წლის მცველი ბოლოს „რომაში" თამაშობდა. „გლობო ესპორტეს" თუ დავუჯერებთ, მალე ბრაზილიაში კიდევ უფრო კაშკაშა ვარსკვლავი უნდა გადავიდეს - „სანტოსი" „მილანს" 28 წლის **რობინიოს** სანაცვლოდ 4 მილიონ ევროს და მეკარე **რაფაელს** უთმობს.




დეკუმ კონტრაქტი გააგრძელა

ევროპის ჩემპიონატი. U-19

# ტოპ-10 ტალანტი ესტონეთიდან

## დღეს აკიაფებული ხვალის ვარსკვლავები

**უეფას ოფიციალურმა საიტმა 19-წლამდელ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატიდან შეარჩია ის ათი ფეხბურთელი, რომლებიც ყველაზე დიდ იმედებს იძლევიან სამომავლოდ. აღსანიშნავია, რომ 10-დან 2 გამარჯვებული, ესპანეთის ნაკრებიდანაა და მათ შორის არ არის „ოქროს ბუცის" მფლობელი ხესე როდრიგესი - „რეალის" ახალგაზრდა შემტევმა ესტონეთში 4 მატჩში 5 გოლი გაიტანა. შესაძლოა, უეფას საიტმა ხესე უკვე შემდგარ ვარსკვლავად ჩათვალა.**

**სწორედ ამ ასაკობრივ ტურნირზე გამოჩდნენ თავის დროზე ჟერარდ პიკე, უგო ლორისი, უეინ რუნი და სხვები. მაშ ასე, თქვენს წინაშეა ის ათეული, რომელთაც ყველაზე მეტად მოგვწყვიტეს თვალი ესტონეთში.**

### ჟან-კრისტოფ ბაებეკი
**(საფრანგეთი, ფორვარდი)**

თამაში შეუძლია როგორც ცენტრფორვარდად, ისე გარემარბად. ბაებეკი „პარი სენ ჟერმენის" სკოლის აღზრდილია. ბაებეკი გამოირჩევა უდიდესი სისწრაფით, რითაც ჩიხში ამწყვდევს მეტოქე მცველებს. საფრანგეთს ბაებეკი ძალიან დააკლდა ნახევარფინალში, ესპანელთა წინააღმდეგ, როცა პირველივე ტაიმში ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

### ბრუმა
**(პორტუგალია, ფორვარდი)**

ლისაბონის „სპორტინგის" ახალგაზრდული აკადემია გამოირჩევა ნაყოფიერი მუშაობით. სწორედ ამ აკადემიის აღზრდილია ბრუმა. ბრუმამ გაიბრწყინა პორტუგალიელთა შემტევ გუნდში, რომელმაც ჯგუფში 4 ქულა მოიპოვა. 17 წლის გარემარბს უნაკლო დრიბლინგი, სისწრაფე და ჩაწოდებები აქვს.

### ჟერარდ დეულოფეუ
**(ესპანეთი, ფორვარდი)**

ის 2011 წელსაც იყო ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრების წევრი. ასე რომ, ჟერარდმა ეს ტიტული ზედიზედ მეორედ მოიგო. ის ესპანეთის ნაკრების ყველაზე სახიფათო და ყველაზე კრეატიული შემტევი იყო, ცვლიდა პოზიციებს მუდმივად, ტერორში ჰყავდა მეტოქეები. როცა „ბარსელონას" ფეხბურთელს თამაში მისდის, ამ დონის ფეხბურთის ჩვენება ამ ასაკში მსოფლიოში არავის შეუძლია. მისმა ჭკვიანურმა პასმა მოაგებინა ესპანეთს ფინალში საბერძნეთის ნაკრების წინააღმდეგ.

### ერიკ დაიერი
**(ინგლისი, მცველი)**

ძლიერი და აგრესიული დაიერი ლისაბონის „სპორტინგის" ცენტრალური მცველია. ინგლისმა რომ ნახევარფინალში გააღწია, დიდწილად დაიერის კარგი თამაშის დამსახურებაა. დაიერი საკუთარ თავში დარწმუნებული მცველია, რითაც გუნდის არიერგარდში სტაბილურობა შეაქვს. მას ძალიან უყვარს შეტევის ხაზის გრძელი პასებით მომარაგება.




რარდ დეულოფეუს თამაში წაუვიდა, მისი შეჩერება თითქმის შეუძლებელია

### გიორგოს კატიდისი
**(საბერძნეთი, ფორვარდი)**

ბერძენთა კაპიტანმა ფინალურ ტურნირზე სამი გოლი გაიტანა. მან დიდებულად ითამაშა პორტუგალიასთან (დუბლი) და გუნდის სული და გული იყო ინგლისელებთან მატჩში, როცა საბერძნეთის ნაკრები 10 ფეხბურთელის ამარა დარჩა.

### კარლ-ეერიკ ლუიგენდი
**(ესტონეთი, ნახევარმცველი)**

ესტონელთა კაპიტანი, რომელიც მეტოქეს უმთავრესად მარცხენა ფრთიდან უტევდა. ლუიგენდი ერთადერთი ნათელი წერტილი იყო მასპინძელთა გუნდში და ნაკრების ერთადერთი გოლიც ტურნირზე მან გაიტანა.

### ნიკოლა ნინკოვიჩი
**(სერბეთი, ნახევარმცველი)**

გაიტანა გოლი ინგლისელთა კარში, ერთი-ორჯერ ბურთი ძელს გაარტყა. მოკლედ, იყო სერბთა ყველაზე სახიფათო ფეხბურთელი. ნინკოვიჩი ძალიან კარგად არჩევს პოზიციას, ფიზიკურად ძლიერია, ტექნიკურია და კარზე დაგეშილი - მოკლედ, მომავლის ვარსკვლავია.

### პაკო ალკასერი
**(ესპანეთი, ფორვარდი)**

გასული წლის ფინალში ნამდვილი ფურორი მოახდინა, ახლაც ძალიან სასარგებლო ფეხბურთელი იყო. ესტონეთთან ბრწყინვალედ შეცვალა დისკვალიფიცირებული ხესე, ძალიან კარგი იყო საფრანგეთთან მატჩშიც.

### დომაგოი პავიჩიჩი
**(ხორვატია, ნახევარმცველი)**

პავიჩიჩს უკვე ხშირად ადარებენ ლუკა მოდრიჩს. ტურნირზე საუკეთესო იყო ხორვატთა შორის და აჩვენა ძალიან კარგი მონაცემები, გაიტანა ორი გოლი. ბრწყინვალეა მოედნის შუაში, სხარტი და კარგი დამრტყმელია კარში.

### კოსტას სტაფილიდისი
**(საბერძნეთი, მცველი)**

პაოკ-ის მარცხენა მცველი, რომელმაც გამოტოვა პირველი მატჩი ესპანეთის ნაკრებთან. შემდეგ დაბრუნდა ძირითადში და ყველას აჩვენა, რომ საუკეთესოა თავის პოზიციაზე. სტაფილიდისის თამაშის მანერა შემტევი და აგრესიულია.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ფიფა

# ბლატერის ღია წერილი გერმანიას

## ზეპის განმარტება: იცით, რა ვიგულისხმე?




კვირას, ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** შვეიცარიულ გაზეთ „ბლიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გაკეთებული განცხადებებით საფეხბურთო მსოფლიო, უფრო კი გერმანია შოკში ჩააგდო. ბოლო დროს კრიტიკის ქარცეცხლში გახვეულმა 76 წლის ფუნქციონერმა თქვა, გერმანელებმა 2006 წლის მუნდიალის მასპინძლობის უფლება იყიდესო. გუშინ ბლატერმა გაზეთ „ბილდში“ ღია წერილი გამოაქვეყნა, რომლითაც შოკირებულ და მასზე განრისხებულ გერმანელებს მიმართავს. სანამ ამ წერილის შინაარსს გაგაცნობდეთ, კიდევ ერთხელ გაგახსენებთ, რა უთხრა ბლატერმა „ბლიკს“.

*„გაყიდული მუნდიალი... ჰმ... ახლა მახსენდება ის დღე, როცა გერმანიამ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოიპოვა. კარგად მახსოვს, როგორ დატოვა ერთმა პიროვნებამ სხდომა კენჭისყრის მიწურულს. ამ ფაქტის გამო ხმები გერმანიის სასარგებლოდ 10:9-ზე გადანაწილდა და გერმანელებმა მუნდიალის მასპინძლობის უფლება მიიღეს. იმ პიროვნებას სხდომა რომ არ დაეტოვებინა, 10:10 დაფიქსირდებოდა, რადგან ყველამ ვიცოდით, რომ ის გერმანიისთვის არ აპირებდა ხმის მიცემას. უცებ ადგა და გავიდა.“*

ბლატერის ამ განცხადებას კორესპონდენტის ლოგიკური კითხვა მოჰყვა: *„და თქვენ ეჭვობთ, რომ გერმანიამ 2006 წლის მუნდიალის მასპინძლობის უფლება იყიდა?“* ზეპის პასუხი: *„კი არ ვეჭვობ, დავადგინე!“*

ბლატერს გერმანელ ფუნქციონერებთან დაძაბული ურთიერთობა კი აქვს (მას ყველაზე ხშირად და მწარედ სწორედ გერმანელები აკრიტიკებენ). მის ამ განცხადებებს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **ვოლფგანგ ნირსბახი** გამოეხმაურა – მან თქვა, რომ გერმანია სუფთაა, ბლატერის მიზანი კი ყურადღების სხვა თემაზე გადატანა იყოო.

როგორც ჩანს, ნირსბახი ცამდე მართალია იმ კუთხით, რომ ზეპს მართლაც საფეხბურთო საზოგადოების ყურადღების გადატანა სურდა, რადგან ფიფას ბოსმა, რომელსაც წყალი აქვს შემდგარი, „ბილდის“ ფურცლებიდან სრულიად საფეხბურთო გერმანიას ღია წერილი მისწერა, რომელშიც იკვეთება, რომ მისი მიზანი თავის მართლება უფრო იყო, ვიდრე გერმანელების რამეში დადანაშაულება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ზეპისთვის თავის მართლების უკანასკნელი და საკმაოდ სარისკო შანსი იყო, რადგან მნიშვნელობა არ აქვს, იყიდეს თუ არა გერმანელებმა 2006 წლის მუნდიალის მასპინძლობის უფლება – ასეც რომ იყოს, ეს პირველ რიგში სწორედ ფიფას პრეზიდენტს, ანუ, თავად ბლატერს აკისრებს პასუხისმგებლობას. ამიტომაც დასვა ორშაბათს გერმანულმა გაზეთმა ფრანკფურტერ რუნდშაუმ ასეთი კითხვა: *„ნუთუ ბლატერი იმ ტოტს ჭრის, რომელზეც თვითონ ზის?“*

ახლა კი გაეცანით ბლატერის ღია წერილს, რომელიც „ბილდში“ გამოქვეყნდა.

### ბლატერის წერილი გერმანიას

ბილდის ძვირფასო მკითხველებო,
უძვირფასესო გერმანელებო,

გაზეთ „ბლიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, კითხვაზე, რას ვეტყოდი იმ ადამიანებს, რომლებიც დღენიადაგ იმეორებენ, რომ ყატარმა და რუსეთმა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება არაობიექტურ სიტუაციაში მოიპოვეს, მე ვთქვი, რომ 2006 წლის მუნდიალის მასპინძლობის უფლებაც ნაყიდია და ისე გამომივიდა, თითქოს შეგვიძლია, თვით გერმანიასაც წავუყენოთ ბრალდება. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ყოველთვის და ნებისმიერ გადაწყვეტილებას შეიძლება ეჭვის თვალით შეხედო. ყოველთვის შეიძლება მონახო იმის არგუმენტი, რომ ესა თუ ის საქმე სუფთად არ გაკეთდა. ამის შემდეგ ჟურნალისტმა მკითხა, ეჭვობთ თუ არა, რომ გერმანიამ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი იყიდაო, რაზეც ვუპასუხე, კი არ ვეჭვობ, დავადგინე-მეთქი, რაც იმას ნიშნავს, რომ




როდესაც სხდომის მიწურულს ხმის უფლების მქონე ადამიანი დგება და მოულოდნელად ოთახიდან გადის, ეს საეჭვოზე მეტია, რადგან ყველამ ვიცოდით, რომ ეს კაცი თავის ხმას გერმანიას არ აძლევდა და სხდომა რომ დატოვა, სწორედ ამიტომ მოიპოვა გერმანიამ 2006 წლის მუნდიალის მასპინძლობის უფლება.

ეს ფაქტი გვიჩვენებს და გვიმტკიცებს იმას, რომ ყოველთვის შეიძლება მიზეზის მონახვა და გადაწყვეტილებაში ეჭვის შეტანა. იმის თქმა მინდოდა, რომ ეჭვები შეიძლება ისეთ სუფთა და წესიერ ქვეყანასთან მიმართებაშიც კი გაჩნდეს, როგორიც გერმანიაა – გერმანია, რომელმაც 2006 წელს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მუნდიალი ჩაატარა. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი მართლაც იდეალურად ორგანიზებული საფეხბურთო ზღაპარი იყო, რომლითაც გერმანია სამართლიანად ამაყობს.

ჩემო ძვირფასებო, მე არ მჯერა თეორიების, მე მხოლოდ ფაქტების მჯერა. სანამ არ არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ყატარმა და რუსეთმა მუნდიალის მასპინძლობის უფლება კორუფციის გზით მოიპოვეს, ამის გადაჭრით თქმის უფლება არავის აქვს. ეს ზუსტად ისე ეხება ყატარს და რუსეთს, როგორც გერმანიას! აი, ამის თქმა მინდოდა პირველ რიგში.

პატივისცემით,
თქვენი **ზეპ ბლატერი**

დორტმუნდის ბორუსია

# ლევანდოვსკი: ფლირტი ინგლისთან

## რობერტმა, პრემიერლიგაში სიამოვნებით ვითამაშებდიო



რობერტ ლევანდოვსკი ინგლისში თამაშზე ოცნებობს

არ წყდება სპეკულაციები, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ 23 წლის პოლონელმა თავდამსხმელმა **რობერტ ლევანდოვსკიმ** შეიძლება გერმანიის ჩემპიონი დატოვოს. მისი გადაბირებით არაერთი კლუბია დაინტერესებული, ოფიციალურ მოლაპარაკებამდე კი საქმე არ მისულა.

შესაძლოა, იმიტომ, რომ ლევანდოვსკი გახანგრძლივებულ შვებულებაში იყო და საქმისთვის არ ეცალა. ახლა კი შვებულება დაუმთავრდა და გუშინ „ბორუსიას“ შეუერთდა. დორტმუნდელებს პოლონელი, რა თქმა უნდა, არ ეთმობათ და არც თვითონ ფეხბურთელი აცხადებს გადაჭრით, რომ „დორტმუნდიდან“ წასვლა უნდა, მაგრამ არც იმას ამბობს, აუცილებლად BVB-ში დავრჩებიო. უფრო მეტიც: პოლონელმა ინგლისურ კლუბებს აუშალა სალერღელი.

პოლონელ გოლეადორს „ბორუსიასთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ თუ რომელიმე პრემიერლიგური კლუბი მისი სამსახურით სერიოზულად დაინტერესდება, ინგლისში გადასვლაზე უარს არ იტყვის.

*„პრემიერლიგაში დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი, ინგლისის ჩემპიონატი ბავშვობიდან ძალიან მომწონს. იმედი მაქვს, რომ ოდესმე პრემიერლიგაში თამაშის საშუალება მომეცემა,“* - უთხრა ლევანდოვსკიმ ჩვენ პოლონელ კოლეგებს და ეს განცხადება ნამდვილად არ ჰგავს „დორტმუნდისთვის“ ერთგულების გამოცხადებას.

მაშ ასე: ლევანდოვსკი ინგლისში თამაშზე ოცნებობს! საინტერესოა, რას ფიქრობენ „დორტმუნდის“ ხელმძღვანელები: *„რობერტ ლევანდოვსკის რეალობა „დორტმუნდია“ და წესით, ოცნებაც „დორტმუნდი“ უნდა იყოს, რადგან რობერტი აქ თავს შესანიშნავად გრძნობს. ჩვენ მის ნათქვამს პროფესიონალურად უნდა მივუდგეთ. ცხადია, აქვს იმის უფლება, რომ პრემიერლიგაში თამაშზე ოცნებობდეს, მაგრამ ჩვენ მის გასხვისებას არ ვაპირებთ,“* - აცხადებს „ბორუსიას“ მენეჯერი **მიხაელ ცორკი**.

თუმცა მაინც არაა გამორიცხული, რომ ლევანდოვსკიმ გერმანიის ჩემპიონი და თასის მფლობელი ახლავე დატოვოს, რადგან „ბორუსიასთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებას ჯერ არ აპირებს – ყოველ შემთხვევაში, ცორკისთვის შეთავაზებაზე არც „ჰო“ უთქვამს და არც „არა“. შეგახსენებთ, რომ ლევანდოვსკის ფასი დაახლოებით 20 მილიონი ევროა.

ამბები

### დააბამენ ჰუნტელაარს კაპიტნის სამკლავურით?

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ „შალკეს“ ხელმძღვანელები უკვე ძალიან ნერვიულობენ იმის გამო, რომ 28 წლის ჰოლანდიელი თავდამსხმელი **კლაას-იან ჰუნტელაარი** გელზენკირხენულ კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს. როგორც იცით, მის ხელშეკრულებას ვადა მომავალი სეზონის ბოლოს ეწურება.

სიახლე ის არის, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „შალკე“ ჰუნტელაარს სამწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 24 მილიონ ევროს სთავაზობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ჰოლანდიელის ხელფასი წელიწადში 8 მილიონი ევრო იქნება. ჰუნტელაარს კი, როგორც ჩანს, ან ფული ეცოტავება, ანაც სხვა კლუბებისგან ელის შეთავაზებებს. გუშინ „ბილდი“ იმასაც წერდა, ჰუნტელაარის შენარჩუნების მიზნით, „შალკეს“ მთავარი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** მის გაკაპიტნებაზეც კი ფიქრობსო. შეგახსენებთ, რომ გელზენკირხენელთა ამჟამინდელი კაპიტანი მცველი **ბენედიქტ ჰიოვედესია**.

### კიდევ ერთი ესპანელი გლადბახში?

მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ვარჯიშებზე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა: **ლუსიენ ფავრის** გუნდში, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან იბრძოლებს, 2-დღიან სინჯებზე 21 წლის ესპანელი ფეხბურთელი, მარცხენა გარემარბი **ესეკილ კალვენტე** იმყოფება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „გლადბახის“ მწვრთნელსა და შეფებს ეს უკანასკნელი მოეწონათ და მის დატოვებას შეეცდებიან.

### სოკრატისი: ვერდერი ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად იბრძოლებს!

„ვერდერის“ ბერძენ მცველ **სოკრატის პაპასტატოპულოსს** სჯერა, რომ ბრემენული კლუბს მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა შეუძლია.

*„განხორციელებული ტრანსფერები ოპტიმისტურად განმაწყობს. მჯერა, რომ მომავალ სეზონში გაცილებით უკეთ ვიასპარეზებთ. წესით, „ვერდერმა“ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის უნდა იბრძოლოს. გუნდს ნამდვილად აქვს ამის პოტენციალი,* - უთხრა 24 სოკრატისმა „ვეზერ კურიერს“ და დასძინა, - *ამ სეზონში აუცილებლად „ვერდერში“ ვითამაშებ, მერე კი ვნახოთ...“*

შეგახსენებთ, რომ ბრემენელებმა ახალი სეზონისთვის **ასანი ლუკიმია** (ფორტუნადან), **თეოდორ გებრე სელასიე** (ლიბერეციდან), **ნილს პეტერსენი** (ბაიერნიდან) და **ელჯერო ელია** (იუვენტუსიდან) გადაიბირეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

უცხოური ფეხბურთი

ბაიერნი



მათიას ზამერი და არიენ რობენი: ისინი ერთმანეთს მხოლოდ ფიზიკურად როდი ჰგვანან

# რობენი ზამერს ემსგავსება

## ნუთუ მათიასმა არიენი ერთი საუბრით გარდაქმნა?

როდესაც **მათიას ზამერი** მიუნხენის „ბაიერნის" სპორტულ დირექტორად დაინიშნა, გერმანელმა ექსპერტებმა ერთხმად აღნიშნეს, მათიასს ყველაზე მეტად **არიენ რობენის** მორჯულება გაუჭირდებაო. რა სჭირს ჰოლანდიელს ზამერის მოსარჯულებელი? ცნობილია, რომ 44 წლის ფუნქციონერი ვერ იტანს ეგოისტ ფეხბურთელებს, რომლებიც უკეთეს პოზიციაში მყოფი თანაგუნდელისთვის პასის მიცემას კარში დარტყმას ამჯობინებენ და ვერც ისეთებს, ვინც თავგანწირვით არ იბრძვის. რობენი კი სწორედ ასეთია! თუ იყო?

28 წლის ჰოლანდიელი გარემარბი შვებულებიდან დაბრუნდა და რეკორდმაისტერს შეუერთდა. რობენს ისედაც მოკლე ვარცხნილობა ჰქონდა და თმა კიდევ უფრო დაუმოკლებია, რითაც ზამერს ფიზიკურად ახლა უფრო მეტად ჰგავს, მაგრამ ამ სტატიის წერა მხოლოდ მათიასსა და არიენს შორის ფიზიკური მსგავსების გამო არ დაგვიწყია: ჩვენს გერმანელ კოლეგებს რობენი ზამერს უკვე მოედანზე ქცევებითაც აგონებთ. ცნობილია, რომ შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ ჰოლანდიელი ზამერს შეხვდა და თუ მათიასმა ერთი შეხვედრით შეძლო რობენის გარდაქმნა, „ბაიერნს" მისი სახით მართლა „ტუზი დასცემია".

### სულ სხვა რობენი

ფაქტია, რომ რობენი ვარჯიშებზე ძალიან მონდომებული ჩანს – თვითონაც თავდაუზოგავად იბრძვის და თანაგუნდელებსაც იმავეს სთხოვს. ამასთან, ბევრს ლაპარაკობს, პასებს ითხოვს, არიგებს და ერთი სიტყვით, უჩვეულო როლშია. აქამდე, ფანებს მისგან მუდმივი მოძრაობა და დროული გახსნა ოფიციალურ მატჩებში ენატრებოდათ, ახლა კი რობენი ამას ვარჯიშებზეც კი უდიდესი მონდომებით აკეთებს.

გარდა ამისა, ინტერვიუების დროს რობენი უკვე ჩამოყალიბებული ლიდერივით ლაპარაკობს, ხშირად ახსენებს ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა „პასუხისმგებლობა" და „ბრძოლა". რაც ყველაზე მთავარია, ზამერის დარად, რობენიც უმაღლეს მიზნებს ისახავს და საკმაოდ თავდაჯერებულია: *„იმედგაცრუებების დრო წარსულს ჩაბარდა, მომავალ სეზონში სამივე ტურნირი უნდა მოვიგოთ!"* - ამბობს აზრზე მოსული ჰოლანდიელი.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რის გამოც ექსპერტებმა რობენში ზამერი დაინახეს: პირველ ვარჯიშზე არიენმა მოედანზე გასვლა დააგვიანა და გუნდს მხოლოდ მაშინ შეუერთდა, როცა მწვრთნელ **იუპ ჰაინკესს** ფეხბურთელებთან საუბარი დაწყებული ჰქონდა. ვარჯიშის შემდეგ, რობენი მოედანზე დარჩა და იმ დროს, როცა მისი თანაგუნდელები უკვე ან გასახდელში იყვნენ, ანაც ავტოგრაფებს არიგებდნენ, ჰოლანდიელი ფიზმომზადების მწვრთნელთან ერთად ჯერ კიდევ განტვირთვით იყო დაკავებული. მათიას ზამერი კი ამ ყველაფერს თვალს ძალიან კმაყოფილი სახით ადევნებდა – მას და ზოგადად „ბაიერნს" სწორედ ასეთი არიენ რობენი სჭირდება.

როგორც ჩანს, ჰოლანდიელს მოტივაცია იმ ფაქტმაც შემატა, რომ გულშემატკივრები ოვაციებით შეხვდნენ – მისი პირველი ვარჯიში 3000-მდე ფანმა ნახა და ისინი რობენს ტაშით შეეგებნენ. ვარჯიშის შემდეგ არიენმა თქვა, ეს ძალიან კარგი დასაწყისია და რატომღაც მგონია, რომ ეს სეზონი „ბაიერნისთვის" იდეალური გამოვაო...

**გოტფრიდ ლენცი**


# დოქტორ სონი კაფს N20

მცენარეული დამამშვიდებელი, საძილე საშუალება




ჩვენებები:

- ძილის დარღვევა და უძილობა
- ემოციური სტრესი, შფოთვა, ნერვული აგზნებადობა
- აკვიატებული აზრები, ფსიქიკური გაღიზიანებადობა.
- დეპრესია.

Nabros Pharma Pvt. Ltd.

მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა"
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
შ.პ.ს. „კონკა ფარმა"
მიცკევიჩის № 56
ტელ: 223 63 25

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს


უეფა. ნომინანტები

# 32 ნომინანტი ცნობილია

## ვინ გახდება ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი 30 აგვისტოს გავიგებთ

უეფამ დაადგინა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელობის 32 კანდიდატის სია, მათ შორის, ბუნებრივია, შარშანდელი გამარჯვებული **ლიონელ მესიცაა**. აქედან ერთ თვეში 29 გაიცხრილება და დარჩება 3 ფინალისტი. 30 აგვისტოს მონაკოში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელსაც დაასახელებენ.

ეს პრიზი **მიშელ პლატინის** მოწადინებით პირველად შარშან გადაეცა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს.

გთავაზობთ ნომინანტთა სიას, რომელიც უეფას 53 წევრი ქვეყნების ჟურნალისტებმა შეადგინეს. საინტერესო ფაქტია - 32 ნომინანტს შორის ერთი ფეხბურთელიც არ არის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტ „ბაიერნიდან", მაშინ როცა სიაშია „ბანგორ სიტის" სანახევროდ პროფესიონალი ფეხბურთელი **ლეს დევისი**.

### ნომინანტები

**ჯანლუიჯი ბუფონი** (იტალია, იუვენტუსი), **სერხიო აგუერო** (არგენტინა, მანჩესტერ სიტი), **ჩაბი ალონსო** (ესპანეთი, რეალი), **მარიო ბალოტელი** (იტალია, მანჩესტერ სიტი), **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** (პოლონეთი, ბორუსია), **იკერ კასილიასი** (ესპანეთი, რეალი), **პეტრ ჩეხი** (ჩეხეთი, ჩელსი), **ფაბიო კოენტრაო** (პორტუგალია, რეალი), **ლესლი დევისი** (უელსი, ბანგორ სიტი), **დიდიე დროგბა** (კოტ დ'ივუარი, ჩელსი), **სესკ ფაბრეგასი** (ესპანეთი, ბარსელონა), **რადამელ ფალკაო** (კოლუმბია, ატლეტიკო), **ჯო ჰარტი** (ინგლისი, მანჩესტერ სიტი), **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (შვედეთი, მილანი), **ანდრეს ინიესტა** (ესპანეთი, ბარსელონა), **შინჯი კაგავა** (იაპონია, ბორუსია), **ვენსან კომპანი** (ბელგია, მანჩესტერ სიტი), **ფრენკ ლემპარდი** (ინგლისი, ჩელსი), **ლიონელ მესი** (არგენტინა, ბარსელონა), **ლუკა მოდრიჩი** (ხორვატია, ტოტენჰემი), **მესუთ იოზილი** (გერმანია, რეალი), **პეპე** (პორტუგალია, რეალი), **ანდრეა პირლო** (იტალია, იუვენტუსი), **სერხიო რამოსი** (ესპანეთი, რეალი), **რაულ გონსალესი** (ესპანეთი, შალკე), **კრიშტიანო რონალდო** (პორტუგალია, რეალი), **უეინ რუნი** (ინგლისი, მანჩესტერ იუნაიტედი), **დავიდ სილვა** (ესპანეთი, მანჩესტერ სიტი), **ფერნანდო ტორესი** (ესპანეთი, ჩელსი), **იაია ტურე** (კოტ დ'ივუარი, მანჩესტერ სიტი), **რობინ ვან პერსი** (ჰოლანდია, არსენალი), **ჩავი ერნანდესი** (ესპანეთი, ბარსელონა).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



იკერ კასილიასი და ჩავი პრეტენდენტთა შორის არიან

ტრანსფერები




# ნილმარი ყატარში წავიდა

გუშინ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ „ვილიარეალის" ბრაზილიელი ფორვარდი **ნილმარი** ყატარულ „ალ-რაიანში" გადავიდა. „წყალქვეშა ნავის" ხელმძღვანელობა ნილმარის სანაცვლოდ 8 მილიონ ევროს ითხოვდა და არაბებმა ეს მოთხოვნა დააკმაყოფილეს. მომავალი 4 სეზონის განმავლობაში ნილმარი ყატარის ჩემპიონატში ითამაშებს. 28 წლის ნილმარი 2009 წელს გადავიდა „ინტერნასიონალიდან" „ვილიარეალში", სადაც 85 თამაშში 26 გოლი გაიტანა. ნილმარი ბრაზილიის ნაკრებში 2003 წლიდან თამაშობს - 23 მატჩი, 9 გოლი.

# კარლოს ველა ბასკებს დარჩა

„რეალ სოსიედადის" ხელმძღვანელობამ მიაღწია „არსენალთან" შეთანხმებას - მექსიკელი **კარლოს ველა** ამიერიდან ბასკურ კლუბში ითამაშებს. 23 წლის ველამ გასული სეზონი „რეალ სოსიედადში" იჯარით გაატარა და ლა ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო - 35 თამაში, 12 გოლი და 7 საგოლე პასი. ველა 2016 წლის ზაფხულამდე ითამაშებს „რეალ სოსიედადში".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მილანი

# როლანდუ სილვას ნაცვლად?


როლანდუ "პორტუს" მხოლოდ "მილანის" გულისთვის დატოვებს

მას შემდეგ, რაც **ტიაგო სილვა** პსჟ-ში გადაბარგდა, ნათელი გახდა, რომ "მილანი" ცენტრალური მცველის შეძენაზე გააკეთებდა აქცენტს. იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "როსონერის" მესვეურებმა "პორტუს" უკანახაზელ **როლანდუს** დაადგეს თვალი და მის გადაბირებასაც აპირებენ. 26 წლის მცველი 2008 წლიდან იცავს პორტუგალიური გრანდის ღირსებას, 110 თამაში აქვს ჩატარებული და 7 გოლი გატანილი. პირინეელები როლანდუს 15 მილიონ ევროდ აფასებენ – ცნობილია ისიც, რომ თურქული "ბერშიქთაში" მზადაა ფეხბურთელის სანაცვლოდ აღნიშნული თანხა გადაიხადოს – თუმცა, თავად როლანდუს მხოლოდ "მილანში" სურს გადასვლა:

*"პორტუგალიაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ერთადერთი გუნდი, რომლის გამოც გარემოს შეცვლას დავთანხმდები, ეს "მილანია". "როსონერიში" ასპარეზობა ჩემი ბავშვობის ოცნებაა და ბედნიერი ვიქნები, თუ ეს ოცნება ამიხდება. ველოდები მილანიდან ზარს და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დასრულდება".*

"მილანთან" დაკავშირებით, კიდევ არაერთი ინფორმაცია ვრცელდება - მაგალითად, ამბობენ, რომ **რობინიო** შესაძლოა "სანტოსში" გადავიდეს, **ანტონიო კასანომ** კი "ჯენოას" მიაშუროს. თუ კასანოს გენუაში გადაბარგება ნაკლებად წარმოსადგენია, რობინიოს სამშობლოში დაბრუნება უფრო რეალური მოჩანს – ეს მის კომენტარშიც იკითხება:

*"სამშობლოდან მართლაც დამიკავშირდნენ და არ არის გამორიცხული, რომ კარიერა "სანტოსში" გავაგრძელო. ამ თემაზე, უახლოეს მომავალში "მილანის" მესვეურებს შევხვდები და ყველაფერს დეტალურად განვიხილავთ. ჩემი სურვილია, რომ "როსონერიში" კიდევ მინიმუმ ორი წელი დავრჩე, მაგრამ ყველაფერი ჩემზე არაა დამოკიდებული. ვნახოთ, ამ საკითხს მალე მოეფინება ნათელი".*

## პატო ტიფოზებს ამშვიდებს

მართალია, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** პსჟ-ში გადაბარგების ამბავი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ ამ საქმეს წინ პრაქტიკულად აღარაფერი უდგას. შვედი ფორვარდის ღირსეული შემცვლელის მოძებნა იოლი არ იქნება, ამიტომ, არ არის გამორიცხული, **მასიმილიანო ალეგრის** არსებული რესურსით მოუწიოს ფონს გასვლამ. ანუ, არის შანსი, მომდევნო სეზონში "როსონერის" თავდასხმის ხაზი მნიშვნელოვნად შესუსტდეს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ლომბარდიელები კარლოს ტევესის ფრონტზე აპირებენ გააქტიურებას. გულშემატკივრებს მოვლენათა ასეთი განვითარება მაინცდამაინც არ ხიბლავთ და სოციალურ ქსელში ერთი ამბავი აქვთ ატეხილი – **ალეშანდრე პატო** კი ტიფოზებს ამშვიდებს და გოლებს ჰპირდება:

*"გულშემატკივრებს ნერვიულობის საბაბი ნამდვილად არ აქვთ, რადგან "მილანი" დიდი გუნდია და ერთ ფეხბურთელზე დამოკიდებული არასდროს ყოფილა. ამასთან, გუნდში კიდევ ბევრი მაღალი კლასის ფორვარდია და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. პირადად მე, თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი. მართალია, ბევრმა ჩამომწერა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ შემიძლია უმაღლეს დონეზე თამაში. საერთოდ, დაპირებები არ მიყვარს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მაქვს საფუძველი ოპტიმისტური განცხადება გავაკეთო".*

პარმა

# ემილიელთა ბერძენი ახალწვეული

ვერ ვიტყვით, რომ "პარმას" მესვეურებმა სატრანსფერო ბაზარზე ფეხბურთელი არ გაუშვეს ხელიდან, მაგრამ აქტიურები რომ არიან, ეს ფაქტია. მომდევნო სეზონიდან, ემილიურ გუნდში **სოტირის ნინისი** ითამაშებს, ბერძენი ფეხბურთელი, რომელიც ბოლო 6 წლის განმავლობაში "პანათინაიკოსის" ღირსებას იცავდა. ნინისი სულ რაღაც 22 წლის არის და შესაბამისად, ემილიელებმა დაუფიქრებლად გაუფორმეს ხანგრძლივვადიანი, 4-წლიანი ხელშეკრულება. თავად ფეხბურთელი მომხდარით ბედნიერია და ამას არც მალავს:

*"ძალიან მიხარია, რომ ისეთი დიდი გუნდის შემადგენელი ნაწილი გავხდი, როგორიც "პარმაა". მართალია, გუნდს საუკეთესო დროება არ უდგას, მაგრამ ეს ყველაფერი წარმავალია და დარწმუნებული ვარ, "პარმა" მალე დაიბრუნებს ძველ დიდებას. ენთუზიაზმით ვარ აღსავსე და მჯერა, რომ მომდევნო სეზონში მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ".*


სოტირის ნინისი

იუვენტუსი/ინტერი

# კონტემ ესტიგარიბია არ გაუშვა

## მაროტა: ახალი სეზონისთვის მზად ვართ


კონტეს ესტიგარიბია სჭირდება

მილანის "ინტერის" მესვეურები არ ცხრებიან და აქტიურ სატრანსფერო კამპანიას აგრძელებენ. ბოლო ინფორმაციით, კლუბის სპორტული დირექტორი **მარკო ბრანკა** "იუვენტუსის" მესვეურებს შეეხმიანა და **მარსელო ესტიგარიბიას** ტრანსფერის შესახებ ჩამოუგდო სიტყვა. ტურინულ გრანდში ფლანგის ფეხბურთელების დეფიციტი ნამდვილად არ არის და სავარაუდოდ, ესტიგარიბიას თადარიგში მოუწევს ყოფნა, "ინტერში" კი ახალ გუნდს აკეთებენ და მღვრიე წყალში რომ თევზის დაჭერა უფრო ადვილია, ეს ცხადზე უცხადესია. ერთი სიტყვით, მილანელებმა ტურინელებს თანხის დასახელება სთხოვეს და თუ რა პასუხი მიიღეს, ამის შესახებ "იუვეს" სპორტული დირექტორისგან შეიტყობთ – მოვუსმინოთ **ჯუზეპე მაროტას**:

*"ესტიგარიბიას შესახებ ანტონიო კონტეს ვესაუბრე და მან პირდაპირ მითხრა, რომ მარსელოზე დიდ იმედებს ამყარებს. შესაბამისად, მისი სხვა გუნდში გაშვების შესაძლებლობა გამოირიცხა, მიუხედავად იმისა, რომ მილანელები საკმაოდ სარფიან წინადადებას გვთავაზობდნენ. ამ დროისთვის, თითოეულ პოზიციაზე ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვყავს, რაც წარმატების მთავარი წინა პირობა იქნება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველა რგოლი თანაბრად არის დაკომპლექტებული და ახალი სეზონისთვის 100%-ით მზად ვართ – თუმცა, მიუხედავად ამისა, სატრანსფერო ბაზარზე კიდევ ვაპირებთ აქტიურობას".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ნაპოლი

# ჰამშიკი: სლოვაკი ნეაპოლელი

## მაცარი ტრანსფერებით კმაყოფილია

**მარეკ ჰამშიკის "ნაპოლიდან" შესაძლო აბარგების შესახებ იტალიურ პრესაში აქტიურად იწერება, თუმცა როგორც ჩანს, ეს ყველაფერი უბრალო ჭორებია და სლოვაკი შემტევი არსად წასვლას არ აპირებს. ამის შესახებ მან "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტთან ისაუბრა...**

### მომავალი

საერთოდ, შორს მიმავალ გეგმებს არასდროს ვისახავ, დღეს კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ნეაპოლში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ. კლუბთან ხელშეკრულების ვადა 2014 წლის ივლისს მეწურება და იქამდე კიდევ დიდი დროა დარჩენილი. თუ "ნაპოლის" მესვეურები კონტრაქტის გახანგრძლივებას შემომთავაზებენ, არც კი დავფიქრდები, ისე მოვაწერ ხელს, რადგან ამ გუნდის წინაშე ვალში ვარ. ის, რასაც დღეს წარმოვადგენ, დიდწილად ნეაპოლში გატარებული წლების დამსახურებაა და ამის დავიწყება შეუძლებელია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სლოვაკი ნეაპოლელი ვარ.

### ტრავმა

ტრავმა მეგიბრებთან ფეხბურთის თამაშის დროს მივიღე და ერთი პერიოდი, ძალიან შეშინებული ვიყავი. თუმცა, ექიმებმა დამამშვიდეს და მითხრეს, რომ სერიოზული არაფერია და მალე, სრული დატვირთვით შევძლებ ვარჯიშს. სპორტის უპირველესი სახეობის გარეშე ცხოვრება უბრალოდ ვერ წარმომიდგენია და შესაბამისად, ტრავმის ყველაზე მეტად მეშინია. ჯერჯერობით მსუბუქად ვვარჯიშობ, თუმცა მალე სრულად დავიტვირთები. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი, რადგან თამაში უკვე მომენატრა. ვფიქრობ, რომ "ნაპოლი" უკეთესი გუნდი იქნება, ვიდრე გასულ სეზონში. მართალია, ესეკიელ ლავეცის სახით ლიდერს შეველიეთ, მაგრამ სამაგიეროდ, არაერთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი დავიმატეთ და მე თუ მკითხავთ, უკეთეს შემადგენლობას მოვუყარეთ თავი. უფრო მეტად გამოცდილები ვართ და გუნდშიც საოცრად კარგი ატმოსფეროა.

### მიზანი

მიზანი ნებისმიერ შემთხვევაში ევროსაგზურის მოპოვება იქნება და თუ სამეულში შევძვერით, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ექნება. ძნელია დაჰპირდე გულშემატკივარს, რომ აუცილებლად მოიპოვებ ჩემპიონთა ლიგის საგზურს, მაგრამ ერთს კი დანამდვილებით ვიტყვი, თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე ვიბრძოლებთ. "ნაპოლი" დიდი ტრადიციების გუნდია და აუცილებლად მაღალი მიზნებისთვის უნდა იბრძოდეს. ეს გულშემატკივართა მოთხოვნაა, რომელსაც ბოლომდე ვაცნობიერებთ.

ამასობაში, "ნაპოლისთან" დაკავშირებით საინტერესო ცნობა გავრცელდა, რომლის მიხედვითაც, დიდია შანსი, მომდევნო სეზონიდან გუნდის ღირსება **ალექსანდრ მერკელმა** დაიცვას. ნეაპოლური კლუბის მესვეურები მზად არიან მის სანაცვლოდ "ჯენოას" ბიუჯეტში 4 მილიონი ევრო გადარიცხონ, თუმცა გენუელთა პოზიცია ჯერჯერობით უცნობია. "ნაპოლის" პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** აღნიშნული ტრანსფერით პირადად არის დაინტერესებული:

*"ნახევარდაცვა გაძლიერებას საჭიროებს და მერკელის გადაბირებით ამ მიმართულებით დიდ ნაბიჯს გადავდამთ წინ. ვპირდები გულშემატკივრებს, რომ ალექსანდრის შესაძენად ყველაფერს გავაკეთებ. ზოგადად, სატრანსფერო ბაზარზე კიდევ უფრო გავაქტიურდებით და გუნდს არაერთი ფეხბურთელით გავაძლიერებთ. კონკრეტულ გვარებს დღეს ვერ ჩამოგითვლით, მაგრამ მალე ყველაფერი გადაწყდება და გაცხადდება კიდეც".*

ეს აურელიო დე ლაურენტისის ალბათ რიგით მეათე დაპირებაა და აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვას ასრულებს კიდეც – ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ ნეაპოლელებმა **ალესანდრო გამბერინი** და **ვალონ ბერამი** გადაიბირეს, რაც სერიოზულ შევსება უნდა მივიჩნიოთ – ბოლოს, "ნაპოლის" მთავარ მწვრთნელს, **ვალტერ მაცარის** გადავცეთ სიტყვა, რომელიც სწორედ აღნიშნულ ტრანსფერებს გამოეხმაურა:

*"მართალია, ბერამი და გამბერინი ოფიციალურად ჯერ ისევ "ფიორენტინას" ფეხბურთელები არიან, მაგრამ მათ განეაპოლელებას წინ აღარაფერი უდგას. ალესანდრო გამოცდილი მცველია, რომელიც წლებია დამაჯერებლად ირჯება, ვალონი კი უნივერსალური თვისებებით გამოირჩევა და შეგიძლია სხვადასხვა პოზიციაზე გამოცადო. პირადად მე, აღნიშნული ტრანსფერებით ძალიან კმაყოფილი ვარ".*



● თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჭაბუკთა პირველობა

# ბრინჯაოსფერი ევროპა

პოლონურ კატოვიცეში გუშინ დაწყებულ ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატში ქართველმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ერთი ბრინჯაო მოიპოვეს. მას ქუთაისელი **ომარ გურჯიძე** (69) დაეუფლა, ვინც ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონია, ოღონდ მაშინ 63-ში ასპარეზობდა, წლეულს კი წონა შეიცვალა. ამის მიუხედავად, მას თავი არც ახლა შეურცხვენია. არადა, წონის შეცვლას უმეტესად ადაპტაციის რთული პროცესიც თან ახლავს ხოლმე, მაგრამ ქუთაისელმა ფალავანმა ეს მტკივნეული პროცესი უმტკივნეულოდ დაძლია.

გურჯიძემ ტურნირი რუსი **მუსლიმ ევლოევის** ძლევით დაიწყო - პირველი პერიოდი 0:1 დათმო, მაგრამ მომდევნოებში ასეთივე ანგარიშით იმარჯვა. განსაკუთრებით ეფექტური დამატებითში მოპოვებული ქულა იყო, როცა მეტოქე კონტრილეთზე დაიჭირა, მერე კი, სირენამდე რამდენიმე წამით ადრე მის შეტევასაც ვაჟკაცურად გაუძლო. ჩვენებურის უპირატესობა რუმინელ **გრეგორი ბოდისტეანუსთან** აშკარა იყო - 3:0; 2:1. მომდევნო მეტოქე მომავალი ფინალისტი, ბულგარელი **ენგინ ისმაილი** აღმოჩნდა, რომელმაც ალალად მოიგო - 1:0, 3:0, ჩვენებურმა კი ბრინჯაოსთვის ბრძოლაში იტალიელ **არონ კანევას** აჯობა.

ბრინჯაოსთვის იჭიდავა **ირაკლი მნითურმაც** (85), რომელმაც ჩემპიონატი ძლევამოსილად დაიწყო - ფრანგი **ქვეტინ მილერი** ორივე პერიოდში ქულებით სუფთად, 6;0; 6:0 აოტა. მოლოდინისამებრ, მეორე შეხვედრაში მეტოქედ რუსი, მომავალი ჩემპიონი **სულთან რაბადანოვი** ერგო, რომელსაც პირველი პერიოდი ნილისყრის დამსახურებით მოუგო - ბურთულას წითელსამოსიანი ჩვენებური იღებდა და მანაც თავისი ფერი ამოიღო, მერე კი შანსი ხელიდან აღარ გაუშვა. სამწუხაროდ, მომდევნო პერიოდებში ის თავის თავს არ ჰგავდა და დამარცხდა. მან სანუგეშოში თურქ **ილდენიზ სავრანს** აჯობა, მაგრამ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში გერმანელ **ერიკ ტილესთან** წაგება მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, განსაკუთრებით - მეორე პერიოდში, თორემ პირველი 0:3 დათმო. მეორეში მეტოქის შეცდომით მშვენივრად ისარგებლა, კონტრილეთზე დაიჭირა და ჩოქბჯენში გადაყვანით 1:0 დაწინაურდა. სამწუხაროდ, მეტოქემ ანგარიში იქვე გაუქვითა - შეხვედრის განმაახლებელი სასტვენის მიუხედავად, მნითური თითქოს არ ელოდა ისე მყისიერ შეტევას და გერმანელს მოუმზადებელი დახვდა. მას მერეც შეეძლო ქულის მოპოვება, მაგრამ მეტოქემ კარგად დაიცვა ფეხი.

გუშინ ნაჭიდავები დანარჩენი სამეულიდან ყველაზე მეტად **გიორგი თოდუა** (42) მოგვეწონა, მშვიდი, ჟინიანი, გაწონასწორებული ხასიათისა და შემტევი სტილის გამო. არანაირი ღელვა, მისი თანამდევი ფორიაქი და შიში არ ეტყობოდა ლეიბზე, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი პირველივე შეხვედრაში იყო ბულგარელ **ანგელ გეორგიევთან** - ჩვენებურმა მას ორი პერიოდის ჯამში 10:0 მოუგო. სამწუხაროდ, სომეხ **მხითარ გრიგორიანთან** უკვე თვითონ დაუშვა შეცდომები და ჯამში 3:11 წააგო. საუბედუროდ, მას სანუგეშოში გადასვლის საშუალება არ მიეცა, თორემ გუშინ ერთი ბრინჯაოს იმედად არ დავრჩებოდით. არადა, ახლოს იყო სანუგეშოსთან - სომეხი ნახევარფინალის დამატებით დროში რუსთა მომავალ ჩემპიონ **ალექსანდერ რასადინს** 1:0 უგებდა, თუმცა მერე როგორ დაკარგა მიჯრით 8 ქულა, ვეჭვობთ, თავად ახსნას.

**გიორგი ლეჟავა** (50) და **ედუარდ ნიკოლიშვილი** (58) პირველივე შეხვედრის წაგების შემდეგ გამოეთიშნენ ტურნირს. განსაკუთრებით დასანანი ლეჟავას მარცხი იყო, რომელიც პირველ წრეში ისვენებდა, ამ დროს კი მისი მეტოქე, უკრაინელთა მომავალი ბრინჯაოს მედალოსანი **ანდრეი იაცენკო** საკმაოდ ძნელ ბრძოლას ატარებდა მეზობელ ბელარუსთან და ჩვენებურთანაც მალევე, სულ რაღაც ხუთიოდე წუთში უხმეს საჭიდაოდ.

დღეს ევროპის ჩემპიონატის „თავისუფალთა“ ტურნირში მორიგი ხუთეული ჩაებმება. გიორგი პასიკაშვილი (46) პირველ წრეში ებრაელ **დავიდ ბულიგინს** ხვდება. ჩვენებურს წილისყრამ ფრიად გაუმართლა, რადგან რუსი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი, ბელარუსი, პოლონელი ბადის მეორე მხარეს მოხვდნენ. ქართველის მთავარ კონკურენტებად სომეხი, თურქი და ბულგარელი მიგვაჩნია, ოღონდ სომეხი **ჰმაიაკ ალაიანიანი** და თურქი **ონურ ოზდემირი** თავიდან ერთმანეთში ჭიდაობენ - ებრაელთან წარმატების შემთხვევაში პასიკაშვილი ამ წყვილში მოგებულს დაეჭიდება.

**ლევან მურცხვალაძე** (54) პირველ წრეში ბელგიელთა კავკასიური წარმოშობის **ბილალ აბდულრაშიდოვს** ხვდება, **ტარზან მაისურაძე** (63) - მოლდოველ **მიხაი ბულგარუს**, მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორი **გიორგი ჩხარტიშვილი** (76) - ესტონელ **ჰანეს კაარიკს**, ბექა კახეთელიძე (100) - სომეხ **რუდოლფ ალექსანიანს**.

ირაკლი თავაძე

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.




● საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ახალი საიტი




# ახალი საიტით – ახალ თამაშებზე

**ლონდონის ოლიმპიადას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი განახლებული საიტით ხვდება. ვინც ბოლო კვირების განმავლობაში geonoc.org.ge-ზე შესულა, იქ დახვდებოდა წარწერა - მიმდინარეობს საიტის რეორგანიზაცია. ეს პროცესი ორი დღეა, რაც დასრულდა, გუშინ კი სეოკ-ის ოფისში განახლებული საიტის წარდგინება გაიმართა.**

სეოკ-ის დაკვეთით სარეორგანიზაციო საქმეები ITDC-მ შეასრულა, საიტის შესახებ კი პროექტის მენეჯერმა **ნინო ლორთქიფანიძემ** ილაპარაკა. ახალ საიტს წინამორბედისგან, უპირველესად, დიზაინი გამოარჩევს, თუმცა ამჯერად მონაცემთა ბაზაც ბევრად სრულყოფილია, საძიებო სისტემაც - შედარებით გამარტივებული, როგორც ადმინისტრაციასთან დაკავშირების საშუალება. საიტს აქვს საკუთარი გვერდი ფეისბუკზე, სადაც ავტომატურად შეიძლება შესვლა და ფორუმში ჩართვა. ცხადია, ახალი საიტის პირველი გვერდი ძირითადად ლონდონის ოლიმპიადას ეთმობა, სადაც დროის მრიცხველი გვიჩვენებს, რამდენი დღე და საათი დარჩა თამაშებამდე. იქვე შეგიძლიათ მონახოთ განყოფილება ჩვენი ოლიმპიური გუნდის შესახებ და მიიღოთ ინფორმაცია თითოეულ ლიცენზიატზე, მონახოთ საქართველოს მიმდინარე წლის სპორტული კალენდარი, გაეცნოთ ლონდონურ „ქართულ სახლს“ და „თბილისი-2015“ ახალგაზრდულ ფესტივალს. ვფიქრობთ, ყველაზე ფართო განყოფილებაა „ოლიმპიური ენციკლოპედია“, სადაც ცალკე თავებადაა მოცემული ზამთრისა თუ ზაფხულის ოლიმპიადები, ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები და მედალოსნები, პარალიმპური თამაშები, ქართველები ზამთრისა თუ ზაფხულის თამაშებზე, თავად ამ ოლიმპიადებში შემავალი სახეობები, ოლიმპიური ქარტია, ოლიმპიური მოძრაობა, მუზეუმი და ასე შემდეგ.

ძველის მსგავსად, ახალი საიტიც დატვირთულია ფოტო თუ ვიდეომასალით ცალკეულ სპორტსმენებზე, თუმცა ინფორმაციული ბაზის სრულყოფაში მონაწილეობა ქომაგებსა და ათლეტებსაც შეუძლიათ, ადმინისტრაციას ახალ ფოტო-ვიდეომასალასა და ცნობებს თუ მიაწვდიან. მეტიც - ეს ორგანიზატორთა თხოვნაცაა, რათა ისტორია კიდევ უფრო სრულყოფილად შევუნახოთ შთამომავლობას.

როგორც გითხარით, საიტი უკვე მუშა რეჟიმშია, მაგრამ მას ყველაზე მეტი ჯაფა ლონდონის ოლიმპიადის დღეებში დაადგება, როცა სეოკ-ის პრესსამსახური თამაშებიდან უახლეს ინფორმაციებს მოგვაწვდის.

ირაკლი თავაძე

● ძიუდო. მეტოქე

# მარიხუანას გადაჰყვა

## საჩუქარი ადამ ოქრუაშვილისთვის

**რამდენიმე დღის წინ ვწერდით, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საიტზე გამოქვეყნებულ ძიუდოისტ ოლიმპიელთა სიაში არ ჩანდა უზბეკი მძიმეწონოსანი, მსოფლიოს ჩემპიონი აბსოლუტურში და სამგზის მესამე პრიზიორი პირადში, პეკინის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი აბდულო ტანგრიევი. ამის შესაძლო მიზეზად დოპინგი ვივარაუდეთ, რადგან მოარული ხმებით, უზბეკი მარიხუანას დიდი მოყვარულია. ვარაუდი გამართლდა - ფრანგულ-რუსული საინფორმაციო საშუალებები წერენ, რომ ტანგრიევს სისხლში სწორედ მარიხუანის კვალი აღმოუჩინეს და ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა, ტესტი კი წინა თვეში ჩაუტარეს.**



ეტყობა, ყველაფრის მიფუჩეჩება და სირაქლემას პოზა მხოლოდ ქართველ მწვრთნელებს არ ახასიათებთ, თვალში ნაცრის შეყრაში უზბეკებიც არანაკლებ გაწაფულები ყოფილან (ბოლოს და ბოლოს, ორივენი საბჭოური სისტემიდან მოვდივართ) და იქაური ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა **ანდრეი შტურბაბინმა** განაცხადა, რომ ტანგრიევი ოლიმპიადას ფეხის თითების მოტეხილობის გამო ტოვებდა. თუმცა მას „დაავიწყდა“, რომ ტრავმის გამო ორწლიანი დისკვალიფიკაციით არავის სჯიან და ამ სასჯელის მიზეზი არც განუმარტავს.

31 წლის ტანგრიევი მსოფლიოს ჩემპიონი შარშან გახდა, როცა ტიუმენში ჩატარებული აბსოლუტური პირველობა მოიგო, ბრინჯაოს მედლები 2003, 2005 და 2009 წლებში მოიპოვა. მან სამ ოლიმპიადაზე იჭიდავა - 2000 წელს სიდნეიში, 2004 წელს - ათენში და 2008-ში - პეკინში. ყველაზე წარმატებულიც ჩინური თამაშები გამოდგა, სადაც ფინალში გავიდა, მაგრამ იაპონელ **სატოში იშისთან** წააგო. ლონდონის ოლიმპიადა მისთვის მეოთხე უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

ტანგრიევი ლონდონშიც ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდა. ის სალიცენზიო რეიტინგში მერვე იყო, წლეულს მოიგო მოსკოვის „დიდი მუზარადი“, ხოლო პარიზის იმავე რანგის შეჯიბრებაზე მესამე იყო. წლეულს მას მეტად არც უჭიდავია, რადგან ამბობდნენ, რომ საგანგებოდ ემზადებოდა ოლიმპიადისთვის, თუმცა არაა გამორიცხული, რომ დოპინგის შიშით არ ჭიდაობდა. მისი გამოკლება კარგი სამსახურია, რომელიც ფრანგი **ტედი რინერის** ან გერმანელი **ანდრეას ტოლცერის** მსგავსად იქნებ ოლიმპიადის უმთავრეს ფავორიტთა შორის არაა, მაგრამ მედლის მოპოვება ნამდვილად შეუძლია. მით უფრო - წლევანდელი პროგრესული ჭიდაობის ფონზე და ასეთ დროს ერთ-ერთი მთავარი კონკურენტის თამაშიდან გავარდნა კარგი საჩუქარია. ჩვენებური უზბეკს კარიერაში ერთხელ შეხვდა და ისიც წააგო - 2009 წელს კანოს მემორიალზე.

ტანგრიევის დისკვალიფიკაციის შემდეგ კიდევ უფრო ნათელია, **ირაკლი ცირეკიძე** რამდენად იოლად გადარჩა, როცა იმავე კანოს ტურნირზე სისხლში მასაც მარიხუანის კვალი აღმოაჩნდა, მაგრამ ორთვიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს. თუმცა უზბეკის მაგალითი ჩვენი სპორტსმენებისთვის უფრო სხვა კუთხით უნდა გახდეს საყურადღებო - კულუარული ხმებით, მარიხუანა არც ქართველი ათლეტებისთვისაა უცხო და ყველა ფრთხილად უნდა იყოს. ის შედარებით მსუბუქი ტიპის დოპინგია, რომელსაც ენერგიის მასტიმულირებელი ფუნქცია არც გააჩნია, მაგრამ უშუალოდ მიღების ანუ მოწევის მომენტში დროებით ეფექტს იძლევა, ტონუსს ამაღლებს და სწორედ ამის გამოა შეტანილი დოპინგში, როგორც არაეთიკური საქციელი, თორემ მას ხანგრძლივვადიან პერიოდში ენერგიის, ძალის მომატება არ შეუძლია. ასევე არ ძალუძს გავლენა იქონიოს სპორტულ შედეგზე და წარმატება განაპირობოს. ამის მიუხედავად, დოპინგი დოპინგია და მნიშვნელობა არ აქვს, ძლიერია თუ სუსტი, ანაბოლურია თუ - ჰორმონარული, სასჯელი ნებისმიერ შემთხვევაში უმკაცრესია, რასაც ტანგირევის მაგალითიც ადასტურებს. იმასაც ამბობენ, რომ მის ამფსონთა შორის ქართველებიც იყვნენ. მათ შევახსენებ, რომ სადამსჯელო ლონისძიებები მუდმივად მკაცრდება - აქამდე თუ დოპინგზე განმეორებით ჩავარდნა ოლიმპიადაზე სამუდამო დისკვალიფიკაციას ნიშნავდა, ახლა იმაზეცაა ლაპარაკი, რომ პირველივე პრეცედენტისას სპორტსმენს აეკრძალოს მომავალ ოლიმპიადაზე გამოსვლა და თავის რიგს მომდევნო თამაშებზე დაელოდოს. ერთი სიტყვით, „ერთი „მასტერკა“ პაპიროსისთვის“ რისკი არ ღირს.

დაბოლოს, გეტყვით, რომ ტანგრიევი რამდენიმე წლის წინათ ძიუდოს კლუბ „საგარეჯოშიც“ გამოდიოდა.

ირაკლი თავაძე

ქართული ბიბლიოთეკა

● მშვილდოსნობა. ევროპის თასის ეტაპი



# ხელვაჩაურის სახელით

ამ დღეებში სოფიაში მშვილდოსანთა ევროპის თასის მეორე ეტაპი ჩატარდა, რომელშიც საქართველოდან 4 სპორტსმენი გამოვიდა: **ხათუნა ნარიმანიძე, ნათია ცინცაძე, ლანა ვერულიძე** და **დავით ლეკვეიშვილი**. ქალთა გუნდი ხელვაჩაურის სასპორტო სკოლამ და აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა დააფინანსა, საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ლეკვეიშვილი კი ბულგარეთში საკუთარი ხარჯით წავიდა. როგორც ამ გუნდის მწვრთნელმა **თამაზ ფუტკარაძემ** გვაცნობა, რატომღაც მას საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციამ ნაკრების სახელით გამოსვლის უფლება არ მისცა. ამიტომ ტურნირში კლუბ „ხელვაჩაურის" სახელით გამოვიდა და ვერც შერეულ წყვილებში იასპარეზა.

ევროპული თასი არც ისე ძლიერი გამოდგა, ეს მოახლოებული ოლიმპიადის ფონზე არცაა გასაკვირი. საკვალიფიკაციო ტურნირში ნარიმანიძე VI იყო, ვერულიძე - XIV. ცინცაძე - XV, ლეკვეიშვილი - XXVI. პირადი პირველობის პლეი ოფში ოთხივე ჩვენებური პირველივე წრეში დამარცხდა - ნარიმანიძემ მომავალ ჩემპიონთან, თურქ **ბეგულ ლუკლუოლლუსთან** სამ სეტში 0:6 წააგო, ცინცაძემ მომავალ მესამე პრიზიორ **ინნა სტეპანოვასთან** ერთი პერიოდი ფრედ კი დაასრულა, მაგრამ სამში დამარცხდა - 7:1 რუსის სასარგებლოდ. ვერულიძემ კოლუმბიელ **ანა მარია რენდონთან** პირველი ორი სეტის წაგების შემდეგ მესამეში იმარჯვა, თუმცა ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო და საბოლოოდ 2:6 წააგო. ლეკვეიშვილიც კოლუმბიელთან დამარცხდა - **დანიელ პინედასთან**, თუმცა კი დიდი ბრძოლა გაუმართა მას და ერთი პერიოდი უგებდა კიდეც. კოლუმბიელმა პირველი სეტი მინიმალური სხვაობით მოიგო - 26:25, აი, მომდევნო ორში კი ქართველმა იმარჯვა - 26:25; 27:24. სამწუხაროდ, მომდევნო სერიებში ლეკვეიშვილი ისევ დამარცხდა და საბოლოოდ 4:6 წააგო.

ვერც ჩვენმა ქალთა ნაკრებმა იყოჩაღა გუნდურ ტურნირში. იქ სულ სამი ქვეყანა გამოდიოდა, ჩვენები კი თურქებთან დამარცხდნენ და ავტომატურად გავიდნენ მესამე ადგილზე.

**ირაკლი თავაძე**

● ჭადრაკი

# არჩევანი რისკსა და ზავს შორის

ფოთში ნანა ალექსანდრიას ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში ოთხი ტურის შემდეგ ოთხ მოჭადრაკეს ქულათა მაქსიმუმი ჰქონდა. ლიდერებმა რისკს ზავი ამჯობინეს და მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს ზაურ მამადოვი (აზერბაიჯანი) - გიგა ყუფარაძე, გაიოზ ნიგალიძე - დავით კალაშიანი (სომხეთი), რომლებმაც ხუთი ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულას მოუყარეს თავი. მეწინავეებს ქულებით გაუთანაბრდნენ დავით მალალაშვილი და ჰოვიკ ჰაირაპეტიანი (სომხეთი) - გუშინ მათ მაკა ფურცელაძე და გიორგი ხელაია დაამარცხეს. დაწინაურებულთა ჯგუფიდან ქულები გაიყვეს ივერი ჭილაძემ და მიხაილო ოლექსიენკომ (უკრაინა), შოთა აზალაძემ და აკაკი შალამბერიძემ.

ამდენად, ღია საერთაშორისო ტურნირის 6 მონაწილეს 4,5-4,5, ხოლო ცამეტს - 4-4 ქულა აქვს. დღეს მე-6 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: მალალაშვილი - ნიგალიძე, ყუფარაძე - კალაშიანი, მამადოვი - ჰაირაპეტიანი.

**8-წლიან** გოგონებში დაუბრკოლებლად მიიწევს წინ დიანა ლომაია, რომელმაც გუშინ თეთრებით ლილე გუმბერიძე დაამარცხა და უახლოეს მდევრებს - გუმბერიძესა და ელენე იოსელიანის მძლეველ ელენე გაბესკირიას თითო ქულით უსწრებს. 3,5-3,5 ქულით მეოთხე-მეხუთე ადგილებს თეკლა ვადაქარია და ელენე წოწონავა ინაწილებენ.

ბიჭებში წარმატებით ითამაშეს ნიკოლოზ კაჭარავამ და გორ გრიგორიანმა (სომხეთი) - შესაბამისად, ახმად ახმადზადესა (აზერბაიჯანი) და დავით ნიკოჰოსიანს (სომხეთი) მოუგეს და 5-5 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში არიან. მე-6 ტურში სწორედ ისინი შეხვდებიან ერთმანეთს.

**10-წლიან** გოგონებში ერთპიროვნულად მეწინავეობს ევროპის თასის წლევანდელი მფლობელი ანასტასია სიდამონიძე (საგულისხმოა, რომ ქუთაისში ათიოდე დღის წინათ მსგავს წარმატებას მიაღწიეს დიანა ლომაიამ და ნიკოლოზ კაჭარავამაც) - გუშინ ნორჩმა ქართველმა მოჭადრაკემ მეხუთე ქულა მანე ჰოვანისიანის (სომხეთი) დამარცხებით მოიპოვა. ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან თამარ ესაძე და თამარ ლაგაზაური, რომლებმაც მარიამ ბაბაიანს (სომხეთი) და ქრისტინე სმბატიანს (სომხეთი) აჯობეს. ბიჭებსაც ხუთქულიანი ლიდერი ჰყავთ - ნიკოლოზ პეტრიაშვილი. მე-5 ტურში შავი ფიგურებით მან გიორგი კუხალეიშვილს გააჩერებინა საათი. ნიკას კვალში მისდევს მათე თოდაშვილი, რომელმაც ჰაკობ ჰაკობიანი (სომხეთი) დაამარცხა და 4,5 ქულას მოუყარა თავი. მე-6 ტურში ითამაშებენ: თოდაშვილი (4,5)-პეტრიაშვილი (5), ილია ჩხეტია (4) - დავით კამკია (4), ანტონ ნადირაძე (4) - ჰაკობიანი (3,5).

**12-წლიან** გოგონებში ლიდერობა ხელთ იგდეს სტუმრებმა. მათაც ჰყავთ ერთი ხუთოსანი - მარიამ ავეტისიანი (სომხეთი), რომელმაც გუშინ თანამემამულე ჰეგინე ამირხანიანი დაამარცხა, სამქულიანმა ანი ივანიანმა (სომხეთი) მარიამ დოლიძეს სძლია და მე-2 ადგილზე მყოფმა ლიდერთან ერთქულიანი სხვაობა შეინარჩუნა. ამ ასაკის ბიჭებში ოთხი ტურის შემდეგ სამ მოჭადრაკეს 3,5-3,5 ქულა ჰქონდა. გურამ კოკაიამ აშოტ ფარვანიანს (სომხეთი) გააჩერებინა საათი და 4,5 ქულით დაწინაურდა. კოკა ბუკიამ ქულა გაიყო გოგიკ გევორქიანთან (სომხეთი) და ახლა 4 ქულით დავით გვენეტაძესთან, ჰაკობ ჰაკობიანთან (სომხეთი) და გურამ ჭელიძესთან ერთად მეორე-მეხუთე ადგილებს ინაწილებს.

**ვაჟა დანელია**



დიანა ლომაია

# დებიუტი მარცხით

სომხურ ჯერმუკში გუშინ დაიწყო მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის მე-4 ეტაპის გათამაშება მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების მონაწილეობით. მსგავს ასპარეზობაზე პირველადაა თბილისელი **ნინო ხურციძე**. ორგანიზატორებმა იგი შეჯიბრებაში მას შემდეგ ჩართეს, რაც ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვეს ალექსანდრა კოსტენიუკმა (რუსეთი) და ჟუ ჩენმა (ყატარი), რომლებმაც სამი ტურნირის ჯამში საპრიზო ადგილებზე გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგეს.

გუშინ პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. ნინო ხურციძე (2456) ჩინეთის ნაკრების წევრ ცზიუ ვენძიუნს (2518) 65-ე სვლაზე დანებდა. ერთგვარ სენსაციად შეიძლება მოინათლოს ორგზის მსოფლიოს ჩემპიონის, გრან-პრის გათამაშების ერთპიროვნული ლიდერ ჰოუ იფანის (ჩინეთი, 2617) თეთრი ფიგურებით ბათუიაგ მონგონთუულთან (მონგოლეთი, 2447) ყაიმი. დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2598) - ჟაო სიუ (ჩინეთი, 2556) 1:0, ელინა დანიელიანი (სომხეთი, 2480) - ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი, 2450) 0,5:0,5, ლუფეი რუანი (ჩინეთი, 2483) - კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2537) 0,5:0,5, ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი, 2417) - ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2516) 1:0.

დღეს მე-2 ტურში ითამაშებენ: ჟაო სიუ - კოსინცევა, ლაგნო - კოვალევსკაია, მონგონთუული - რუანი, მკრტიჩიანი - ჰოუ იფანი, ცზიუ ვენძიუნი - დანიელიანი, კონერუ - ხურციძე.

**ვაჟა დანელია**

● სუმო. ნაგოიას ბაშო. 8-22 ივლისი



# ზედიზედ ხუთი მოგება

ნაგოიას ბაშოს პირველი მესამედი მე-7 მაეგაშირა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** ცუდად განვლო - 2-3 ბალანსი ჰქონდა, სამაგიეროდ მეორე მესამედში 25 წლის ჩვენებურმა ხუთივე ორთაბრძოლა მოიგო და ლიდერთა სიახლოვესაა, ერთი მოგებაც და 200-კილოიანი ქართველი დადებით ბალანსს დაიბევებს. ამისთვის დღეს გაგამარუმ **დაიდო** უნდა დაამარცხოს, რომელსაც ანალოგიური ბალანსი აქვს - 7-3.

**ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** გუშინ წააგო და ოდნავ გაირთულა მდგომარეობა - მას 6-4 ბალანსი აქვს. კვლავ წააგო მეორე დივიზიონში მოასპარეზე **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** - 3-7 ბალანსი.

ნაგოიას ბაშოზე 10-10 მოგებით ორი მონღოლი გაიჭრა წინ - დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და ჩემპიონი **ჰარუმაფუჯი**. მათ 9 გამარჯვებით კვალში ბრაზილიელი სუმოისტი **კაისეი** უდგას.

**X დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კაკურიუ (უჩიმუსო), ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ (სუკუინაგე), კოტოოშუ-ბარუტო (უვატენაგე), კისენოსატო-ტოჩიოძანი (იორიკირი), გოეიდოამინიშიკი (ჰიკიოტოში), ტოიონოშიმა, კიოკუტენჰო (იორიკირი), მიოგირიუ-**ტოჩინოშინი** (ოშიდაში), ვაკაკოიუ-ოკინოუმი (ჰატაკიკომი), აოიამა-შოჰოზანი (უვატენაგე), მიაბიამა-ტაკეკაძე (ოშიდაში), **გაგამარუ**-მასუნოიამა (იორიკირი). **ძურიო:** ჰომარეფუჯი-**კოკაი** (უვატედაშინაგე).

**სატურნირო მდგომარეობა**

**10-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (ოძეკი)

**9-1:** კაისეი (მაეგაშირა 8).

**8-2:** კოტოშოგიკუ (ოძეკი), კისენოსატო (ოძეკი)... **7-3:** გაგამარუ (მ 7)... **6-4:** ტოჩინოშინი (მ 4).

**X დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კოტოოშუ, ბარუტო-კაკურიუ, კისენოსატო-ჰარუმაფუჯი, კოტოშოგიკუ-მიოგირიუ, გოეიდო-კაისეი, ამინიშიკი-ტოჩიოძანი, ტოიონოშიმა-ოკინოუმი, ტაკაიასუ-კიოკუტენჰო, ვაკაკოიუ-აოიამა, მიაბიამა-შოჰოზანი, **ტოჩინოშინი**-ტოკიტენკუ, **გაგამარუ**-დაიდო. **ძურიო: კოკაი**-სოტაირიუ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ჩოგბურთი

# ანა მხოლოდ წყვილებს შემორჩა

შვედურ ბასტადში ჩოგბურთელ ქალთა 220.000-იან ტურნირზე **ანა ტატიშვილმა** პირველივე შეხვედრა წააგო მსოფლიო რეიტინგში 63-ე ადგილზე მყოფ სილვია სოლერ ესპინოსასთან (ესპანეთი). მართალია, ჩვენებურმა მეორეში 6:3 სძლია მეტოქეს, მაგრამ პირველი და მესამე სეტები, შესაბამისად, 4:6, 0:6 დათმო და ერთეულთა თანრიგს გამოეთიშა (საგულისხმოა, რომ ანა შარშანაც პირველ წრეში დამარცხდა სლოვენიელ პოლინა ჰერცოგთან, ამდენად, შვედეთში ქულები არ ჰქონდა დასაცავი, თუმცა არც რეიტინგისთვის შეუმატებია რაიმე).

22 წლის ტატიშვილმა წყვილებში რუს ვალერია სოლოვიევასთან ერთად იყოჩაღა - ტურნირზე მესამე ნომრად განთესილ დარია ჯურაკსა (ხორვატია) და კატალინ მაროშის (უნგრეთი) დუეტს სამ სეტში სძლია - 5:7, 6:2, 10:4. ანა და ვალერია მეოთხედფინალში სანდრა კოიმენტსა (ავსტრია) და ტატიანა მალეკს (გერმანია) დაუპირისპირდებიან.

უკრაინის ქალაქ დონეცკში 50.000-იანი ტურნირის სტარტზე **სოფიო ქვაცაბაია** მასპინძელ კატერინა კოზლოვასთან დამარცხდა - 1:6, 2:6. სოფიომ ვერც წყვილებში იყოჩაღა - ოლგა იანჩუკთან (უკრაინა) ერთად პირველი წრის შეხვედრა ანასტასია კირილოვას (უკრაინა) და ესტერ მასურის (ისრაელი) დუეტთან წააგო - 6:7, 6:4, 9:11.

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანის 25.000-იან ტურნირში სამი ჩვენებური ჩაება. **სოფიო შაფათავა** ძირითად ბადეში დაუშვეს. სტარტზე მან რუს საბინა კურბანოვას აჯობა - 6:4, 7:5. მე-2 წრეში პირველ ნომრად განთესილი იაპონელის - კურუმი ნარის მძლეველ კსენია მილევსკაიასთან (ბელარუსი) გაარკვევს ურთიერთობას. ასტანაშივე **ეკა გორგოძემ** კვალიფიკაციაში ყაზახი ალექსანდრა გრინჩიშინა იოლად დაჯაბნა - 6:1, 6:1 და მთავარ ბადეში მოხვდა, მაგრამ იქ პირველივე პაექრობა უზბეკ ნიგინა აბდურაიმოვასთან სამ სეტში დათმო - 3:6, 6:4, 1:6. აი, წყვილებში კი სამივე ჩვენებური გავიდა მეორე წრეში: მე-4 ნომრად განთესილმა შაფათავა-გორგოძის დუეტმა სტარტზე ბელარუსები - კსენია მილევსკაია და სვიატლანა პირეჟენკა ჩამოიშორა გზიდან - 6:2, 6:2. მე-2 წრეში ჩვენებს ვერონიკა კაპშაი (უკრაინა) და ეკატერინა იაშინა (რუსეთი) ელით. **ოქსანა კალაშნიკოვა** რუს მარტა სიროტკინასთან (ისინი მე-3 ნომრად არიან განთესილი) ერთად გავიდა კორტზე და ზალინა ხაირუდინოვას (ყაზახეთი) და ანასტასია მუხამეტოვას (რუსეთი) დუეტი დაამარცხა - 6:2, 6:2. მე-2 წრეში ეკატერინა ბიჩკოვას (რუსეთი) და კსენია პალკინას (ყირგიზეთი) წყვილს დაუპირისპირდება.



სოფიო შაფათავა

იტალიური იმოლას 25.000-იან ტურნირში პირველ ნომრად განთესეს ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატი **მარგალიტა ჩახნაშვილი.** ასპარეზობის სტარტზე მან პირველი სეტი 7:5 მოუგო მასპინძელ იულია მეირს, მეორე ხელი კი 5:7 დათმო. მესამეში, როცა იტალიელი 4:1-ს იგებდა, ქართველმა ჩოგბურთელმა ტრავმის გამო შეჯიბრების გაგრძელება ვერ შეძლო.

სტამბოლის 10.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე **თამარ ჭალაგანიძემ** ავსტრალიელ სკაი ჰოფერს კი მოუგო (6:4, 6:2), მაგრამ იაპონელ კანა დანიელთან ვერას გახდა - 1:6, 1:6. ძირითად ბადეში ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელ იურინა კოშინოსთან დამარცხდა ნათია გეგია - 6:2, 3:6, 4:6. სამაგიეროდ, ნათიამ იაპონელ იოშიმი კავასაკისთან ერთად დაძლია პირველი ბარიერი - ოლგა პერესისა (ესპანეთი) და დიანა სტომლეგას (რუმინეთი) წყვილს სძლია - 6:2, 7:5. მეორე წრეში მე-2 ნომრად განთესილ იაპონელებს - აკარი ინოესა და კაორი ონიშის შეხვდება. ჭალაგანიძე-ზეინერ სარიკამის (თურქეთი) წყვილი ბასაკ ერაიდინთან (თურქეთი) და იანა სიზიკოვასთან (თურქეთი) დამარცხდა - 2:6, 1:6.

**ვაჟა დანელია**

● საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

# კადეტები მზად არიან

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სათამაშოდ რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაემგზავრა. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ნაკრებმა სრულფასოვანი მოსამზადებელი პერიოდი გაიარა. ქართველმა 16-წლამდელელებმა 7 საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს, საიდანც 5 მოიგეს. ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ჯგუფში ჩერნოგორიის, ესტონეთის, ბოსნიისა და მასპინძელ რუმინეთის ნაკრებებთან მოხვდა.

ჯგუფიდან საუკეთესო 2 გუნდი გავა, ხოლო ქვედა ტრიო მეცხრე-21-ე ადგილებისთვის გააგრძელებს ბრძოლას. აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატის საგზურს ორის ნაცვლად, B დივიზიონის 3 საუკეთესო გუნდი მოიპოვებს.

რუმინეთში გამგზავრებამდე, 16-წლამდელთა ნაკრებმა საკალათბურთო აკადემიის დარბაზში ივარჯიშა.



ეროვნული ბიბლიოთეკა




## მწვრთნელის თვალით

რამდენად კარგადაა მომზადებული საქართველოს კადეტთა ნაკრები, რას უნდა ველოდეთ გუნდისგან და რამდენად კარგადაა დაბალანსებული, ამ კითხვებზე პასუხს მთავარი მწვრთნელისგან, გია კაზანჯიანისგან მივიღებთ.

- ნაკრების ეს შემადგენლობა ოპტიმალურია. საქართველოში ამ ასაკში ვინც საუკეთესოა, ყველა გუნდშია. ნაკრებმა სრულფასოვანი შეკრება გაიარა ბელარუსში, სლოვაკეთსა და თბილისში. არაერთი საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ და ამ შეხვედრებში ნაკრების წევრები კარგად შეთამაშდნენ. შედეგი წინასწარ დასახული არ გვაქვს. ჩვენი მიზანი რაც შეიძლება მეტი თამაშის მოგებაა და მის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ.

**- მოსამზადებელი პირობებით კმაყოფილი ბრძანდებით?**

- გუნდი კარგადაა მომზადებული. კალათბურთის ფედერაციამ სათანადოდ შეგვიწყო ხელი. დილომში „დინამოს" საკალათბურთო ბაზაზე შეკრება გავიარეთ, ასევე ჩავატარეთ შვიდი საკონტროლო მატჩი ხუთ ნაკრებთან, რაც მოსამზადებელ ეტაპზე საკმარისი იყო.

**- გუნდი რამდენად თანაბრადაა დაბალანსებული?**

- ყველა რგოლში მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის კალათბურთელები გვყავს. როგორც სხვა ახალგაზრდული ასაკის ნაკრებები, ჩვენც ტანმაღალი კალათბურთელების ნაკლებობას განვიცდით. თუმცა, ვეცდებით, ეს თამაშებისას არ დაგვეტყოს.

**- რას უნდა ველოდეთ საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებისგან?**

- წინასწარ ძნელია 16-წლამდელთა ნაკრებების ძალების განსაზღვრა. ამიტომ, დღეს ვერ ვიტყვით რას შეიძლება მივაღწიოთ. თუმცა იმის თქმა კი შეიძლება, რომ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. ჩერნოგორია და ბოსნია პოსტ-იუგოსლავიური ქვეყნებია, სადაც კალათბურთი სათანადოდაა განვითარებული. მათთან მოგება რთული იქნება, თუმცა, მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ ჯგუფიდან გავიდეთ.

**- რუმინელებსაც ყოველთვის კარგი კადეტთა ნაკრებები ჰყავთ...**

- რუმინელები შეჯიბრების მასპინძლები არიან. მათთანაც რთული იქნება თამაში. როგორც ვთქვი, ჩვენი გუნდი სათანადოდაა მომზადებული და არავის არაფერს დავუთმობთ.

### B დივიზიონი

**A ჯგუფი:** ისრაელი, ლუქსემბურგი, ფინეთი, შვედეთი, ბელარუსი.

**B ჯგუფი:** ბულგარეთი, სლოვაკეთი, მაკედონია, დანია, ბელგია.

**C ჯგუფი:** საქართველო, ჩერნოგორია, ბოსნია, ესტონეთი, რუმინეთი.

**D ჯგუფი:** უნგრეთი, ნორვეგია, ავსტრია, შვეიცარია, ჰოლანდია, პორტუგალია.

### C ჯგუფის კალენდარი

| | |
|---|---|
| **19 ივლისი** | |
| 21:30 | ბოსნია-ესტონეთი |
| 19:00 | საქართველო-რუმინეთი |
| **20 ივლისი** | |
| 19:00 | ჩერნოგორია-რუმინეთი |
| 21:15 | საქართველო-ბოსნია |
| **21 ივლისი** | |
| 21:15 | ბოსნია-ჩერნოგორია |
| 16:45 | საქართველო-ესტონეთი |
| **22 ივლისი** | |
| 19:00 | რუმინეთი-ბოსნია |
| 16:45 | ჩერნოგორია-ესტონეთი |
| **23 ივლისი** | |
| 14:30 | საქართველო-ჩერნოგორია |
| 19:00 | ესტონეთი-რუმინეთი |

*(მითითებულია თბილისის დრო)*

### საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

| მოთამაშე | ამპლუა | სიმაღლე | კლუბი |
|---|---|---|---|
| ლუკა ზაქრაძე | გამთამაშებელი | 187 | სამედიცინო |
| ნიკა ცინცაძე | გამთამაშებელი | 189 | აკადემია |
| თემურ პეტრიაშვილი | გამთამაშებელი | 180 | აკადემია |
| გიგი გოგოზერიშვილი | მსროლელი | 187 | რუსთავი |
| ლევან გოგალაძე | მსროლელი | 191 | ორბი-კარდინალი |
| დავით ლომიძე | მსროლელი | 187 | ავერსი |
| ლევან მასხულია | ფორვარდი | 195 | აკადემია |
| სოსო მაჭავარიანი | ფორვარდი | 196 | ჰიუნდაი |
| დიმიტრი ბოგილევი | ფორვარდი | 197 | ორბი-კარდინალი |
| გიორგი გუგეშაშვილი | ფორვარდი | 197 | ორბი-კარდინალი |
| ვილი ისიანი | ფორვარდი | 195 | შსს |
| მაიზერ რევაზაშვილი | ცენტრი | 202 | მაკაბი |

*მთავარი მწვრთნელი: გია კაზანჯიანი*
*ასისტენტები: ირაკლი ტომარაძე, დიმიტრი ყაკობოვი*
*გუნდის უფროსი: გელა წულაძე*
*ექიმი: ვლადიმერ მგელაძე*

● საქართველოს ნაკრების მეტოქე. ჰოლანდია

# დანაკლისი ჰოლანდიაში

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე საქართველოს ნაკრების მოწინააღმდეგე ჰოლანდიის შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები განხორციელდა. შეიცვალა მთავარი მწვრთნელი. თბილისში გუნდს ჩამოუძღვება **იან იანსენი**.

მან თავიდან 14 კალათბურთელი მიიწვია, თუმცა როგორც ჰოლანდიური პრესა იტყობინება, ოთხის თამაში გამოირიცხა. **დენ გაძურიჩი**, რომელიც ახლახან „პორტლენდში" გადავიდა, ჰოლანდიაში ჩასვლას საკონტრაქტო სიტუაციის გამო ვერ ახერხებდა (თუმცა ჯერ უცნობია „პორტლენდთან" კონტრაქტის გაფორმების შემდეგ დაუბრუნდება თუ არა ნაკრებს). ასევე საკონტრაქტო საკითხები მოიყვანა ნაკრებში არგამოცხადების მიზეზად **როლანდ შაფტენაარმა**, ხოლო **შტეფან ვესელსი** ნაკრებს პირადი მიზეზით დააკლდა. „ლეიდენის" კალათბურთელ პატრიკ ჰილიმანს კი ტრავმამ შეუშალა ხელი.

მწვრთნელის მიერ გამოძახებული კიდევ ორი კალათბურთელი დააკლდება ამ ზაფხულს ჰოლანდიას: **კენეტ ვან კემპენი** და **ჟერონ ვან დერ ლისტი**. ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ იანსენმა გუნდში **ნიკი ჰულზებოსი** გამოიძახა.

საქართველოს ნაკრები ჰოლანდიას სტუმრად 27 აგვისტოს ეთამაშება, ხოლო შინ - 11 სექტემბერს.

### ამხანაგურები

**31.07.2009**

**ჰოლანდია-საქართველო 79:63**

16:15, 23:19, 21:11, 19:18

**საქართველო:** ცინცაძე (23ნთ, 7ქ), ტულუში (22ნთ. 14ქ), სანიკიძე (35ნთ. 16ქ. 5მ), ვ. ბოისა (25ნთ. 4ქ), შერმადინი (17ნთ); გამყრელიძე (27ნთ. 8ქ. 3პ), მეტრეველი (17ნთ. 7ქ), თ. შენგელია (21ნთ. 7ქ. 2ჩ), ა. ბოისა (13ნთ)

**1.08.2009**

**ჰოლანდია-საქართველო 81:74**

18:25, 18:10, 20:14, 25:25

**საქართველო:** ცინცაძე (33ნთ, 18ქ, 4პ, 5ჩ), ტულუში (26ნთ, 16ქ), სანიკიძე (33ნთ, 9ქ, 6მ), ვ. ბოისა (30ნთ. 16ქ. 5მ), შერმადინი (22ნთ. 4ქ. 7მ); გამყრელიძე (18ნთ), ა. ბოისა (9ნთ), მეტრეველი (11ნთ. 5ქ), თ. შენგელია (17ნთ. 6ქ. 5მ)

**12.08.2011**

**ჰოლანდია-საქართველო 72:77**

11:19, 19:18, 17:24, 25:16

**საქართველო:** გამყრელიძე (29ნთ, 2ქ), ვ. ბოისა (19ნთ, 4ქ), ფაჩულია (30 ნთ, 12 ქ, 6მ), შერმადინი (11ნთ, 2ქ), მარკოიშვილი (26ნთ, 19ქ), სანიკიძე (25ნთ, 11ქ, 12მ), ცქიტიშვილი (16ნთ, 13ქ), შენგელია (19ნთ, 9ქ, 5მ), ჰეინსი (25ნთ, 5ქ)

**ჰოლანდია:** სმუელდერსი (15ქ), გაძურიჩი (11ქ), ვოორნი (11ქ), იანსენი (8ქ), ვან კემპენი (8ქ), სლაგტერი (5ქ), ვან დერ ჰორსტი (5ქ), ოსიაკვუვუმვამი (3ქ), ვესელსი (2ქ), როიე (2ქ), ტეეუვკენსი (2ქ).

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



### ჰოლანდია

| მოთამაშე | სმ | პოზიცია | დაბ.თარ. | გუნდი |
|---|---|---|---|---|
| კეეს აკერბუმი | 200 | ფორვარდი | 1983 | დენ ბოსხი |
| შონ კანინგემი | 188 | გამთამაშებელი | 1986 | ტინდასტოლი (ისლანდია) |
| ფრანსისკო ელსონი | 212 | ცენტრი | 1976 | ფილადელფია (აშშ) |
| ჰენკ ნორელი | 212 | ცენტრი | 1987 | ხუვენტუდი (ესპანეთი) |
| ჯესი ვოორნი | 193 | უკანახაზელი | 1990 | გრონინგენი |
| ტიეს ტეეუვკენსი | 190 | უკანახაზელი | 1985 | გრონინგენი |
| რობინ სმუელდერსი | 208 | ფორვარდი | 1987 | ოლდენბურგი (გერმანია) |
| როჯერ იანსენი | 188 | უკანახაზელი | 1984 | დენ ბოსხი |
| ვორსი დე იონგი | 194 | უკანახაზელი | 1988 | ლეიდენი |
| არვინ სლაგთერი | 192 | უკანახაზელი | 1985 | ლეიდენი |

*მწვრთნელი: იან იანსენი.*

● საქართველო. U 20

# ჩერნოგორიასთანაც...

**17 ივლისი**

**საქართველო-ჩერნოგორია 65:81**

8:26, 20:17, 22:21, 15:17

**საქართველო:** ფხაკაძე (33 ნთ, 7ქ, 6პ), სანაძე (37 ნთ, 22ქ, 3პ), ბოქოლიშვილი (32 ნთ, 3ქ), მაჩალაძე (14 ნთ, 5მ), თენიეშვილი (25 ნთ, 8ქ, 6მ, 4პ), ალხანაიძე (5 ნთ, 3მ), როგავა (9 ნთ, 3ქ), ლომინაშვილი (8 ნთ, 2ქ, 4მ), ბურჯანაძე (38 ნთ, 20ქ, 8მ).

**ჩერნოგორია:** რატკოვიჩი (2ქ), კასილიცა, რაიოვიჩი (5ქ, 5პ, 6მ), ნიკოლიჩი (18ქ, 11მ), გრაბოვიცა, რაიკოვიჩი (14ქ, 7მ), მუგოსა (21ქ), მუსოვიჩი, ლატკოვიჩი (7ქ, 7მ), პავიჩი (8ქ, 14მ), უნკასევიჩი, რადოვიჩი (3ქ).

**შვედეთი-ესტონეთი 69:66**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 2 | 2 | 0 | 141/130 | 4 |
| 2. ესტონეთი | 2 | 1 | 1 | 153/142 | 3 |
| 3. ჩერნოგორია | 2 | 1 | 1 | 145/137 | 3 |
| 4. საქართველო | 2 | 0 | 2 | 138/168 | 2 |

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე მორიგი მატჩი წააგო. თუმცა, ამჯერად ჩვენს გუნდს ბოლო წუთებამდე ჰქონდა თამაშის გადარჩენის შანსი - სირენამდე 5 წუთით ადრე 10 ქულის სხვაობით აგებდა, თუმცა დარჩენილ დროში ჩერნოგორიელებმა უფრო იყოჩაღეს და 81:65 გაიმარჯვეს.

დღეს ქართველ 20-წლამდელთა ნაკრები შვედეთს დაუპირისპირდება.



სინბინი

# ლუდი და შიშველი ქალები – ჰა, დაინტერესდით?

**სარაგბო სამყაროში კვირა ისე არ გავა, რაიმე სალაღობო ამბავი არ მოხდეს. ალბათ, სპორტის სხვა სახეობებშიც და ზოგადად მსოფლიოში, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ასეა. ზოგი უცნაურად, განზრახ, ყურადღების მიქცევის გამო იქცევა, ზოგის საქციელი კი აბსოლუტურად გულწრფელი, ემოციურია, ზოგსაც პრაგმატული გათვლა აქვს და რამდენიმე წელიწადით წინ იყურება. ხშირად, კი ყველაფერი უბრალო შემთხვევის ან გაუგებრობის ბრალია.**


კანადის ნაკრები

## ვერ იკავებ...

აქამდე გაუგონარი ამბავი მოხდა ავსტრალიის ჩემპიონატის გათამაშებაში „ვიკინგებისა" და „ავონდალის" დაპირისპირებაში. „ვიკინგების" ერთ-ერთი მოთამაშე, რომლის სახელს და გვარს არ ასახელებენ, თამაშის დროს მოშარდვაში დაადანაშაულეს, თუმცა გამოძიების ჩატარების შემდეგ ეს ბრალდება მას მოუხსნეს.

*„მისი ტრუსები სველი იყო, თუმცა არავითარი მტკიცებულება არ გაგვაჩნია, რომ ამის მიზეზი მოშარდვა იყო."* -თქვა რეგიონის რაგბის კავშირის თავმჯდომარე **პიტერ ვუდსმა.**

თავად მოთამაშემ კი განაცხადა, რომ ქომაგების დაცინვა ვერ აიტანა და საპასუხოდ წყალი სპეციალურად დაისხა საზარდულის მიდამოებთან. ამას მოფიქრება ხომ უნდა?

## თუ არ შეგიძლია, ნუ მოინდომებ

არგენტინაში ახალი ლუდი ჩამოასხეს, რომელსაც Rugbeer ჰქვია. განსაკუთრებული ამაში, ცხადია, არაფერია, რომ არა ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი. მისი ყიდვა მხოლოდ სპეციალურ აპარატებში შეიძლება, ოღონ საამისოდ სათანადოდ უნდა გერჩოდეთ ძალა.

ერთი სიტყვით, აპარატის მუშაობის პრინციპი ასეთია: ფულის მონეტას ჩვეულებრივად აგდებთ ამისთვის განკუთვნილ ჭრილში, თუმცა ლუდის ქილას ამაოდ ელოდებით. მას ვერაფრით მიიღებთ თუ რაგბის თამაშის ერთ-ერთ ხერხს არ გამოიყენებთ. აპარატს გვერდიდნ უნდა მოუაროთ და რაც ძალა და ღონე გერჩით, მხრით დაეჯახოთ. თუ დარტყმა საკმარისად ძლიერი გამოდგა, ქილა ლუდს მიიღებთ. თუ არადა, აპარატს მანამდე უნდა „ეთამაშოთ რაგბი" სანამ ლუდს არ დაათმობინებთ.

ასე რომ, თუ კარგად ნავარჯიშები არ ხართ, შესაძლოა მხარიც ილრძოთ. ჰოდა, თუ ლუდის გურმანი ხართ, რაგბიშიც ივარჯიშეთ.

## მადაგასკარული მარში

აფრიკული რაგბის ცის კაბადონზე ახალი ვარსკვლავი, მადაგასკარის ნაკრები აკიაფდა. ამ ქვეყნის მოსახლეობის ოცნება მისმა სათაყვანებელმა გუნდმა 2015 წელს ინგლისში გასამართ მსოფლიოს თასზე ითამაშოს, ისევ სულდგმულობს. ოცნება მას შემდეგ უფრო გამძაფრდა, რაც გასულ უქმეებზე მადაგასკარელებმა მსოფლიოს თასის გათამაშებების უცვლელი მონაწილე, ნამიბიის ეროვნული გუნდი სარაგბო თრილერში დაამარცხეს - 57:54.

მიუხედავად ამისა, მადაგასკარის ნაკრებს IRB-ის უთავბოლოებისა და სრულიად გაუგებრად ჩახლართული შესარჩევი სისტემის გამო, კიდევ მრავალი ათასი კილომეტრის დაფარვა და უამრავი ბრძოლის გადატანა მოუწევთ. ფაქტობრივად, მომავალი წლიდან, ყველაფერი თავიდან დაიწყება, თუმცა დასრულება აფრიკელთა მომავალ მარათონს, მხოლოდ 2014 წელს უწერია.

აბა, სცადეთ და აუხსენით ყოველივე ეს იმ 54 ათას მადაგასკარელს, რომლებიც თავისი გუნდის ენით აუწერელი გმირობის მოწმე გახდნენ.

## ეს სასაცილო არ არის

იაპონიის ნაკრებმა საფრანგეთის „ბარბაროსებთან" მატჩში 21:40 წააგო. ამომავალი მზის ქვეყნის შვილების თავკაცი **ედი ჯოუნზი** თამაშის შემდეგ განრისხებული იყო და პრესკონფერენციაზე დანა პირს არ უხსნიდა. ცხადია, საკუთარი გუნდის თამაშით უკმაყოფილომ, მორაგბეები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.

იქვე იაპონელთა გუნდის კაპიტანი იჯდა, რომელმაც მიკროფონი აიღო და სანამ რამეს იტყოდა, მდგომარეობის განმუხტვის მიზნით ჩაიცინა. ამან ჯოუნზი კიდევ უფრო განარისხა, თავის მოთოკვა გაჭირვებით შესძლო, თუმცა კაპიტანს ქოქოლა მაინც დააყარა. ეს სასაცილო არ არის - ორჯერ უთხრა მწვრთნელმა შეგირდს.

ჯოუნზი სერიოზული კაცია, ის იაპონიაში დიდხანს იმეფებს.

## უელსის პრინცის საკუთარი უელსი

მსოფლიოს რაგბიში უელსის პრინცად, ამ ქვეყნის ნაკრების მორაგბეს **გევინ ჰენსონს** მოიხსენიებენ, რომელიც კიდევ ერთხელ მოხვდა გაზეთების პირველ გვერდებზე. როგორც თვითონ ჰენსონი საკუთარი Twitter-ის გვერდზე წერს, ახლახან კონტრაქტი ინგლისის პრემიერ ლიგის გუნდ „ოქსფორდ ველშთან" გაუფორმებია.

ამ განცხადებამ ყველა საგონებელში ჩააგდო. აქამდე ასეთი გუნდის არსებობა არავის სმენია, მით უფრო ინგლისის პრემიერ ლიგაში. მალე გაირკვა, რომ „უელსელ პრინცს" თავისი მომავალი კარიერა თურმე „ლონდონ ველშთან" დაუკავშირებია.

პაროდიაა, აბა რა არის. ასეთ სახელოვან კაცს, ვერ გაგიგია რა გუნდში თამაშობ.

## შიშველი ამბიციები

მალე ლონდონში ოლიმპიური თამაშები დაიწყება. რაგბი, სამწუხაროდ, იქ წარმოდგენილი არ იქნება. ოვალური ბურთით თამაშის ოსტატებს კიდევ ოთხი წელიწადი მოუწევთ ლოდინი. თუმცა რიო დე ჟანეიროს უკვე მიაპყრეს თავიანთი მომხიბლველი მზერა კანადის ქალთა ნაკრების მორაგბეებმა.

მათ ფოტოსესია გამართეს და კალენდარი გამოუშვეს, რომლის გაყიდვიდან შემოსული თანხითაც აპირებენ საოლიმპიადოდ უკეთ მოემზადონ და, ამასთან ერთად, საზოგადოებას უჩვენონ სხეულის აღნაგობის პოზიტიური ნიმუში.

*„ასეთი რამ პირველად არ ხდება. სპორტის სხვადასხვა სახეობის ქალთა გუნდები ბევრ ქვეყანაში მიმართავენ ასეთ ხერხს ფინანსების მოსაზიდად.*

*ამასთან ერთად, ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რამდენი ვარჯიშია საჭირო, როგორ უნდა იკვებო სწორად, რათა ფიზიკურ სრულყოფას მიაღწიო. საკუთარი სხეულის სილამაზით ადამიანების მოხიბლვას თუ შევძლებთ, ჩვენთვის ეს დიდი საჩუქარი იქნება"* - თქვა კანადის ნაკრების მორაგბემ **ბარბარა მერვინმა.**



ამბები


საფრანგეთის ნაკრების სტადიონის პროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფული ჯოჯოხეთს ანათებს

**მსოფლიოს ყველა ელიტურ სარაგბო ქვეყანაში ამ თამაშის სპეციალიზებული სტადიონები არსებობს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა კლუბების ან მუნიციპალიტეტების საკუთრებაა. ცოტა თუ მოიძებნება ისეთი, რომელიც კონკრეტული ქვეყნის რაგბის კავშირს ეკუთვნის. მაგალითად: ინგლისში ასეთი „თვიქნემია", უელსში „მილენიუმი", შოტლანდიაში „მერიფილდი", ირლანდიაში „ავივა სთედიუმი" და სხვა.**

რაც უნდა საოცარი იყო, ისეთი წამყვანი სარაგბო ქვეყნის რაგბის კავშირს, საფრანგეთი რომ არის, საკუთარი სტადიონი არ გააჩნია. ალარაფერს ვამბობთ საქართველოს რაგბის კავშირზე, რომელსაც ნაკრების მატჩების გასამართად ხან ეროვნული სტადიონის იჯარით აღება უწევს, ხანაც მიხეილ მესხის „ლოკომოტივის" სტადიონის.

როდის ექნებათ „ბორჯღალოსნებს" „საკუთარი კერა", არავინ იცის. აი, ფრანგებმა კი ამ საკითხის მოგვარებას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. „ლე ბლოს" მატჩების სარბიელად ბოლო 15 წელიწადია პარიზის გარეუბან სენ დენიში მდებარე „სტად დე ფრანსია". ფრანგთა ნაკრები მატჩების გარკვეულ ნაწილს რეგიონებშიც მართავს. ეროვნული გუნდის ყველაზე ხშირი მასპინძლები მარსელის „ველოდრომი" და ტულუზის „სტად ერნესტ ვალონია".

საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა **პიერ კამიუმ** მას შემდეგ, რაც ფრანგული რაგბის მესაჭე გახდა, მიზნად დაისახა ეროვნული ნაკრებისთვის სტადიონის ასაშენებლად თანხები მოეზიდა. პროექტი უკვე მზადაა და წინასწარი გათვლებით, 82-ათასიანი სტადიონის მშენებლობა 600 მილიონი ევრო დაჯდება.

სავარაუდოდ, ეს თანხა კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, რომ არა სტადიონის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის მდებარეობა. ის პარიზიდან მანქანით 25 წუთის სავალზეა. უფრო ახლოს რომ ყოფილიყო, მშენებლობის ღირებულებაც მეტად გაიზრდებოდა.

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, საფრანგეთის რაგბის კავშირს ნამდვილად ულირს საკუთარი სტადიონი ჰქონდეს და ყოველწლიურად „სტად დე ფრანსის" იჯარაში 85 მილიონი არ იხადოს. მით უფრო, რომ იმ 113 ჰექტარ მიწაზე, რომელზეც სტადიონი აშენდება, მოეწყობა სავაჭრო-გასართობი ცენტრი, სპორტული მოედნები, სადაც შესაძლებელი იქნება კონცერტებისა და სხვა კულტურული ღონისძიების გამართვა. რაც მთლიანად ობიექტს რენტაბელურს გახდის.

თავად სტადიონი კი ასე შეიძლება მოკლედ დახასიათდეს: ის ერთ-ერთი ულტრათანამედროვე იქნება მსოფლიოში. მაღალი, გადახურული, მრავალფუნქციური, მაყურებლისთვის გამორჩეული კომფორტით.

*„ახალი სტადიონის პროექტი სრულიად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც ფრანგული რაგბის განვითარების დღევანდელი მდგომარეობისთვისაა აუცილებელი. დროა საფრანგეთის რაგბის ფედერაციამ დამოუკიდებლად გაუწიოს ორგანიზება ეროვნული გუნდის თამაშებს და ხელი შეუწყოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.*

*ფრანგულ რაგბის, ისევე როგორც მსოფლიოს რაგბის ელიტურ ქვეყნებს, აუცილებლად უნდა გააჩნდეს რაგბის საკუთარი ედემის ბაღი"* - თქვა საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა პიერ კამიუმ.

# 40 მილიონი ზე რაგბის სანაცვლოდ?

**სამხრეთ აფრიკის აღმოსავლეთ პროვინციის რაგბის კავშირის ხელმძღვანელი ჩიკი ვოტსონი გულმოდგინედ უარყოფს, ზე რაგბიში თამაშზე უარის თქმის სანაცვლოდ, ამ ქვეყნის რაგბის კავშირისგან 40 მილიონი დოლარის მიღებას.**

აღმოსავლეთელებმა დიდი ხანია რეგიონის გუნდი „კინგ ზი" შექმნეს და ზე რაგბის გათამაშებაში ასპარეზობას ითხოვენ. ისინი უკვე ექვს თვეზე მეტია მოლაპარაკებას აწარმოებენ ზე რაგბის ორგანიზატორებთან და არავითარ დათმობაზე წასვლას არ აპირებენ.

*„სიცრუეა, თითქოს ზე რაგბიში თამაშზე უარის თქმის სანაცვლოდ, ამ ქვეყნის რაგბის კავშირისგან 40 მილიონი დოლარის მიღებას დავთანხმდით. ჩვენ ვთქვით, რომ მზად ვართ ვაწარმოოთ ინტენსიური მოლაპარაკებები, როგორ მოვახერხოთ „კინგ ზის" ზე რაგბიში ჩართვა.*

*არსებობს რამდენიმე ვარიანტი. ერთის მიხედვით, 2013 წელს სამხრეთაფრიკული გუნდებიდან უარესს გადათამაშებაში დავუპირისპირდებით და გამარჯვებულს ზე რაგბიში თამაშის უფლება ერგება. მეორე კი წლეულს ხელმოცარულის სანაცვლოდ „კინგ ზის" თამაშს ითვალისწინებს.*

*გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. კონსულტაციები გრძელდება"* - თქვა ჩიკი ვოტსონმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი



ფედრიგოს ფინიში

# მეოთხე ფრანგული გამარჯვება

მეორე დასვენების დღის წინ, ტურ დე ფრანსის ორგანიზატორებმა შანსი მისცეს „სუფთა" სპრინტერებს. მე-15 ეტაპი საკმაოდ მოკლე (158 კმ) იყო იმისთვის, რომ გაქცევას აზრი ჰქონოდა, გარდა ამისა, სამი უმნიშვნელო ამაღლება საფინიშო გარჩევების გარდა, სხვა სცენარის შანსს არ ტოვებდა. ბოლო დღეებში ჩრდილში მოექცა მსოფლიო ველორბოლის მთავარი სპრინტერი **მარკ კევენდიში** და ამ ეტაპის წინ მთავარი საკითხი იმაში მდგომარეობდა, შეძლებდა თუ არა ბრიტანელი სამი ეტაპის მომგები **ანდრე გრაიპელისთვის** წინააღმდეგობის გაწევას.

გაქცევის პირველი მცდელობები პოსტსაბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლებს ჰქონდათ - **იაროსლავ პოპოვიჩი, ალექსანდრ ვინოკუროვი, ანდრეი გრივკო,** აგრეთვე იაპონელი **იუკიო არასირო** უშედეგოდ ცდილობდნენ პელოტონის ჩამოტოვებას, რადგან სპრინტერული გუნდები მაშინვე რეაგირებდნენ ამ შეტევებზე და უზრუნველყოფდნენ რბოლის მაღალ ტემპს.

მხოლოდ **ბრედლი უიგინსისა** და მისი გუნდის მიერ აღებული სანიტარული პაუზის შემდეგ მოხდა გაქცევა. თანაც დანინაურებულებს შორის ცნობილი ველომრბოლები იყვნენ: **ტომას ვიოკლერი, პიერიკ ფედრიგო, სამუელ დიუმოლენი, დრის დევენინსი** და **კრისტიან ვანდეველდე**. ბოლო მომენტში მათ შეუერთდა დანიელი **ნიკი სორენსენი**. პელოტონი დამშვიდდა და ძალიან მალე გაქცეულების უპირატესობამ ექვსი წუთი შეადგინა. „თიმ სქაის" აქტიურობის არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, სპრინტერული გუნდები კი არ ჩქარობდნენ ტემპის მომატებას. მხოლოდ ფინიშამდე 60 კილომეტრით ადრე სხვაობამ კლება იწყო.

მაგრამ ეს პელოტონის დროებითი გაბრძოლება აღმოჩნდა. დროთა განმავლობაში, ლიდერთა ჯგუფის უპირატესობამ მაქსიმალურ ცხრა წუთს მიაღწია. ფინიშამდე ათი კილომეტრით ადრე კი გაქცეულების ჯგუფში სერიოზული ბრძოლა გაჩაღდა. თავიდან შეტევის მცდელობები ჰქონდა სიორენსენს, მაგრამ ის არ გაუშვეს. შემდეგ კი პრაქტიკულად შეუმჩნევლად ჯგუფი დაშალეს ვანდენველდემ და ფედრიგომ. ამერიკელმა ბრწყინვალე ინდივიდუალური სვლით მოიპოვა უპირატესობა დანარჩენ ოთხ კონკურენტზე. ბოლოს ვიოკლერმა და სიორენსენმა კონტრშეტევა სცადეს, მაგრამ დაგვიანებული იყო.

ფედრიგოსა და ვანდეველდეს შორის სპრინტერულ დუელში კი ძალები არათანაბარი იყო. კრისტიანი ბორბალზე „დააჯდა" ფრანგს, მაგრამ ფედრიგო გაცილებით უკეთესი სპრინტერი აღმოჩნდა და გამარჯვება იოლად მოიპოვა. ეს იყო წლევანდელ ტურზე მეოთხე ფრანგული გამარჯვება, ამასთან, ეტაპის ტრიუმფატორი კარიერაში მეოთხედ მივიდა პირველი ფინიშთან.

ძირითადმა ჯგუფმა ფინიშზე 12 წუთის შემდეგ მიაღწია. მეშვიდე ადგილისთვის სპრინტი გრაიპელმა მოიგო, მაგრამ ის კმაყოფილი ვერ დარჩებოდა ეტაპით. საერთო ჩათვლაში და სხვა ნომინაციებშიც ცვლილებები არ მომხდარა. გუშინ, ტურის მონაწილეებს დასვენების დღე ჰქონდათ, რაც დროულია, რადგან წინ მათ პირენეის უმძიმესი ეტაპები ელით, ყველაზე რთული გამოცდა კი ხუთშაბათს არის დაგეგმილი.

**XV ეტაპი**

1. **პიერიკ ფედრიგო** (საფრანგეთი - FDJ); 2. **კრისტიან ვანდეველდე** (აშშ - Garmin-Sharp) - იგივე დრო; 3. **ტომას ფიოკლერი** (საფრანგეთი - Europcar) - +0,12; 4. **ნიკი სიორენსენი** (დანია - SaxoBank-Tinkoff Banmk) - იგივე დრო; 5. **დრის დევენინსი** (ბელგია - Omega Pharma-Quick Step) - +0,21; 6. **სამუელ დიუმოლენი** (საფრანგეთი - Cofidis) - +1,02; 7. **ანდრე გრაიპელი** (გერმანია - Lotto-Belisol) - +11,50; 8. **ტაილერ ფარარი** (აშშ - Garmin-Sharp) - იგივე დრო; 9. **პეტერ საგანი** (სლოვაკეთი - Liquigas) - იგივე დრო; 10. **კრის ბოკმანსი** (ბელგია - Vacansoleil) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky); 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +2,05; 3. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - +2,23; 4. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +3,19; 5. **იურგენ ვან დერ ბრეკი** (ბელგია - Lotto-Belisol) - +4,48; 6. **აიმარ სუბელდია** (ესპანეთი - RadioShack-Nissan) - +6,15; 7. **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ - BMC Racing Team) - +6,57; 8. **იანეც ბრაიკოვიჩი** (სლოვენია - ასტანა) - +7,30; 9. **პიერ როლანი** (საფრანგეთი - Europcar) - +8,31; 10. **ტიბო პინო** (საფრანგეთი - FDJ) - +8,51...

● რეიტინგი

# როჯერი – ყველაზე მდიდარი არაამერიკელი

ცნობილმა ამერიკულმა ჟურნალმა Sports Illustrated-მა გამოაქვეყნა ყველაზე მაღალანაზღაურებადი არაამერიკელი სპორტსმენების ყოველწლიური რეიტინგი. ზედიზედ მეოთხედ ამ სიას სათავეში უდგას ლეგენდარული შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი.**

**Sports Illustrated-ის პირველი ათეული ასე გამოიყურება**

1. როჯერ ფედერერი (ჩოგბურთი, შვეიცარია) - $51 400 000
2. დევიდ ბექჰემი (ფეხბურთი, ბრიტანეთი) - $46 000 000
3. ლეონელ მესი (ფეხბურთი, არგენტინა) - $41 250 000
4. კრისტიანო რონალდო (ფეხბურთი, პორტუგალია) - $40 250 000
5. ფერნანდო ალონსო (ფორმულა 1, ესპანეთი) - $40 000 000
6. მენი პაკიაო (კრივი, ფილიპინები) - $39 000 000
7. სამუელ ეტო'ო (ფეხბურთი, კამერუნი) - $30 700 000
8. რაფაელ ნადალი (ჩოგბურთი, ესპანეთი) - $29 000 000
9. ვალენტინო როსი (მოტოგრანპრი, იტალია) - $28 000 000
10. მარია შარაპოვა (ჩოგბურთი, რუსეთი) - $26 500 000

● კალათბურთი

# დრიმ თიმი პრეზიდენტის ამბორის ფონზე

## ამერიკის ნაკრებმა ბრაზილიასთან 10-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილა

ამერიკის ოლიმპიურმა ნაკრებმა ევროპაში გამგზავრებამდე ბოლო საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარა - ვაშინგტონში ბრაზილიის ნაკრებს უმასპინძლა და სერიოზული გამოცდის ჩატარებამ მოუწია.

**მაიკ კრჟიჟევსკის** შეგირდებმა აშკარად ჩააგდეს პირველი მეოთხედი. **ლებრონ ჯეიმსის** პირველ ორ საჯარიმოს ბრაზილიელებმა ზედიზედ შვიდი ქულით უპასუხეს, სტარტიდან ხუთი წუთის შემდეგ კი ათი ქულით იყვნენ წინ – 17:7. მეოთხედის დასრულებამდე 15 წამით ადრე **ანდერსონ ვარეჟაოს** დანკით სტუმრებმა შეინარჩუნეს ეს სხვაობა – 27:17.

მეორე მეოთხედის დასაწყისში ბრაზილიელებმა შეცდომებს უმატეს და ამერიკა სწრაფი გარღვევებით 12:0 გაიქცა. მასპინძლის რვაქულიანი ჩამორჩენა ოთხქულიან უპირატესობად გადაიქცა - 33:29. ბრაზილიამ მეტოქის წინსვლა შეაჩერა, მაგრამ წინ მატჩში აღარ გასულა. პირველი ტაიმის ბოლოს ლებრონის ზედიზედ ორი ზუსტი ტყორცნით, აშშ-მ პირველი ტაიმი 37:32 მოიგო. პირველ ნახევარში მასპინძლებს ბევრი ხარვეზი ჰქონდათ, მაგალითად, 12-დან მხოლოდ ერთი სამქულიანი ჩააგდეს.

თითქმის მთელი მეორე ტაიმი სხვაობა სადღაც ექვსი-შვიდი ქულის ფარგლებში მერყეობდა. მაგალითად, საფინალო სირენამდე ოთხი წუთით ადრე, ამერიკა შვიდ ქულას იგებდა. სწორედ ამ დროს თქვა თავისი სიტყვა მატჩის საუკეთესო მოთამაშემ ლებრონ ჯეიმსმა. ბოლო მეოთხედში მან 14 ქულა დააგროვა, მათ შორის შვიდი ბოლო ოთხ წუთში, რასაც სტუმრებმა ბევრით ვერაფრით უპასუხეს და "დრიმ თიმმა" 11 ქულის სხვაობით გაიმარჯვა.

სხვათა შორის, ორი წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატამდე საწვრთნელ შეხვედრაში ბრაზილიამ ასევე შეუქმნა პრობლემები ამერიკის ნაკრებს, როცა მომავალ ჩემპიონთან მხოლოდ ორი ქულა წააგო – 68:70.

როგორც გითხარით, აშშ-ის ნაკრებმა დაასრულა პირველი შეკრება და დღეს ევროპაში გაემგზავრა. ლონდონის ოლიმპიადის დაწყებამდე გუნდი კიდევ სამ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს: მანჩესტერში ბრიტანეთის წინააღმდეგ, ბარსელონაში – არგენტინისა და ესპანეთის წინააღმდეგ.

■ ■ ■

ამ საწვრთნელ შეხვედრაში მხოლოდ ლებრონი არ იპყრობდა მაყურებელთა ყურადღებას. ამერიკელი კალათბურთელები დაჩრდილა აშშ-ის პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** – ის თამაშზე მეუღლე **მიშელთან** (ეს უკანასკნელი აშშ-ის დელეგაციის ხელმძღვანელი იქნება ლონდონის ოლიმპიადაზე), ქალიშვილ **მალიასთან** და ვიცე-პრეზიდენტ **ჯო ბაიდენთან** ერთად მივიდა.

*"ჩვენი გუნდი ძალიან ნიჭიერია, - განაცხადა ერთ-ერთი შესვენების დროს ობამამ. – ამიტომაც არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ არ უნდა ჩამოიტანონ მათ ოქრო ლონდონიდან. მთავარია მაქსიმალურად კონცენტრირებულები იყვნენ".*

საღამოს კულმინაცია გახდა პრეზიდენტისა და მისი მეუღლის კოცნა, რომელსაც მთელი დარბაზი Kiss Cam-ის მეშვეობით ადევნებდა თვალს.

**აშშ-ბრაზილია 80:69**

**17:27, 20:5, 22:19, 21:18**

**ა:** ენტონი (3), ჯეიმსი (30), ჩენდლერი (3), ბრაიანტი (8), პოლი (10) - დურანტი (11), იგუოდალა (5), უესტბრუკი (4), დ. უილიამსი (6), ლავი, ჰარდენი.

**ბ:** გარსია (14), ნენე (8), სპლიტერი (6), ბარბოზა (10), მარსელინიო (11+13 პასი) - ტეილორი (1), ვარეჟაო (12+13 მოხსნა), ნეტუ, მაშადუ (2), ჯოვანონი (5).



ბარაკ ობამა და მისი მეუღლე

# კობის ორი წელი დარჩა?

## ლეიკერსის ლიდერი პენსიაზე ალაპარაკდა



კობი ბრაიანტი

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერს, 33 წლის **კობი ბრაიანტს** კონტრაქტის მიხედვით კიდევ ორი წელი დარჩა კალიფორნიულ კლუბთან. ამ დროის განმავლობაში ის 58 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. როცა „ლეიკერსში" კარიერას იწყებდა, კობიმ განაცხადა, რომ 35 წლის ასაკში დაასრულებდა კარიერას.

*„შესაძლოა ასეც მოხდეს. ეს იქნება ჩემი კონტრაქტის ბოლო წელი. არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ. ამაზე სერიოზულად ჯერ არ მიფიქრია. თუმცა გამორიცხული არაფერია.*

*შესაძლოა, ამის შესახებ თქვენ მიმდინარე წლის ბოლოს შეიტყოთ. არაერთხელ გინახავთ, რომ მოთამაშეები მიდიან, მაგრამ შემდეგ თავიდან იწყებენ კარიერას. არ მინდა, რომ ჩემს შემთხვევაში ასე მოხდეს. ძალიან რთულია იმ მომენტის განსაზღვრა, როცა წასვლის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიილო",* - განაცხადა ბრაიანტმა.

● ჩოგბურთი

# დელ პოტრო ლონდონში მიქსტს ითამაშებს

კიდევ ორი ჩოგბურთელი გახდა თავისი ქვეყნის მედროშე ლონდონის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე - კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი** და ბულგარელი **ცვეტანა პირონკოვა**.

ATP-ის რეიტინგის მე-40 ნომერი, 27 წლის ბაღდატისი თავის მეორე ოლიმპიადაზე გამოვა – 2004 წელს ათენში მან მეორე წრემდე მიაღია.

რაც შეეხება პირონკოვას, მისთვისაც ეს მეორე ოლიმპიადაა და პეკინში ისიც მეორე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას. თუმცა ლონდონში ბულგარელს თავის გამოჩენის მეტი შანსი აქვს, რადგან სწორედ უიმბლდონის კორტებზე მიაღწია მან კარიერაში ყველაზე დიდ წარმატებას - 2010 წელს ნახევარფინალში ითამაშა, 2011 წელს - მეოთხედფინალში.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე თავიანთი ქვეყნის მედროშეობაზე თანხმობა განაცხადეს: **მარია შარაპოვამ** (რუსეთი), **აგნიეშკა რადვანსკამ** (პოლონეთი), **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** (სერბეთი), **რაფაელ ნადალმა** (ესპანეთი), **როჯერ ფედერერმა** (შვეიცარია), **მაქს მირნიმ** (ბელარუსი) და **ჰორია ტეკეუმ** (რუმინეთი).

■ ■ ■

არგენტინის საჩოგბურთო ნაკრების ლიდერმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** ოლიმპიადის მიქსტში თამაში გადაწყვიტა. აქ მისი პარტნიორი იქნება წყვილთა თანრიგში თამაშის ოსტატი **ხისელა დულკო.**

შეგახსენებთ, რომ ამ მომენტისთვის დელ პოტრო მეცხრე ადგილს იკავებს ერთეულთა რეიტინგში, დულკო კი მეთხუთმეტეა ქალებს შორის წყვილთა კლასიფიკაციაში.



ხუან მარტინ დელ პოტრო

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი. NHL




NHL-ში დასვენების დრო დგება?

# აქაც ლოკაუტი იწყება

ჰოკეის ეროვნული ლიგის 2012-13 წლების სეზონს სერიოზული საფრთხე დაემუქრა. ლიგის ხელმძღვანელობამ მოთამაშეთა პროფკავშირებთან მოლაპარაკებისას კოლექტიური ხელშეკრულების შეცვლის წინადადებები წარმოადგინა, რამაც, შესაძლოა, მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში ლოკაუტი გამოიწვიოს. თუ მხარეებმა 15 სექტემბრამდე ვერ შეძლეს მოლაპარაკება, NHL-ში გაფიცვა გამოცხადდება.

ლიგამ პროფკავშირებს ჰოკეისტთა შემოსავლის 57-დან 46 პროცენტამდე შემცირება შესთავაზა. საერთო ჯამში, ეს ლოგიკური მოთხოვნაა, რადგან ლიგის შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება - ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ლაპარაკობს NHL-ის კომისარი **გერი ბეტმენი**. პროფკავშირი, სავარაუდოდ, არ დაეთანხმება ასეთ პირობებს, რაც ლოკაუტს გამოიწვევს. ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთმა ექსპერტმა ლიგის ამგვარი მოქმედება პროფკავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებად მონათლა.

შვიდი წლის წინ, მიმდინარე კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებისას, მოთამაშეთა ხელფასი ერთი მეოთხედით შემცირდა. როგორც ჩანს, ლიგის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჰოკეისტები მაინც ძალიან ბევრს იღებენ და ისევ ცდილობს მათი შემოსავლის შემცირებას.

ბოლო ლოკაუტიდან მოყოლებული, NHL-ში მოთამაშის საშუალო ხელფასი 1.5 მილიონიდან 2.3 მილიონამდე გაიზარდა, რაც ოდნავ უსწრებს ამავე პერიოდში ლიგაში შემოსავლის ზრდის ტემპებს. 2005-06 წლების სეზონის წინ, კლუბის სახელფასო ბიუჯეტის მაქსიმალური ზღვარი 39 მილიონი დოლარი იყო, შვიდ წელიწადში კი 70.2 მილიონამდე გაიზარდა.

შედარებისთვის, ამერიკული ფეხბურთის ლიგაში მოთამაშეთა შემოსავალი კლუბის საერთო შემოსავლის 48 პროცენტს შეადგენს. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, სადაც ცოტა ხნის წინ დასრულდა ამგვარი ომი, მოთამაშეები 51 პროცენტს დათანხმდნენ. ამ მხრივ, ჰოკეისტების 57 პროცენტი - ძალიან ბევრია, მაგრამ ამ რიცხვის ერთბაშად 46 პროცენტამდე დაწევა დამამცირებელი ჩანს. სავარაუდოდ, ლიგის ხელმძღვანელობამ უკან დასახევი გზა დაიტოვა და მიაღწევს კომპრომისს პროფკავშირთან 50 პროცენტზე. სხვა საქმეა, რომ ოკეანის გაღმა ამერიკული ფეხბურთი და კალათბურთი უფრო მომგებიანი სახეობებია და ფინანსური თვალსაზრისით, ჰოკეისტები მაინც წაგებული რჩებოდნენ.

სახელფასო ბიუჯეტის შემცირება ბეტმენის მხოლოდ ერთი წინადადებაა. დანარჩენი შეთავაზებებიც საკმაოდ „ხისტია".

კლუბებს სურთ ხუთი წლით განსაზღვრონ კონტრაქტის მაქსიმალური ხანგრძლივობა ნებისმიერი ასაკის ჰოკეისტისთვის. კლუბების მფლობელთა სურვილს - მაქსიმალურად დიდი ხნით შეენარჩუნებინათ თავიანთ რიგებში ვარსკვლავები, ბევრი ხარვეზი აღმოაჩნდა. ძალიან დიდია ტრავმების რისკი. ასეთი მაგალითი ლიგაში მრავლადაა. მაგალითად, „აილენდერსის" მეკარე **რიკ დიპიეტრო**, რომელიც ტრავმირებულია, მისი კონტრაქტი კი 2021 წელს იწურება.

გარდა ამისა, ლიგას სურს დააწესოს ერთნაირი ხელფასი მთელი კონტრაქტის განმავლობაში. ეს მოთხოვნაც სრულიად ლოგიკურია. მათ სურთ, აღარ არსებობდეს ისეთი ხელშეკრულებები, როგორიც რუს **ილია კოვალჩუკს** აქვს. რუსმა 15 წელიწადში 100 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს, მაგრამ ამ დროის განმავლობაში წლიური ხელფასი არათანაბრად არის განაწილებული. ექვს მნიშვნელოვან სეზონში კოვალჩუკი წელიწადში 10 მილიონზე მეტს მიიღებს, კონტრაქტის ბოლოსკენ კი ხელფასი წელიწადში ერთ მილიონ დოლარამდე ეცემა.

იგეგმება დებიუტანტის კონტრაქტის ვადის სამიდან ხუთ წლამდე გაზრდა. არადა, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ნიჭიერი მოთამაშეები სამ წელზე ნაკლებ ვადაში ყალიბდებიან მაღალ ოსტატებად და ახალგაზრდა ბიჭებს უბრალოდ გაუქრებათ თამაშის სტიმული, რადგან მაღალი დონის ჩვენების შემთხვევაშიც ხელფასს არ მოუმატებენ.

ყველა ფაქტისა და იმ დაპირისპირების ისტორიის გათვალისწინებით, რაც ლიგასა და პროფკავშირს შორის ყოფილა, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ NHL-ში ლოკაუტი შედგება, მაგრამ მხოლოდ ორი-სამი თვე გაგრძელდება. მხარეებს კარგად ესმით, რომ უფრო ხანგრძლივი კონფლიქტი დამღუპველად აისახება თავად ლიგაზე და ჰოკეისტებზე. ჩრდილოეთ ამერიკის პროფესიულ ლიგებს შორის - ჰოკეის ეროვნული ლიგა ყველაზე ნაკლებად პოპულარული და შემოსავლიანია, ამიტომაც მთელი სეზონის განმავლობაში გაგრძელებული ლოკაუტი, საბოლოოდ ჩამოაშორებს ჰოკეის მაყურებელს და შემდეგ, ძველ დონეზე დაბრუნება ძალიან რთული იქნება.

# კრიმინალი ჰოკეისტები

სლოვაკი ჰოკეისტი **ლადისლავ შკურკო** მსაჯის მკვლელობისთვის რვაწლიანი პატიმრობით დაისაჯა. დანაშაული 2008 წელს მოხდა, - წერს Yahoo! Sports.

2009 წლის აპრილში, შკურკომ აღიარა ჰოკეის 26 წლის მსაჯის **მარეკ ლიპტაის** მკვლელობა. ჰოკეისტმა მას დანით 14 ჭრილობა მიაყენა. გვამი 2008 წლის დეკემბერში ქალაქ კოშიცესთან ახლოს ტყეში იპოვეს.

ჰოკეისტმა დაახლოებით ორი წელი ციხეში გაატარა. ის 2011 წელს გაათავისუფლეს და 2011-12 წლების სეზონი სლოვაკეთის ქვედა ლიგებში გაატარა.

მაგრამ ცოტა ხნის წინ, შკურკომ განაცხადა, რომ მსაჯი არ მოუკლავს და აღიარებითი ჩვენება პოლიციის ზეწოლის ქვეშ მისცა. ჩატარდა განმეორებითი გამოძიება და ჰოკეისტს ბრალი დაუმტკიცეს. პროკურორი შკურკოს 15 წლით დასჯას ითხოვდა, მაგრამ ფსიქიატრის დასკვნით, დანაშაულის მომენტში სპორტსმენს გონება ჰქონდა დაბინდული, რაც სასჯელის შემსუბუქების საფუძველი გახდა.

26 წლის შკურკო 2004 წელს NHL-ის დრაფტზე „ფილადელფიამ" აირჩია. 2005 და 2006 წლებში ის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატებზე თამაშობდა, 2007 წელს კი სლოვაკეთის ჩემპიონი გახდა „კოშიცეს" შემადგენლობაში.

■ ■ ■



ლადისლავ შკურკო

NHL-ის კლუბის „ვინიპეგის" მეკარემ **ონდჟეი პაველეცმა** ნახევარი წელი პირობითი სასჯელი მიიღო მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო. გარდა ამისა, სასამართლომ მეკარეს 20 თვით საჭესთან ჯდომა აუკრძალა. მაისში ჩეხი ჰოკეისტი თავისი BMW-თი ქალაქ კლადნოში ავარიაში მოხვდა - გაჩერებულ მანქანას დაეჯახა.

ადგილზე მისულმა პოლიციამ დაადგინა, რომ მეკარე მთვრალი იყო. ავარიის შედეგად არავინ დაზარალებულა და პაველეცმა დაზიანებული მანქანის მეპატრონეს ზარალი აუნაზღაურა.

პაველეცის სასჯელი მხოლოდ ევროპაზე ვრცელდება, ასე რომ, ეს გადაწყვეტილება მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან დროის დიდ ნაწილს ჰოკეისტი ჩრდილოეთ ამერიკაში ატარებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ჩემპიონთა ლიგა**

**II საკვალიფიკაციო**

| | |
|---|---|
| ულისესი-შერიფი | 0:1 |
| ფლორა-ბაზელი | 0:2 |
| ჰიკ-რეიკიავიკი | 7:0 |
| დუდელანჟი-ზალცბურგი | 1:0 |
| ლიბერეცი-შახტიორი | 1:0 |
| ჟილინა-ირონი | 1:0 |
| ტნს-ჰელსინგბორგი | 0:0 |
| შკენდებრეუ-დებრეცენი | 1:0 |
| ვალეტა-პარტიზანი | 1:4 |
| შემროკი-ეკრანასი | 0:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ოსერი-კლერმონი | 4:0 |
| არლი-მონპელიე | 1:3 |
| ვილინგენი-შალკე | 0:2 |
| აუსტრია-მიუნხენი | 0:0 |
| იგლზი-ვენლო | 3:0 |
| დინამო (დრ)-მანჩესტერ სიტი | 0:0 |
| ნანტი-ვანი | 1:0 |
| ორლეანი-ტური | 1:1 |
| რუზელარე-ვარეგემი | 1:3 |
| ჰერენვეენი-ვაასლანდი | 0:0 |
| ვესტერლო-სპარტა | 1:1 |
| ტულუზა-ნიმი | 0:1 |
| აალენი-სელტიკი | 1:2 |
| კამბური-ნიიმეგენი | 1:1 |
| რაპიდი-რომა | 1:2 |
| ჰელმონდი-იფსვიჩი | 1:1 |
| ელჯინი-აბერდინი | 1:0 |
| მეიდენჰედი-უიმბლდონი | 1:3 |
| უორკინგტონი-კარლაილი | 0:5 |
| ალფრეტონი-ბარნსლი | 1:2 |
| ნერნი-როსი | 0:0 |
| ოქსფორდი-ვესტ ჰემი | 1:0 |
| რეითი-მოზერველი | 1:1 |
| სტუორბრიჯი-ტელფორდი | 1:0 |
| უოკინგი-ქროული | 1:0 |
| უორჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1:0 |
| კასაბლანკა-ბილბაო | 3:1 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრაგე-ჰალმსტადი | 2:1 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| შინიკი-მეტალურგი | 2:0 |
| პეტროტრესტი-ტომი | 1:3 |

**ესტონეთი**

| | |
|---|---|
| კურესაარე-სილამაე | 2:2 |
| ვიილანდი-ტამეკა | 3:2 |
| ტრანს ნარვა-პაიდე | 2:0 |

### კალათბურთი

**ევრობასკეტი 2012**

**UNDER 20**

| | |
|---|---|
| გერმანია-რუსეთი | 74:59 |
| უკრაინა-საფრანგეთი | 62:75 |
| სერბეთი-საბერძნეთი | 66:69 |
| ესპანეთი-იტალია | 76:78 |
| ლიტვა-ლატვია | 75:78 |
| თურქეთი-სლოვენია | 71:72 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ავსტრალია | 75:69 |

### ჩოგბურთი

**ATP. გშტაადი**

| | |
|---|---|
| კუბოტი-დოდიგი | 3:6, 6:3, 6:4 |
| ჰაიეკი-როჟე ვასელენი | 4:1 უარი |
| ფ. ლოპესი-უნგური | 2:6, 6:4, 7:6 |
| ბრაუნი-სტახოვსკი | 3:6, 6:4, 7:6 |
| ბელუჩი-კავჩიჩი | 6:1, 6:1 |
| ვოლანდრი-გულბისი | 6:7, 6:4, 3:6 |
| ბენეტო-დიმიტროვი | 6:3, 4:6, 1:6 |

**ATP. ჰამბურგი**

| | |
|---|---|
| შარდი-მონტანიესი | 6:4, 6:2 |
| ფ. მაიერი-სებალიოსი | 7:6, 7:5 |
| ტროიცკი-როსოლი | 7:5, 3:6, 4:6 |
| მონაკო-შტებე | 6:4, 3:6, 7:5 |
| ანდუხარი-რამოსი | 1:6, 4:6 |
| ჰაასი-კლიჟანი | 3:6, 4:6 |
| რაისტერი-ვერდასკო | 6:2, 6:3 |
| ჩიპოლა-ჩილიჩი | 3:6, 4:6 |
| ფაუ-კოლშრაიბერი | 6:4, 2:6, 3:6 |
| ილჰანი-ფონინი | 5:7, 2:6 |
| ალმაგრო-კამკე | 6:4, 6:1 |

**WTA. ბაშტადი**

| | |
|---|---|
| ტატიშვილი-ესპინოსა | 6:4, 3:6, 0:6 |
| მედინა გარიგესი-რობსონი | 6:4, 7:6 |
| რომა-დუკე მარინო | 5:7, 1:6 |
| ბეკი-ზაკოპალოვა | 6:2, 3:6, 4:6 |
| პეტერსონი-რუსი | 1:6, 2:6 |
| უაიტჰოფტი-კ. ბონდარენკო | 2:6, 6:7 |
| ბ. ზახვალოვა-გორგესი | 2:6, 2:6 |
| პირონკოვა-ჰრადეცკა | 6:2, 7:5 |
| მეირი-პავლიუჩენკოვა | 2:6, 2:6 |
| პანოვა-ჰერცოგი | 5:7, 5:7 |
| პეერი-დომინგეს ლინო | 6:4, 2:0 უარი |
| არვიდსონი-ვინჩი | 6:4, 7:5 |

**WTA. ბაშტადი**

| | |
|---|---|
| კარატანჩევა-ჩინკი | 2:6, 6:4, 5:7 |
| ერაკოვიჩი-კეოტავონგი | 6:4, 6:0 |
| დანილიდუ-უოტსონი | 3:6, 3:6 |
| ჩანგი-კინგი | 1:6, 4:6 |

## TV პროგრამა

**18 ივლისი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ლაციო.
**11:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ბაიერნი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-კატანია.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ბრედა-ეინდჰოვენი.
**20:00** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალაგა.
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. შალკე.
**23:30** იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ჩელსი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შტუტგარტი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ვაშინგტონი-ბოსტონი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ტვენტე.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-იტალია.
**18:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ვალენსია.
**21:30** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
**22:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ვაშინგტონი-ბოსტონი.
**00:00** ჩოგბურთის ლეგენდები. როჯერ ფედერერი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პალერმო. იტალია.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პალერმო. იტალია.
**14:20** რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ინგლისი.
**16:20** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნიუკასლი.
**19:30** კალათბურთი. ევროლიგა. პარტიზანი-მილანი.
**21:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. პალერმო. იტალია.
**23:10** რაგბი. ექვსი ერის თასი. იტალია-შოტლანდია.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 22 | 34 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 21 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 21 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 20 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 20 | 28 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 20 | 33 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 22 | 35 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 20 | 33 | (მცირე წვიმა) |
| ქობულეთი | 20 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 12 | 26 | (წვიმა) |
| ბორჯომი | 16 | 32 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 15 | 27 | (მცირე წვიმა) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0186 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6425 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5677 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0545 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 20 წლის შემდეგ

## როგორ იქმნებოდა და თამაშობდა 1992 წლის დრიმ თიმი

**ყველაზე ორიგინალური და უნიკალური „დრიმ თიმის“ შექმნიდან 20 წლის თავზე, GQ-ს მიმომხილველმა ლენგ უიტეკერმა ყველა დროის უდიადესი საკალათბურთო ნაკრების ისტორია გაიხსენა. ამისთვის მან ამ ისტორიის შემქმნელები აალაპარაკა.**




მეჯიქ. ბერდი. ჯორდანი. ლეგენდები ყველა პოზიციაზე. დიდების დარბაზის წევრები, რომლებიც სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. ეს იყო საუკეთესო გუნდი, რომელიც ოდესმე არსებობდა – სპორტის ნებისმიერ სახეობაში. 20 წლის წინ, ბარსელონაში მათ მოაწყვეს შოუ, რომელსაც მსოფლიო არასოდეს დაივიწყებს.

ეს წესი ყოველთვის სულელური იყო. მსოფლიო კალათბურთის სტანდარტების თანახმად, რომელიც ათწლეულების განმავლობაში არ იცვლებოდა, ნებისმიერი ლიგის პროფესიონალებს შეეძლოთ ოლიმპიადაზე გამოსვლა - გამონაკლისი მხოლოდ NBA იყო. ეს იმისთვის გააკეთეს, რომ სპორტის ამ სახეობაში ამერიკელების დანარჩენებზე უპირატესობის ერთგვარი ნიველირება მოეხდინათ. სხვა სიტყვებით - იმისთვის, რომ "ამ საცოდავებისთვის მცირე შანსი მიეცათ". ეს წესი 1989 წლის აპრილში გააუქმეს, მას შემდეგ, რაც აშშ-ის ნაკრებმა "დამამცირებელი" მესამე ადგილი დაიკავეს სეულის თამაშებზე. პროგრესი, რომელსაც სხვა ქვეყნებმა მიაღწიეს, ნამდვილად არ იყო ამერიკელებისთვის სასიხარულო მოვლენა. აუცილებელი იყო ტოტალური უპირატესობის დაბრუნება დანარჩენ სამყაროზე. ასე წარმოიშვა მსოფლიოსთვის თვალის მოჭრისა და დაშინების იდეა. უნდა მიენიშნებინათ ყველასთვის, რომ მაქსიმუმ, რისი იმედიც მათ უნდა ჰქონოდათ, ვერცხლის მედალი ან მაიკლ ჯორდანის ავტოგრაფი იყო.

ნაწილი პირველი. დასაწყისი

**„გუნდის შემადგენლობა მარტივად დგებოდა - აქ მხოლოდ საუკეთესოებს შორის საუკეთესოები თამაშობდნენ“**

**დევიდ სტერნი (NBA-ის კომისარი):** NBA-ის ხელმძღვანელები 1988 წლის წაგებისთვის შურისძიებას ლამობდნენ? არა, ეს ასე არ იყო. ჩვენი აზრით, უბრალოდ არასწორად განვიხილავდით თავად ოლიმპიადაზე მონაწილეობას. გვიან გავაცნობიერეთ, რამდენად მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ოლიმპიური თამაშები.

**დევიდ ფოლკი (მაიკლ ჯორდანის აგენტი):** არსებობდა საყოველთაოდ მიღებული წესი – ჩვენ ოლიმპიადაზე სტუდენტებს ვგზავნიდით, ამ დროს კი დანარჩენები თავიანთ რიგებში პროფესიონალებს იწვევდნენ. ამას მრავალი წლის განმავლობაში ვაკეთებდით. რატომ უნდა გაგვეგრძელებინა იგივე მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი სულელური წესი არსებობდა?

**სტერნი:** FIBA-ითან დიალოგის დროს ვაღიარეთ, რომ დიდად აღფრთოვანებული არ ვიყავით ოლიმპიადაზე გამოსვლის იდეით, მაგრამ შევეცდებოდით კარგი სამსახური გაგვეწია მსოფლიო კალათბურთისთვის. მათ ჰქონდათ კენჭისყრის უფლება. ამერიკა წინააღმდეგი წავიდა, რუსებიც, მაგრამ ხმების უმრავლესობა დადებითი აღმოჩნდა.

**რას გრანიკი (შუამავალი NBA-სა და აშშ-ის ნაკრებს შორის):** პირველი პრობლემა იყო მწვრთნელის დანიშვნა. მისი კანდიდატურა ყველასთვის მისაღები უნდა ყოფილიყო - გუნდების მფლობელებიდან დაწყებული და მოთამაშეებით დამთავრებული. ამ შემთხვევაში კომფორტი ყველაფერზე მაღლა იდგა. თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, ჩაკ დეილი თავიდანვე ყველაზე აშკარა კანდიდატურა იყო - მას ახალი მოგებული ჰქონდა ზედიზედ მეორე ტიტული "დეტროიტთან" ერთად, ის იყო ადამიანი, რომელმაც იცოდა ჭკვიან კალათბურთელებთან ურთიერთობა და ბოლომდე გახსნილი იყო ჟურნალისტებთან.

**ქუინ ბაკნერი (აშშ-ის ნაკრების შტაბის წევრი):** ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო - არ გვეთამაშა კალათბურთელების გრძნობებზე. ჩაკი, პირველ რიგში, ფსიქოლოგი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მწვრთნელი. გვეგონა, რომ რაღაც სპეციალურ "ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის" ვემზადებოდით.

**გრანიკი:** ვფიქრობდით ლარი ბერდის შესახებ, რადგან მას პრობლემები ჰქონდა ზურგთან დაკავშირებით. მისი კარიერა დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ მის გარეშე ისტორიული გუნდის წარმოდგენა შეუძლებელი იყო. ეს დანაშაული იქნებოდა.

**მეჯიქ ჯონსონი (აშშ-ის ნაკრების გამთამაშებელი):** ლარის ზურგთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა. შიდსის ვირუსის გამო, ჩემი საკითხიც არ იყო გადაწყვეტილი. ასე რომ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავით იმაში, რომ ყველაფერს სწორად ვაკეთებთ. ჩემთვის ეს გამოწვევა იმის დამტკიცების შესაძლებლობა იყო, რომ შიდსი არც ისე საშიშია და მე თამაში შემიძლია.

**პატრიკ იუინგი (აშშ-ის ნაკრების ცენტრი):** ეს ჩემი მეორე ოლიმპიური თამაშები იყო. ასევე მეორედ თამაშობდნენ ჯორდანი და მალინი. ისინი ერთად გამოდიოდნენ 1984 წელს და ეს შესანიშნავი გუნდი გახლდათ. მაგრამ ეს ნაკრები მხოლოდ საუკეთესოებისგან შედგებოდა. მე მესმოდა, რომ ეს რაღაც განსაკუთრებული მოვლენა იქნებოდა.

**კარლ მელოუნი (აშშ-ის ნაკრების მძიმე ფორვარდი):** ლუიზიანაში პირველი სეზონის დროს მქონდა ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსი და მე ამით ვერ ვისარგებლე. არ ამიყვანეს. ეს ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა კალათბურთში, როცა მწვრთნელმა მითხრა, რომ საკმარისად კარგი არ ვიყავი. ის მომენტი სამუდამოდ ჩამებეჭდა გონებაში.

**გრანიკი:** ნაკრების ბოლო წევრს დრექსლერსა და ტომასს შორის ირჩევდნენ. ეს რთული გადაწყვეტილება იყო. არ ვიცი, როგორი სხვაობა იყო ხმებში - არ მიკითხავს - მაგრამ, როცა დაითვალეს, გამარჯვებული კლაიდი გამოვიდა.

**დევიდ დუპუი (გაზეთ USA Today-ის კორესპონდენტი):** მათ მხედველობაში რომ მიეღოთ ოსტატობა და კარიერული მიღწევები, აიზია აუცილებლად მოხვდებოდა იმ ნაკრებში. მაგრამ ვინ უნდა ამოეღოთ იქიდან? შეუძლებელი იყო მსოფლიოში სტოქტონზე ხისტი მცველის მოძებნა, პასებსაც მასზე უკეთ ვერავინ არიგებდა. ჯონი ძალიან ძლიერი იყო.

**იან ჰაბარდი (Newsday-ის საკალათბურთო მიმომხილველი):** სტოქტონმა ფეხის ძვალი დაიზიანა, მაგრამ ტრავმა მალე მოიშუშა. ასე სწრაფად გამოჯანმრთელებას არ ელოდნენ და თავდაპირველად მისი ჯო დუმარსით შეცვლა უნდოდათ. ანუ აიზიას კანდიდატურა არც ამ შემთხვევაში განიხილებოდა.

**როდ ტორნი (აშშ-ის ნაკრების საselექციო შტაბის წევრი):** ჩარლზ ბარკლი ერთ-ერთი ბოლო იყო, ვინც ნაკრებში გამოიძახეს. დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავით, რომ ყველაფერი სწორად კეთდებოდა. რომ ყველა მზად იყო ჩვენი მოთხოვნების შესასრულებლად. და ზოგიერთს ეჭვი ეპარებოდა ბარკლის შესაძლებლობებში. მაგრამ ის მიხვდა, რომ არ იქნებოდა ამ გუნდში ქულების მთავარი მომპოვებელი და შეეგუა ამ აზრს.

**პი ჯეი კარლესიმო (აშშ-ის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე):** ახლა ბევრი სვამს ასეთ კითხვას: "შეხედეთ ამ ბიჭებს - რატომ იდგა მათ გვერდით სტუდენტი?" ბევრს დაავიწყდა იმის შესახებ, რომ კრისტიან ლეიტნერი, შესაძლოა, საუკეთესო მოთამაშეა სტუდენტური სპორტის ისტორიაში. მანახეთ ვინმე, ვინც ოთხი წლის განმავლობაში უნივერსიტეტში ამდენს მიაღწია.

**კრისტიან ლეიტნერი (აშშ-ის ნაკრების მძიმე ფორვარდი):** ყოველთვის ვამბობ, რომ დიუკის უნივერსიტეტში ჩემი საყვარელი პერიოდი - მეორე და მესამე სეზონში ორი ჩემპიონატის მოგების მიუხედავად - პირველი სეზონი იყო. იმიტომ, რომ გუნდურ იერარქიაში ყველაზე ქვემოთ ვიდექი, მუდმივად ვმუშაობდი საკუთარ თავზე, სრულყოფას ვცდილობდი. ბედმა გამიღიმა და ტანში ჟრუანტელი მივლიდა ამ მოთამაშეების გვერდით ყოფნის ყოველი წამის გამო.

**გრანიკი:** ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირთულე იმ ზოგიერთი პრობლემის მოგვარება იყო, რაც გუნდში მაიკლ ჯორდანის მიწვევას უკავშირდებოდა. ის თითქოს მარტო არსებობდა, არღვევდა არსებულ წესებსს და ეწინააღმდეგებოდა იმ პოლიტიკას, რომელსაც აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ატარებდა. ამ ორგანიზაციის წევრები მიიჩნევდნენ, რომ სწორედ მათ უნდა განესაზღვრათ ათლეტთა ბედი. ჩვენ ძალიან ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებები გვქონდა მაიკლთან და კომპანია "ნაიკთან".

**ფოლკი:** ეს მოლაპარაკებები არ ჰგავდა დაპირისპირებას. ჩვენ უბრალოდ ერთად ვიკრიბებოდით და ვცდილობდით საკამათო საკითხების დარეგულირებას.

**კრეიგ მილერი (აშშ-ის საკალათბურთო ასოციაციის PR-დირექტორი):** ჩვენს წინ გვედო მოთამაშეების სია, რომელიც თანდათან ივსებოდა და საბოლოო განაცხადის მიღების შემდეგ აშკარა გახდა, რომ ეს გუნდი განსაკუთრებული და ერთადერთი იქნებოდა. ჩემი აზრით, გადამწყვეტი მომენტი გახდა Sports Illustrated-ის გარეკანი. როცა ხედავდი, ვინ იყო მასზე გამოსახული, არ შეიძლებოდა არ დაგეყვირა: "უჰ, შენი...!"

გაგრძელება იქნება

### ცოლი და ქმარი ცალ-ცალკე

უცნაური გადაწყვეტილება მიიღო ავსტრალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა - მან ტყვიის სროლაში ოლიმპიური გუნდის წევრებს - **რასელ** და **ლორინ მარკებს** ოლიმპიადის დღეებში ერთ ნომერში ცხოვრება აუკრძალა. ცოლ-ქმარმა ამ გადაწყვეტილებას „სულელური“ უწოდა და მისი გაუქმების იმედი გამოთქვა.

*„ამ ისტორიაში ყველაზე სულელური ის არის, რომ ოლიმპიადის მონაწილეებს შორის უამრავი ერთი სქესის წყვილია, რომლებსაც ერთად ცხოვრების ნება დართეს. გამოდის, რომ ჩვენ ეს უფლება იმის გამო ჩამოგვართვეს, რომ სტანდარტული ორიენტაციის ადამიანები ვართ“*, - ამბობს მარკი.

რასელის მეუღლემ ვარაუდი გამოთქვა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება შეიძლება მისი ბოლო თამამი ფოტოსესიით იყოს გამოწვეული.

თავის მხრივ, ავსტრალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურის თავმჯდომარემ **მაიკ ტანკრედმა** განაცხადა, რომ თუ ცოლ-ქმარს ერთად დაასახლებენ, მაშინ ტყვიის სროლაში ქალთა ნაკრების ხუთ სხვა წევრს ერთი საშხაპით სარგებლობა მოუწევს.

*„რასელმა და ლორინმა უნდა შეიგნონ, რომ ოლიმპიური სოფელი - მდიდრული სასტუმრო არ არის, სადაც მათი ერთად დასახლება მოხერხდება, - ამბობს პრესსამსახურის ხელმძღვანელი. იქ მართლაც სივიწროვეა და ზედმეტი ადგილები არ არის“.*

### ლიტვამ კაპიტანი დაკარგა

ოლიმპიადის წინ, ლიტვის საკალათბურთო ნაკრებმა სერიოზული დანაკლისი განიცადა. ლონდონში თამაშს ვერ შეძლებს ამ გუნდის კაპიტანი **რობერტას იავტოკასი.**

კალათბურთელმა ტრავმა ვენესუელაში, საკვალიფიკაციო ტურნირის დროს მიიღო, სადაც ლიტვამ ბრიტანეთის დედაქალაქში თამაშის უფლება მოიპოვა.

ტრავმის მიუხედავად, იავტოკასი აგრძელებდა მოედანზე გასვლას, მაგრამ სამედიცინო შემოწმების შემდეგ, ექიმებმა მას თამაში აუკრძალეს. სრულ გამოჯანმრთელებამდე 32 წლის იავტოკასს ცხრაკვირიანი მკურნალობა მოუწევს. მას საოლიმპიადო განაცხადში რიგის ვეფ-ის ცენტრი **ანტანას კავალიაუსკასი** შეცვლის.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადაზე ლიტვა A ჯგუფში აშშ-ის, არგენტინის, საფრანგეთის, ტუნისისა და ნიგერიის ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშებს. ოლიმპიადამდე ლიტველები ორ ამხანაგურ მატჩში მიიღებენ მონაწილეობას - რუსეთისა და ისლანდიის წინააღმდეგ.

გვერდი მოამზადა **გია თვალაბეიშვილმა**



რობერტას იავტოკასი

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გოტფრიდ ლენცი№**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608